ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 076 (12 451) 1 აპრილი სამშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა





## თუ შემომთავაზებენ, დავფიქრდები

ინტერვიუ თემურ ქეცბაიასთან

» 3

## სპალეტი: რევანშის დროა

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალების წინ

» 8

## გუცაევი: ახალკაცის უნდა გადადგეს



ინტერვიუ » 2-3

## არის მწვრთნელი

მაგრამ ჯერ მალავენ



კალათბურთი. სამწვრთნელო თემა » 11

# ბოლო ჭიქა დასალევია



კლაუს ტოპმიოლერი პირველ ქართულ ბანკეტზე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან » 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან

# შუადღისას ყველაფერი გაირკვევა



ნოდარ ახალკაცი

**ბევრისგან** გავიგეთ გუშინ კლაუს ტოპმიოლერი გადადგაო, მაგრამ ოფიციალურად ამის მთქმელი არავინ იყო. რამდენადაც გავიგეთ ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია და დღევანდელ შეხვედრაზე ამას წერტილი დაესმება, თუმცა მანამდე არაერთი საკითხია შესათანხმებელი. თანამშრომლობის დასრულების ფორმაა მოსაფიქრებელ-შესათანხმებელი.

**გუშინდელი შეხვედრის დეტალების გასარკვევად წუხელ ფრანკფურტში ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს დავუკავშირდით.**

- ჩვენ სრულად ვართ ინფორმირებული, თუ როგორია საზოგადოებრივი აზრი. დღეს მთელი დღის განმავლობაში გულწრფელი საუბარი გვქონდა კლაუს ტოპმიოლერთან. ბუნებრივია, საზოგადოებრივი აზრიც გავითვალისწინეთ და თემატიკაც მრავალფეროვანი იყო. ჩვენი საუბარი მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა და არ ვყოფილვართ მოპასუხისა და მოსარჩლის როლში. ყველა საკითხზე გულღიად ვისაუბრეთ...

**- რა გადაწყვეტილებაა მიღებული?**

- დღეს გადაწყვეტილება არ მიგვიღია. საუბარს ხვალაც გავაგრძელებთ და შუადღისთვის გადაწყვეტილებასაც მივიღებთ. გარწმუნებთ, ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ისევ და ისევ ქართული ფეხბურთისთვის სასარგებლო იქნება. ამასთან, ეს იქნება ჩვენი და კლაუს ტოპმიოლერის ერთობლივი გადაწყვეტილება. კორექტულობაც დაცული იქნება და ამ საკითხში ალმასკომსაც ჩავრთავთ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ალმასკომის სხდომას მოვიწვევთ, რომელზეც ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებს შევეხებით.

**- თბილისში უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ კლაუს ტოპმიოლერი გადადგა...**

- კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, გადაწყვეტილება დღეს არ მიგვიღია. ამას ხვალ გავაკეთებთ.

**- კლაუს ტოპმიოლერი შარშანდელი ხელფასის გამო ფედერაციისთვის ჩივილს აპირებდა...**

- ჩვენ ყველა საკითხზე გვქონდა საუბარი. კიდევ ერთხელ საჯაროდ ვაფიქსირებ, მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა საუბარი და ასევე იქნება ხვალ.

ახალკაცთან საუბარი ამით დასრულდა. ბუნებრივია, ძნელია ფედერაციის პრეზიდენტის საუბრიდან ხელაღებით რაიმე დასკვნის გაკეთება, თუმცა სარწმუნო წყაროს ცნობით, ტოპმიოლერი დღეს ოფიციალურად დატოვებს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს.

**დავით ცაგაძე**

ინტერვიუ

# ნოდარ ახალკაცის დამნაშავე ვიქნები, ხმა რომ არ ამოვიღო

**კლაუს ტოპმიოლერის** განცხადებებმა ვნებები ააზვირთა. ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, უყვარს თუ არა ფეხბურთი, ეს თემა ყველას პირზე აკერია. ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ვლადიმერ გუცაევი ფეხბურთის ფედერაციისა და ტოპმიოლერის მიმართ თავიდანვე სკეპტიკურად იყო განწყობილი...



ვლადიმერ გუცაევი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**ბატონო ვლადიმერ, ბოლო დროს გააქტიურდით და ფედერაციას მწვავედ უტევთ. რა ხდება, რა გტკივათ და რა გადარდებთ?**

- მადარდებს ბევრი რამ. ქართულ ფეხბურთს უდიდესი ტრადიცია ჰქონდა და წამყვან როლში იყო არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ, არ შემეშინდება ამის თქმის, ევროპაშიც კი. სამწუხაროდ, პოზიციები დავთმეთ... დავთმეთ კი არა, უკვე მაჩანჩალებში ვართ. საქმისადმი არასწორი მიდგომით, არაკომპეტენტურობით, ბავშვური შეცდომებით უფსკრულამდე მივედით. ყოფილ საბჭოთა კავშირში გამორჩეული საფეხბურთო ქვეყანა ყველა კომპონენტში დავჩაჩანაკდით. ყველა ჩვენზე წინაა...

**- ასეც არაა, თურქმენეთს, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს ჯერ კიდევ ვუსწრებთ, სომხეთიც არაა ჯერ ჩვენს დონეზე...**

- კარგით, რა! თურქმენეთსა და ასეთ ქვეყნებს არც ვგულისხმობ. მათთან, რასაც ჰქვია დიდი ფეხბურთი, არასდროს ყოფილა. დანარჩენებმა ბავშვთა ფეხბურთში, ინფრასტრუქტურით, ჩემპიონატის დონით, საკლუბო და სანაკრებო გამოსვლებით გაგვისწრეს. დააკვირდით, ჩვენ გარდა, ყველგან პროგრესია. უკრაინისა და რუსეთის რანგში გავდიოდით და ახლა ბალტიისპირელები, მოლდოველები და აზერბაიჯანელებიც გვჯობნიან. აი, ეს მაწუხებს და დამნაშავე ვიქნები, ხმა რომ არ ამოვიღო.

**- მოდით, მაშინ გულახდილად ვისაუბროთ. ახალკაცს რომ აბრალებთ ლამის ქვეყნისა და ფეხბურთის დაქცევას, თქვენ არ იყავით, გაიოზ დარსაძის დანიშვნას რომ დაუჭირეთ მხარი?**

- ვიყავი ალმასკომის წევრი და არ მახსენდება, პრინციპული საკითხი ოდესმე ობიექტურად გადაეწყვიტათ. ნებისმიერი ალმასკომი, ადრეც და ახლაც, ბუტაფორიაა. 13 მაისის ყრილობის შემდეგ იქ მუშაობაზე უარი ვთქვი.

**- რატომ ასე კატეგორიულად?**

- რატომ და ყველაფერი წინასწარაა გადაწყვეტილი და ალმასკომის წევრებს აზრს ფორმალურად ეკითხებიან. ეს არ არის ქმედითუნარიანი ორგანო და რა აზრი აქვს მის წევრობას? იმისთვის, რომ ჩემნაირები ალაპარაკონ, აყვირონ და მერე თქვან, მსჯელობა დემოკრატიულ ვითარებაში წარიმართაო? ჩემზე კარგად არავინ იცოდა, გაიოზ დარსაძე ნაკრებში მუშაობისთვის მზად რომ არ იყო. თუმცა მივხვდი, რომ დარსაძის დანიშვნა გადაწყვეტილი იყო და კამათს აზრი აღარ ჰქონდა. მახსენდება, ჟორდანიას დროს, ერთ-ერთ ალმასკომზე, ჩაწყობილი თამაშების საკითხი განიხილებოდა. მაშინ ვთქვი, თუ ამაში ძალოვანი სტრუქტურები არ ჩაერთვებიან, ვიდრე კლუბებს, მის ხელმძღვანელებს, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს გარიგებული მატჩებისთვის არ დავსჯით, ამ საქმიდან არაფერი გამოვა-მეთქი. მაშინ, ეს აზრი სერიოზულად არავინ მიიღო. ჟორდანიამ კლუბების პრეზიდენტებს ურჩია, ახლა მარტო დაჯექით და დაიგინეთ, რომ ერთმანეთს აღარ გაურიგდებითო.

**- ახალკაცის დროინდელ ალმასკომზე რას იტყოდით?**

# როგორ განვითარდება საკითხი ესლა დარჩა

**კლაუს ტოპმიოლერი** საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი რომ აღარ იქნება, ეს მას გუშინ გაუმხილეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა.

ფრანკფურტული შეხვედრა ამით არ დასრულებულა — მოლაპარაკება დღესაც გაგრძელდება და თითქმის წარმოუდგენელია, ყველაფერი წალმა რომ შეტრიალდეს. მხარეებს მოსაძებნი აქვთ მწვრთნელის გაშვების ფორმა, გასარკვევია და დასადგენია ის ვადაც, თუ როდის უნდა გაისტუმროს ფეხბურთის ფედერაციამ ტოპმიოლერისა და მისი-სამწვრთნელო შტაბის დავალიანება. ერთი ეგ არის, ყველაფრისთვის წერტილის დასმა გაჯანჯლდა, მაგრამ რაღა უნდა მოხდეს, ტოპი საქართველოს ნაკრების თავკაცად რომ დარჩეს?

ერთი სიტყვით, უნდა დაველოდოთ ოფიციალურ განცხადებას ტოპმიოლერის ჩვენი ნაკრებიდან წასვლაზე.

**დავით თავართქილაძე**



მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გიგი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ᵃ (დილომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ვლადიმერ გუცაევთან

# უნდა გადადგეს

## რა ძალა დგას გუცაევის გვერდით?

- ჩემთვის უსიამოვნებები მაშინ დაიწყო, როცა გურიის რეგიონულ ფედერაციას უსამართლოდ ჩამოართვეს ხმა. გახსოვთ, ალბათ, ეს 2007 წლის არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე მოხდა. გურულებს კბილებით ვიცავდი. უსამართლობა ის იყო, რომ გურიის ფედერაცია ნოდარ ახალკაცის მოწინააღმდეგე იყო და სწორედ ამიტომ დასაჯეს და არა რაღაც დარღვევებისთვის. დღესაც ვფიქრობ: ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, ჩვენს ფეხბურთს, მთელ საზოგადოებას უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენა და სულში ჩააფურთხა. გურიის დელეგატს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ახალკაცმა მაინც წააგო. სანამ ფედერაციის პრეზიდენტი არ იქნება ობიექტური და სერიოზული, გავლენიანი აღმასკომი არ გვეყოლება. ამიტომ, ჩემს წევრობას აზრი არ აქვს.

**- და რა გარანტია გაქვთ, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობა და აღმასკომის წევრები შეიცვლებიან? გჯერათ, რომ მფარველები ხელს აღარ დააფარებენ?**

- ფედერაციის დღევანდელ ხელმძღვანელთა წასვლა ჩვენი ფეხბურთის გადასარჩენადაა საჭირო და აუცილებელიც. ჩვენ კი პატარა ძალა არ ვართ, ჩემ გვერდით არიან "ქომაგთა ლიგა", "ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებლები, ცნობილი ვეტერანები, ფედერაციის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი, უეფას მედია ოფიცერი მამუკა კვარაცხელია, საზოგადოებისთვის ცნობილი მოღვაწეები, სხვა სახეობის სპორტსმენები. ფეხბურთი ყველას სტკივა და ადარდებს, ჩვენც ეს გვაერთიანებს. მათზე, უფრო კონკრეტულად, ხალხი მალე შეიტყობს.

**- პოლიტიკოსები არ გიხსენებიათ...**

- პოლიტიკისგან შორს ვართ.

**- სამაგიეროდ, პოლიტიკაა ფეხბურთთან ახლოს. გავლენები და ლობიზმი აშკარად იკვეთება და ამას გვერდს როგორ აუქცევთ?**

- ჩვენ ფეხბურთის პოლიტიზაციას ვეწინააღმდეგებით, თორემ ესა თუ ის პოლიტიკოსი ყოველთვის იქნება ჟილაცის გულშემატკივარი. საერთოდ კი, პოლიტიკის ფეხბურთში ჩარევას კარგი არაფერი მოუტანია და არც მოიტანს. რაც შეეხება ახალკაცის გადადგომას, ეს აუცილებლობად მიმაჩნია. კარგი იქნება, თუკი ინიციატივას თავად გამოიჩენს და გადადგება. თუმცა აქვე ვამბობ: საჭიროა რიგგარეშე ყრილობის ლიად, გამჭვირვალედ და პატიოსნად ჩატარება. მიიღოს ახალკაცმაც მასში მონაწილეობა, წამოაყენოს კანდიდატურა. თუ გაიმარჯვებს, მაშინ 13 მაისის არჩევნების შედეგად გულგატეხილი ადამიანები გვერდში დავუდგებით.

**- სანაკრებო თემასაც შევეხოთ. უცებ გაირკვა, რომ ტოპმიოლერის გაშვებაზე ჯერ კიდევ ექვსი თვის წინ საუბრობდნენ, რაც შოთა არველაძემ გაამხილა...**

- ექვსი თვის წინ კი არა, ტოპმიოლერის ჩამოსვლის დღიდან ვამბობდი, არაფრის გამკეთებელი არაა-მეთქი და, ჩემდა სამწუხაროდ, პროგნოზი გამართლდა. მეტიც, გაუმართლებელი ექსპერიმენტებით ნაკრები კიდევ უფრო უკან დასწია. ერთ მაგალითს გეტყვით: 31 მარტის ქართული სპორტული პრესა გადავიკითხე. საქართველოს ჩემპიონატის მიმოხილვაში 14-ვე გუნდის ძირითადი და სათადარიგო მოთამაშეების გვარებს გადახედეთ. სად არის მეკარე გვარად მაკარიძე? ის არც ერთი გუნდის სათადარიგოშიც კი არაა. მე მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ვიცი, რომ ნიჭიერი ბიჭია, თამაში უნდა და ნაკრებში მიწვევაც უხარია. მე მხოლოდ ტოპმიოლერთან მაქვს კითხვა - რა კრიტერიუმით მიიწვია ეროვნულ გუნდში 17 წლის მეკარე, რომელიც არსად არ თამაშობს? დამისახელოს ნაკრების ექვს-შვიდკაციანი ბირთვი მაინც, რომელზეც თამაშს აწყობს? გუნდის შენების ნაცვლად, არის გაუთავებელი ექსპერიმენტები, თანაც, ამას ისე გვაწვდის, რომ ვითომ ამხანაგურ შეხვედრებში ექსპერიმენტები მიღებულია. მთლად ასეც არაა. წამყვანი ნაკრებები დამისახელეთ, სადაც ერთ-ორ ახალწვეულზე მეტს ცდიან? ვერ დამისახელებთ. მაქსიმუმ ერთ-ორ საინტერესო მოთამაშეს გამოცდიან, თანაც ისეთებს, საკუთარ ჩემპიონატებში წამყვან როლებში რომ არიან.

> ჟორდანიამ კლუბების პრეზიდენტებს ურჩია: ახლა მარტო დაჯექით და დაიგინეთ, რომ ერთმანეთს აღარ გაურიგდებითო

**- ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ ფეხბურთელების პასუხისმგებლობის საკითხზეც ისაუბრა. ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩის შემდეგ, მისი მოსაზრება საფუძვლიანად გვეჩვენა...**

- მეეჭვება, რომელიმე მოთამაშე ნაკრებში თამაშს გულგრილად ეკიდებოდეს. მწვრთნელმა გუნდისთვის ისეთი მოთამაშეები უნდა შეარჩიოს, რომლებიც თავიანთი კლასით ნაკრებში თამაშს იმსახურებენ. მთავარი როლი და პასუხისმგებლობა მწვრთნელს ენიჭება. გაიხსენეთ, რა რეფორმები გაატარა "დინამოში" დიდმა ნოდარ ახალკაცმა. 1976 წლამდე, ყიფიანი თავდასხმაში თამაშობდა, მან კი იმ პოზიციაზე დახია, სადაც დიდი დათო ყიფიანი გახდა. საშა ჩივაძე ცენტრალური ნახევარმცველი იყო, დაცვის ცენტრში დასწია და უდიდეს ფეხბურთელად იქცა. შოთა ხინჩაგაშვილიც ცენტრში გადაიყვანა დაცვის მარცხენა ფლანგიდან და ხალხმა მერე გაცილებით უკეთ გაიცნო. აი, ესაა მწვრთნელობა და არა ყველაფრის ფეხბურთელებზე გადაბრალება. თუმცა ჩვენი უბედურება მხოლოდ ნაკრების სუსტი თამაში არაა. ეს იმ მდგომარეობის შედეგია, რაშიც ქართული ფეხბურთი აღმოჩნდა.

**- გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს და რაკი პრობლემებს ასახელებთ, წამალიც გეცოდინებათ...**

- საფეხბურთო მეურნეობაში პრიორიტეტები არ არსებობს, მისი ყველა რგოლი მნიშვნელოვანია. მაქსიმალური შედეგები უნდა მოვთხოვოთ ეროვნულ ნაკრებს და სერიოზულად დავაყენოთ საკითხი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ეროვნული ჩემპიონატისა და ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე, მსაჯთა და მწვრთნელთა მომზადებაზე. ეს ის საკითხებია, ზოგიერთს წვრილმანი რომ ჰგონია, რეალურად კი უმნიშვნელოვანესი საკითხია. თუ რომელიმე ამ კომპონენტში ჩამორჩები, ეს დანარჩენებზეც აისახება და, საბოლოოდ, მსოფლიო ფეხბურთსაც ჩამორჩები. ახლა, სწორედ ეს გვჭირს: ყველა რგოლი ჩაგვივარდა და ამათ შორის პრიორიტეტის ძებნა სისულელეა.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ თემურ ქეცბაიასთან

# თუ შემომთავაზეს, დავფიქრდები

## ლატვიის მერე ტოპმიოლერი თავისით უნდა წასულიყო

"თემურ ქეცბაიას ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერის ასისტენტობა შევთავაზეთ. იმედი მაქვს, შეთანხმებას მოვახერხებთ და თემურს ქართული ფეხბურთის სამსახურში ჩავაყენებთ. ფეხბურთელობის შემდეგ მას წარმატებული სამწვრთნელო კარიერა აქვს. თემურთან არაერთელ გვქონდა სატელეფონო საუბარი. ჩავა კვიპროსზე და ჩვენს მომავალ თანამშრომლობაზე კონკრეტული საუბრები იქ გვექნება", - ეს განცხადება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ამ ორი-სამი კვირის წინათ გააკეთა...

მას მერე ბევრი რამ მოხდა. კლაუს ტოპმიოლერი ფედერაციას ღიად დაუპირისპირდა. გუშინ ფედერაციის თავკაცები მას ფრანკფურტში შეხვდნენ. შესაძლოა, ახლო მომავალში "ქართული ფეხბურთის სახლს" მისი შემცვლელის მოძიება დასჭირდეს. ქეცბაიას კანდიდატურას ბევრი მომხრე ჰყავს. საინტერესოა, თავად რას ფიქრობს ამაზე. მას გუშინ დავუკავშირდით...



თემურ ქეცბაია

**- ბოლოს როდის გქონდათ საუბარი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან?**

- ნოდარ ახალკაცს რამდენჯერმე ვესაუბრე. ეს ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩამდე იყო. მას მერე კონტაქტი აღარ გვქონია.

**-ისიც ითქვა, შესაძლოა, ქეცბაიამ დრო გამონახოს და ბელფასტში ჩავიდესო...**

- მითხრეს, ტოპმიოლერს ინტერვიუში უთქვამს, არ მჭირდებაო. არ მინდა დავიჯერო, რომ მან არაფერი იცოდა, ფედერაციის ხელმძღვანელობამ ჩემთან რომ წამოიწყო მოლაპარაკებები. ეტყობა, ტოპმიოლერი ჭოჭმანობდა და ბოლოს უარი თქვა. თუმცა პრობლემა სხვა რამაა...

**- რა გულისხმობთ?**

- გული მტკივა იმ მდგომარეობაზე, რაც ქართულ ფეხბურთშია შექმნილი. გულდამწვარი ვიყავი, როცა გავიგე, რომ შინ ლიტვასთან წავაგეთ, მერე ლატვიასთან, ახლა ჩრდილოეთ ირლანდიასთან... იცით, მარტო წაგებაშიც არაა საქმე. შეიძლება ისე წააგო, გულშემატკივარმა ტაშიც დაგიკრას. არ შეიძლება, ჩვენი ნაკრები ასეთი უსუსური იყოს.

**- ანუ მწვრთნელშია პრობლემა?**

- არა, მთლად ასეც არაა საქმე. პრობლემა გაცილებით ღრმაა და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ამ მდგომარეობაზე ყველამ უნდა იტვირთოს თავისი წილი პასუხისმგებლობა. ფედერაციამაც, მწვრთნელებმაც, ფეხბურთელებმაც, პრესამაც, ქომაგებმაც... ეს იმ ერთი ჯაჭვის სხვადასხვა რგოლია, რომელსაც ქართული ფეხბურთი ჰქვია. ახლა, რაც შეეხება მწვრთნელს. ეს ცალკე სასაუბრო თემაა. ტოპმიოლერის ადგილას რომ ვყოფილიყავი, უკვე ლატვიასთან თამაშის შემდეგ ბარგს ჩავალაგებდი. იმ შეხვედრაში ჩვენი ნაკრების დაცვაში მოთამაშე თითოეულ ფეხბურთელს ნებისმიერი ნაკრები ინატრებდა. არადა, სანყის 20 წუთში უკვე 0:3-ს ვაგებდით. რატომ? სწორედ აქ უნდა ატეხილიყო განგაში. ეს რომ არ მოხდა, ამას ლოგიკურად მოჰყვა ბელფასტის ფიასკოც... ვერ გავიგე, ნუთუ საქართველოს უმაღლეს ლიგაში არ გვყავს მეკარე, თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად რომ თამაშობდეს?

**- როგორ არა, არიან...**

- მაშინ რას ერჩიან ამ მაკარიძეს? რატომ უნგრევენ კარიერას? თუ ტალანტია, კი ბატონო, ხელი შევუწყოთ, გავზარდოთ, მაგრამ ეს კლუბის გასაკეთებელი საქმეა და არა ნაკრების. აქ მომზადებული ფეხბურთელები უნდა მოდიოდნენ. ამდენ გოლს რომ გაუშვებს ახალბედა მეკარე, ის ფსიქოლოგიურად გატყდება. ეროვნული ნაკრები ქვეყნის სახე და ღირსებაა. ტოპმიოლერმა რომ თქვა, ოთხ წელიწადში ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე გავიყვანო, მაშინ უნდა გაგვჩენოდა ეჭვი. ფედერაციის ხელმძღვანელობა მართალია, როცა აცხადებს, რომ მძიმე მემკვიდრეობა ერგო. ქართულ ფეხბურთში ბევრი პრობლემაა, ინფრასტრუქტურა არ გვაქვს და რომელ ჯგუფიდან გასვლაზეა საუბარი? ფეხბურთელმა არ უნდას იფიქროს - თამაშს თუ წავაგებ, პასუხს მწვრთნელს მოსთხოვენო. თავისი წილი პასუხისმგებლობა ყველას მოეთხოვება და ამის დროც დადგება. შეიძლება, ჯგუფიდან ვერ გახვიდე, მაგრამ გუნდი უნდა შენდებოდეს და ეს თამაშის ხარისხზეც უნდა აისახოს. ხომ ნახეთ, ინგლისის ნაკრებიც ჩარჩა ჯგუფში, მაგრამ ამას იქ ისეთი ამბავი არ მოჰყოლია, როგორც ჩვენთან. მწვრთნელი შეცვალეს და დაიწყეს ახალი შესარჩევი ციკლისთვის მზადება. ნებისმიერი მწვრთნელი შედეგითა და თამაშის ხარისხით ფასდება. თუ გულშემატკივარი ხედავს, რომ ნაკრები შენდება, თამაშის ხარისხი უკეთესობისკენ მიდის, ის ყოველთვის მოგცემს დროს. თუ ყველა ფეხბურთელი ნაკრებში 100 პროცენტით არ დაიხარჯა, მთელი ტვირთი ერთეულებზე გადავა და არაფერი გამოვა.

**- არც ისაა გამორიცხული, რომ ტოპმიოლერმა ნაკრებში მუშაობა გააგრძელოს. ასეთ შემთხვევაში, მის მემკვიდრედ თქვენ მოგიაზრებენ...**

- ფედერაციამ ტოპმიოლერის ასისტენტობა შემომთავაზა. ვუთხარი, ამ საკითხს სატელეფონო საუბრით ვერ გადავწყვეტთ, კარგი იქნება, თუ ჩამოხვალთ და კონკრეტულად დავილაპარაკებთ-მეთქი. კითხვის შინაარსი კარგად მესმის, ქართულ ფეხბურთზე გული შემტკივა და მსურს, რაც ჩემს შესაძლებლობებში იქნება, ყველაფერი გავაკეთო, მაგრამ...

**- მაგრამ რა?**

- გადაწყვეტილების მიღების წინ ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონო. ეს იოლი საქმე არაა. არავის ეგონოს, ნაკრების მწვრთნელობა რომ შემომთავაზონ, დაუფიქრებლად დავთანხმდები. ამ საკითხზე დეტალური საუბარია საჭირო. გასარკვევია, რას მოითხოვენ ჩემგან და მე რა შემიძლია. მხოლოდ სურვილი არ კმარა, შესაძლებლობაც უნდა გქონდეს საიმისოდ, რასაც შენგან ითხოვენ. კვიპროსის ჩემპიონატის დამთავრებამდე 5 ტურია დარჩენილი, მდევარს 9 ქულით ვუსწრებთ, მაგრამ ჯერ არსად მითქვამს, რომ ტიტული განაღდებული გვაქვს. ყველა მეტოქე კარგად უნდა შეაფასო და დააფასო. ნაკრები კაპელოს, ლიპის და სხვა დიდ მწვრთნელსაც რომ ჩააბარო, ვერავინ მოგცემს იმის პირობას, რომ ორ ან ოთხ წელიწადში მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე მოხვდები. ჩვენ კარგი ფეხბურთელები გყავს, მართალია, ბევრი არა, მაგრამ მათი გამოყენება გაცილებით უკეთ შეიძლება.

**- მოკლედ, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი რომ შემოგთავაზონ, დაფიქრდებით?**

- თუ ეს საკითხი დადგება დღის წესრიგში, ვიფიქრებ. თუმცა ჯერ ბევრი რამ იქნება სალაპარაკო და გასარკვევი.

**დავით ცაგაძე**

# კაპიტანკაპიტალი

## მწვრთნელი შედეგით იცნობა

*"ვერაფერს ვიტყვი კლაუს ტოპმიოლერი უნდა წავიდეს ნაკრებიდან თუ დარჩეს. ნაკრების ფეხბურთელის მხრიდან საუბარი ამაზე ულამაზოა. ეს ფედერაციის გადასაწყვეტია. მხოლოდ ერთს ვიტყვი - მწვრთნელის დანიშვნა, გაშვება ხდება შედეგების მიხედვით, საქართველოს ნაკრებს კი უცუდესი შედეგები აქვს"* - ეს სიტყვები საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **კახა კალაძემ** გუშინ "ქორთიარდ მარიოტში" წარმოთქვა. კალაძის იქ ყოფნა სულ სხვა რამით იყო გამოწვეული, მაგრამ ეროვნულ გუნდში შექმნილ მდგომარეობას ბუნებრივია გვერდი ვერ აუარა.

უკრაინა, იტალია, ყაზახეთი - სამი ქვეყნის შემდეგ კახა კალაძემ საქმიანობა საქართველოშიც დაიწყო. გუშინ "ქორთიარდ მარიოტში" ბიზნეს-პროექტის "კალა კაპიტალის" პრეზენტაცია გაიმართა.

"კალა კაპიტალი" უცხოური და ქართული კაპიტალით დაფინანსდება და ინვესტიციებს სამ სფეროში - ენერგეტიკაში, უძრავ ქონებასა და საბანკო პროექტებში განახორციელებს. გარდა ამისა: *"სხვადასხვა ქვეყანაში მაქვს ბიზნესი, მაგრამ მთავარი ჩემთვის საქართველოა. აქ მინდა საქმის კეთება, სამუშაო ადგილების შექმნა. ქართველების კეთილდღეობა ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. ახლო მომავალში შეიქმნება საქველმოქმედო ფონდი "კალა", რომელიც დაეხმარება უპატრონო ბავშვებს, ააშენებს მოედნებს. დღეს არა მარტო ქართულ ფეხბურთში, ზოგადად ქართულ სპორტშია შემქნილი მძიმე მდგომარეობა. განსაკუთრებით რაიონებს უჭირთ ამ მხრივ თბილისში ასე თუ ისე არის ადგილები, სადაც ბავშვებს ვარჯიშის საშუალება აქვთ. მე თვითონ სამტრედიელი ვარ და ვიცი, იქ რაც ხდება. ჩვენ ავაშენებთ მოედნებს, შევქმნით პირობებს, რომ ბავშვებმა ივარჯიშონ და საქართველოს გამოადგნენ."*



პრეზენტაციაზე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**პაატა თოთაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. XIX ტური. მიმოხილვა

# მოვლენებით დახუნძლული



დინამო-მგლები. გატანა აკირემსაც შეეძლო, მაგრამ მგლები ხარიხამ იხსნა

ერთი შეხედვით, XIX ტურს სატურნირო ცხრილში კორექტივები არ შეუტანია, მაგრამ თითქმის ყველა მატჩში არაერთი დასამახსოვრებელი ფაქტი მოხდა. დავიწყოთ მოქმედი ჩემპიონით. რუსთავის "ოლიმპს" არც ამ ტურამდე ჰქონდა ჩემპიონობაზე პრეტენზია და "ზესტაფონთან" საშინაო მარცხის მერე, ფაქტობრივად, გაირკვა, რომ წლეულს ახალი ჩემპიონი გვეყოლება. აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში მეტოქეები ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ოთხივეჯერ გამარჯვება თემურ მახარაძის გუნდს დარჩა. შესაძლოა, ბევრისთვის მოულოდნელი იყოს სტუმართა დიდი ანგარიშით გამარჯვება, მაგრამ, თვითმხილველები დაგვეთანხმებიან, რომ "ზესტაფონს" მეტიც შეეძლო - უბრალოდ, ეტყობა, დაუძლურებული მეტოქე ბოლომდე არ გაწირა. ასეთი უსუსური "ოლიმპი" რუსთაველ ქომაგებს არც ახსოვთ და ახლადდანიშნულ ხვიჩა ქასრაშვილს სიტუაციის გამოსასწორებლად დიდი ძალისხმევა მოუწევს. და კიდევ ერთი ნიუანსი - "ოლიმპის" არსებობის განმავლობაში ეს იყო პირველი მარცხი დიდი ანგარიშით...

"ზესტაფონმა" კი მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა. თანაც, რაც ყველაზე მთავარია, თემურ მახარაძის გუნდში უდიდესი რეზერვიც იგრძნობა. იმერული გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო, რაღა თქმა უნდა, ბრაზილიელი მარცხენაფლანგელი ჟილვან ვიეირა იყო - მატჩის დასაწყისში გაკეთებულ საგოლე პასს მერე დუბლი რომ მოაყოლა. სხვათა შორის, ვიეირამ წინა ტურშიც ისახელა თავი, როცა "დილის" კარში სამი გოლი გაიტანა. და კიდევ ერთი ფაქტორიც - სამმატჩიანი შესვენების მერე "ზესტაფონის" კარს კვლავ გრიგოლ ჭანტურია იცავდა...

## ვისთვის სიხარული, ვისთვის შოკი

ამ ტურში სამი ისეთი მატჩი იყო, სადაც ყველაფერი ბოლო წუთებზე გაირკვა. ასე მოხდა თბილისში, ბორჯომში, გორში... თუმცა ჯობია, ჯერ ლიდერთა მონაწილეობით ჩატარებულ შეხვედრებზე ვისაუბროთ.

ყველასათვის ცხადი იყო, რომ უმოტივაციო "ბორჯომი" უდიდეს წინააღმდეგობას გაუწევდა საჩემპიონო რბოლაში ჩართულ "ვიტ ჯორჯიას". ასეც მოხდა და მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე "ვეტერინარების" საჩემპიონო შანსები, ფაქტობრივად, მინიმუმამდე იყო დასული: მასპინძელთა ყველაზე "მრისხანე იარაღმა" **გია მეგრელაძემ** კვლავაც ზუსტად "გაისროლა" და სტუმრები უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. თუმცა **ნესტორ მუმლაძემ** ამ სეზონში უკვე მერამდენედ გააკეთა ზუსტი და, რაც მთავარია, იღბლიანი შეცვლა. ჰოდა, ჯერ სტუმართა გუნდის ლიდერმა **გიორგი დათუნაიშვილმა** გამოიჩინა თავი, მერე კი მატჩის ბოლო წუთზე შეცვლაზე შემოსულმა **გიორგი ბერიაშვილმა** ეფექტური დარტყმით უძვირფასესი სამი ქულა მოუტანა თავის გუნდს. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ეს იყო "ვიტ ჯორჯიის" მიერ ზედიზედ მეცამეტე მოგებული მატჩი ამ ჩემპიონატში!

თბილისში, "ეროვნულზე" კი კინაღამ სენსაცია მოხდა: "დინამო" ვერა და ვერ ახერხებდა "მგლების" კარის დალაშქვრას. რა თქმა უნდა, უიღბლობამაც თავისი ჰქნა - ვინ მოთვლის, სტუმრები რამდენჯერ გადაურჩნენ აშკარა ხიფათს. ხან - ხარიხა, ხან ძელი, ხანაც "მგლების" სათადარიგო მეკარე **ქალდანი** ელობებოდა მასპინძელთა გამუდმებულ იერიშებს. და აი, უკვე მსაჯის მიერ დამატებული მესამე წუთი იყო, როცა **გიორგი მერებაშვილმა** საჯარიმო დარტყმა ჩინებულად შეასრულა. ასეა, არავინ იცის, სეზონის ბოლოსთვის მერებაშვილისა და ბერიაშვილის გადამწყვეტ დარტყმებს რა ფასი დაედება...

## იყო თამაშგარე?

...რამდენიმე წამიც და გორის "დილა" ჩემპიონატში მეორე გამარჯვებას იზეიმებდა. თანაც, ვისთან - უშუალო კონკურენტ "ლოკომოტივთან". მანამდე "დილის" ვეტერანმა **ქრისტეფორე შატაკიშვილმა** ეფექტური გოლი გაიტანა და გორელებსაც პირველად უნდა ეზეიმათ... 11 აგვისტოს შემდეგ (მას მერე ამ გუნდს არ მოუგია). თუმცა შეხვედრის ბოლო წამებზე სტუმართა ორმა გამოცდილმა ფეხბურთელმა თავიანთ სტილში ყველაფერი უნაკლოდ შეასრულეს - **ვიტალი დარასელიას** პასს **რატი ალექსიძის** ზუსტი დარტყმა მოჰყვა. ჰოდა, ამის მერე მსაჯები მოედნიდან კარგა ხანი ვერ გადიოდნენ - "დილის" ფეხბურთელები, მწვრთნელები თუ ქომაგები უკმაყოფილებას დასაშვები თუ დაუშვებელი ფორმებით გამოხატავდნენ. მათი აზრით, სტუმართა გოლი თამაშგარიდან გავიდა, მაგრამ გინახავთ ჩვენთან მსაჯს (თან, ასეთ მომენტში) გოლი გაეუქმებინოს? ქართველმა გულშემატკივარმა გორის მატჩის კადრები საფეხბურთო მიმოხილვაში (ისე როგორც სხვა შეხვედრების საინტერესო ეპიზოდები) იხილა. კარგად ჩანდა, თუ როგორი გაძლიერებული კორდონით გაიყვანეს მოედნიდან მსაჯები და ისიც, გვერდით მსაჯს ერთ-ერთი ადგილობრივი ფეხბურთელი როგორ აყენებს ფიზიკურ შეურაცხყოფას. თანაც, კადრები ხშირად მეორდებოდა. ასევე მეორდებოდა სხვა დანარჩენ მატჩებში გასული გოლებიც, მაგრამ რატომღაც "ლოკომოტივის" ბოლო შეტევის კადრი აღარ გაუმეორებიათ (ანუ ის ეპიზოდი, რასაც მასპინძელთა პროტესტი მოჰყვა). ჰოდა, გაიგე ახლა, იყო თუ არა თამაშგარე?

## ამერი ხომ არ დაგავიწყდათ?

სეზონის წინ **გიორგი ჩიხრაძის** გუნდი ჩემპიონობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად მივიჩნიეთ. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, "ამერმა" პირველი წრე არასტაბილურად ჩაატარა. რაც ყველაზე თვალშისაცემი იყო, ამ სიმპათიურმა გუნდმა "მთავარი" დაივიწყა - პრინციპული მატჩების მოგება. თუმცა მეორე წრეში გუნდი ჩვეულად ათამაშდა და ნამდვილად არ არის შემთხვევითი, დაუმარცხებლად რომ მიდის. ახლაც, ბოლო ტურში მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისა და კლასის ხარჯზე თანაქალაქელი "მერანი" დიდი ანგარიშით (5:1) დაამარცხა. თანაც, გულშემატკივარმა ამ მატჩში ერთი-მეორეზე ლამაზი გოლები იხილა. არანაკლებ ეფექტური იყო **გიორგი ოქრუაშვილის** გოლიც, მაგრამ ამ შემთხვევაში სილამაზეზე მეტად ფასეული თვითონ გოლის მნიშვნელობა იყო - "ბათუმმა" ხომ უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო უშუალო კონკურენტ "ცხინვალთან" და ამ მოგებით უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსიც შეინარჩუნა. არადა, ბათუმელთა შემადგენლობას რომ გადავხედოთ, პირველი ოთხეულის გუნდებს ნამდვილად არ ჩამოუვარდება, მაგრამ ფეხბურთს მხოლოდ სახელი და გვარი აღარ თამაშობს...

...დაბოლოს, კიდევ ერთი, შედარებით "მშვიდობიან" მატჩზეც. ბოლნისში "სიონმა" მინიმალური ანგარიშით სძლია "მესხეთს" და ამ გამარჯვებით **გიორგი ყიფშიძის** გუნდმა თავი ნამდვილ სამშვიდობოზე დაიგულა. იმავე სიტუაციაშია "მესხეთიც", რომელიც დებიუტანტის კვალობაზე ("მგლებთან" ერთად) ურიგო ფეხბურთს არ უჩვენებს. ამ შეხვედრაში მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ჩინებული მატჩი ჩაატარა "მესხეთის" მეკარე **გიორგი სომხიშვილმა**.

გია ტუხაშვილი

## XIX ტურის სიმბოლური ნაკრები




| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 19 | 17 | 0 | 2 | 47:10 | 51 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 19 | 16 | 1 | 2 | 37:10 | 49 |
| 3. ზესტაფონი | 19 | 14 | 3 | 2 | 40:10 | 45 |
| 4. ამერი | 19 | 11 | 2 | 6 | 34:21 | 35 |
| 5. ოლიმპი | 19 | 9 | 4 | 6 | 17:15 | 31 |
| 6. ბორჯომი | 19 | 8 | 4 | 7 | 24:22 | 28 |
| 7. მესხეთი | 19 | 7 | 4 | 8 | 17:23 | 25 |
| 8. მგლები | 19 | 7 | 3 | 9 | 16:20 | 24 |
| 9. სიონი | 19 | 6 | 5 | 8 | 21:24 | 23 |
| 10. მერანი | 19 | 5 | 1 | 13 | 11:32 | 16 |
| 11. სპარტაკი | 19 | 4 | 4 | 11 | 8:21 | 16 |
| 12. ლოკომოტივი | 19 | 3 | 5 | 11 | 11:26 | 14 |
| 13. ბათუმი | 19 | 3 | 3 | 13 | 9:33 | 12 |
| 14. დილა | 19 | 1 | 5 | 13 | 8:35 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| ხუციშვილი (დინამო) | 11 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 9 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 8 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია/ზესტაფონი) | 8 |
| გ. ნოდ. ქელიძე (ზესტაფონი/ბათუმი) | 8 |
| ვიეირა (ზესტაფონი) | 8 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 7 |
| ჩასემი (სიონი) | 7 |


ოლიმპი-ზესტაფონი 0:3

ნუგზარ სუარძის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადამიამ დერბი მოიგო

## საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები დუბლებში



ვალერი აბრამიძე (მარცხნივ) და გოირგი ნავალოვსკი (მარჯვნივ)



ბურთით გიორგი ადამია

უკრაინის ჩემპიონატის მორიგი ტური გუშინ „დნიპროს“ და „ვორსკლას“ მატჩით დასრულდა. სამი ქართველის ნაცვლად ამ მატჩში მხოლოდ **ჯაბა კანკავამ** მიიღო მონაწილეობა, მისი თანაგუნდელი **სანდრო კობახიძე** განაცხადშიც არ ყოფილა, ისევე როგორც - ვორსკლელი **ლაშა ჯაკობია**. შეგახსენებთ, რომ სამივემ ბელფასტში საქართველოს ნაკრების მატჩში მიიღო მონაწილეობა. ჯაბა მე-60 წუთზე შეცვალეს, ორ წუთში მასპინძლებმა გამარჯვების გოლიც გაიტანეს – 1:0. „დნიპრო“ 51 ქულით მესამე ადგილზეა, ის „დინამოს“ სამი, ხოლო „შახტარს“ ორი ქულით, ჩამორჩება. წინა დღით ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩში (2:0) სანდრო კობახიძემ 38-ე წუთამდე ითამაშა, ხოლო სტუმართა შორის 90 წუთი იყო ლაშა ჯაკობია. ლაშამ ორჯერ ააცილა მასპინძელთა კარს, ერთხელ – ხელსაყრელი სიტუაციიდან.

დანიურ სუპერლიგაში **გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგი“ შინ 2:3 დამარცხდა მეორეადგილოსან „კოპენჰაგენთან“. მატჩის მიწურულს გიორგიმ ყვითელი ბარათი მიიღო. ქართველმა 90 წუთი დაცვის მარცხენა ფლანგზე ითამაშა, ის ხშირად ერთვებოდა მასპინძელთა შეტევებში. „ვიბორგს“ მხოლოდ 14 ქულა აქვს და სუპერლიგაში ბოლოსწინა, მე-11 ადგილზეა.

აზერბაიჯანის ჩემპიონატში მე-19 ტურის მატჩები გაიმართა. თავად აზერბაიჯანელმა მიმომხილველებმა განსაკუთრებით საინგილოში, კახში გამართული მატჩი გამოყვეს, „სიმურგი“ ბაქოს „ინტერს“ მასპინძლობდა. ზაქათალელთა სასტარტო შემადგენლობაში **დავით ბოლქვაძე** და **კახა ჩხეტიანი** იყვნენ, ბოლქვაძე შესვენებაზე შეცვალეს. ზოგიერთი წყარო მასპინძელთა მეორე გოლს ბოლქვაძეს უთვლიდა, თუმცა გაირკვა, რომ ეს ასე არ ყოფილა, 86-ე წუთზე კი ჩხეტიანმა მართლა გაიტანა გოლი და ამით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 3:4.

ბარდაში ადგილობრივ აბნ-ს „მასალი“ ეწვია, 26-ე წუთზე სტუმართა ქართველმა ფორვარდმა **ბორის გონჩაროვმა** ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა და „მასალი“ წინ გაიყვანა. მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე კი „მასალის“ **ვაჟა ლომაშვილმა** მოაგებინა – 2:1. ქართულმა დუეტმა 90-90 წუთი ითამაშა.

კვირას ტურის მთავარი მატჩი იყო – ბაქოურ დერბიში „ნეფთჩი“ და „ბაქი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პირველ წრეში „ნეფთჩი“ 1:5 დამარცხდა „ბაქისთან“, ასე რომ, **გიორგი ადამიას** გუნდს შურისძიებაც სურდა. უკვე მესამე წუთზე გიორგიმ სამ მეტოქეს აჯობა და გუნდის სერბ ბომბარდირ **ბრანიმირ სუბაშიჩს** ჩემპიონატის მე-14 გოლი გაატანინა. მე-14 წუთზე ჩვენთვის სამწუხარო ეპიზოდი მოხდა, „ბაქის“ ქართველმა ფეხბურთელმა **ამირან მუჯირმა** ტრავმა მიიღო და შეცვალეს. სწორედ, მუჯირის შემცვლელმა **ლეანდრო გომეშმა** გაათანაბრა, მაგრამ იქვე სუბაშიჩი საჯარიმოში მოცელეს და გიორგი ადამიამ 30-ე წუთზე პენალტი გაიტანა. საბოლოოდ „ნეფთჩიმ“ 3:2 მოიგო, ეს ბაქოელთა ზედიზედ მე-6 გამარჯვებაა ჩემპიონატში. გიორგი ადამია 88-ე წუთზე შეცვალეს. „ბაქის“ ნახევარმცველმა **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა.

მოგების მიუხედავად ადამიას კლუბმა „ოლიმპიკთან“ ოთხქულიანი ჩამორჩენა ვერ შეამცირა, რადგან ლიდერთან სტუმრად 0:1 **კახა ცხადაძის** „სტანდარდი“ დამარცხდა. არადა ცხადაძის გუნდი ტაიმნახევარი რიცხობრივ უპირატესობაში იყო და მომენტს მომენტზე ქმნიდა „ოლიმპიკის“ კართან. სტუმართა ქართველი ლეგიონერი **ლადო უგრეხელიძე** ცხადაძემ 83-ე წუთზე შეუშვა მოედანზე. გუნდებმა მატჩი ცხრა-ათზე დაასრულეს.

**გოგა ბერაიას** „ყარაბახი“ შინ 0:0 დაუზავდა „თურანს“, გოგა 69-ე წუთზე შეცვალეს. სტუმართა გუნდში გოგას ძმა **ირაკლი ბერაია** არ გამოჩენილა. ყველაზე ქართული დაპირისპირება კი ევლახში გაიმართა, სადაც „ქარვანი“ 1:2 დამარცხდა „კაბალასთან“. სასტარტოში ითამაშეს მასპინძლებმა **ალექსანდრე ინწკირველმა** და **გოჩა ტრაპაიძემ, რომან ახალკაცს** არ უთამაშია. სტუმართა შორის შეუცვლელად ითამაშეს **ირაკლი ვაშაკიძემ, თორნიკე აფციაურმა** და **გიორგი გაბიდაურმა**, არ ყოფილა მეკარე **ზურაბ მამალაძე**. აფციაური მსაჯმა გააფრთხილა, ხოლო ინწკირველი 63-ე წუთზე გააძევა.

„ნეფთჩი“ 42 ქულით მეორე ადგილზეა, „სიმურგი“ 30 ქულით მეხუთეა, „ბაქის“ 27 ქულა აქვს და მეექვსე პოზიცია უკავია, ამდენივე ქულით „კაბალა“ შემდეგია. სხვა „ქართული“ გუნდები: 8. „ყარაბახი“ – 24 ქულა, 9. „მასალი“ – 21, 10. „ქარვანი“ – 20, 11. „სტანდარდი“ – 18, 13. „თურანი“ – 9.

რუსეთის პირველ დივიზიონში მეორე ტურის მატჩები გაიმართა და **ომარ თეთრაძის** „ანჟიმ“ დიდი ანგარიშით დაამარცხა „ენერგია“ – 4:0. მატჩის 48-ე წუთზე ანგარიში 2:0 **მიხეილ აშვეთიამ** გახადა. ქართველმა ფორვარდმა 69-ე წუთზე ადგილი თანამემამულე **რევაზ ბარაბაძეს** დაუთმო. ეს 19 წლის ბარაბაძის დებიუტია „ანჟიში“ და საკლუბო დონეზე პირველი მატჩი ერთწლიანი პაუზის შემდეგ. „ანჟის“ სასტარტოში ითამაშეს **ვალერი აბრამიძემ, გოჩა ხოჯავამ** (57-ე წუთზე შეცვალეს) და **გიორგი ნავალოვსკიმ**. არ უთამაშიათ **ზურაბ არზიანს** და **რეზო ჯიქიას**. ალბათ, გიკვირთ ამდენი ქართველი ლეგიონერი პირველი ლიგის კლუბში, სადაც საკმაოდ მკაცრი ლიმიტია უცხოელებზე - აბრამიძეს, ჯიქიას და არზიანს რუსეთის მოქალაქეობა აქვთ და ლეგიონერებად აღარ ითვლებიან.

ლიტვაში ახალი საფეხბურთო პირველობა დაიწყო, რვაგუნდიანი ჩემპიონატის პირველ ტურში სულ 4 გოლი გავიდა, აქედან სამი ჩემპიონ „კაუნასის“ და „შილიუტეს“ მატჩში, რომელიც ქართველთა გუნდმა 3:0 მოიგო. „კაუნასში“ სამი ქართველია: **გივი კვარაცხელია, აკაკი ხუბუტია** და **ნუკრი მანჩხავა**. კვარაცხელიამ ამ მატჩში 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა. ეს 88-ე წუთზე მოხდა, თუმცა ბურთს გივის თანაგუნდელმა მიუსწრო. სხვათა შორის, იმ დროისთვის მხოლოდ 1:0 იყო. ხუბუტიამ მეორე ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო. სამივე ქართველმა შეუცვლელად ითამაშა.

მოლდოვის პირველობის მორიგ ტურში ყველაზე დიდ ინტერესს ტირასპოლში გამართული დაპირისპირება იწვევდა ლიდერი და ჩემპიონი „შერიფი“ კიშინოვის „დაჩიას“ მასპინძლობდა, რომელიც მეორე ადგილზეა და მხოლოდ ქულით ჩამორჩებოდა „შერიფს“, მასპინძლებმა 2:1 მოიგეს და ოთხ ქულამდე გაზარდეს სხვაობა თანაც ერთი მატჩი რეზერვში აქვთ. „შერიფის“ კაპიტან **ვაჟა თარხნიშვილს** მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთი შეცდომა მოუვიდა და ისიც გოლკიპერმა გამოასწორა, როდესაც **ლევან კორღალიძის** დარტყმული აილო. კორღალიძემ სრულად ითამაშა „დაჩიას“ რიგებში, ხოლო **ჯაბა დვალი** 81-ე წუთზე შეცვალეს. „ზიმბრუმ“ სტუმრად „ცსკასტიაუა“ დაამარცხა – 3:1. სტუმართა მცველმა **მამუკა ლომიძემ** 90 წუთი ითამაშა, რომელიც ბოლო წუთზე გააფრთხილეს.

ყაზახეთის პრემიერლიგაში მესამე ტურის მატჩები გაიმართა. **რევაზ ძოძუაშვილის** „შახტიორმა“ შინ 2:1 დაამარცხა „ოკჟეტპესი“. **ლევან მელქაძეს** არ უთამაშია, **ლაშა ნოზაძემ** კი შეუცვლელად ითამაშა. ძმები **ჯელაძეების** „ვოსტოკმა“ შინ 0:0 ითამაშა „კაირატთან“. გიზომ 90 წუთი ითამაშა, ზვიადი მე-60-ზე შეცვალეს. „ვოსტოკს“ 5 ქულა აქვს, „შახტიორს“ – ქულით ნაკლები.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ალექსანდრე გოგობერიშვილი (14)

# აპრილში ფუტზალის ჯერია

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები ფუტზალშიც გვყავს, თუმცა ფეხბურთის ამ ნაირსახეობაში ჯერ სანერვიულო არ გაგვჩენია, ალბათ იმიტომ, რომ ფუტზალი ჩვენში ჯერ არ არის პოპულარული, როგორც პროფესიული სპორტი.

მაგრამ სასიამოვნო ნამდვილად არ არის, როცა შენი ახალგაზრდული ნაკრები აზერბაიჯანთან ჯერ 2:5 დამარცხდება, მერე 6:9, ხოლო ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ხორვატიასთან 1:8-ს ნაგებს, ესპანეთთან 1:13-ს.

ცხადია, ეს წარუმატებლობები პირველ რიგში, იმითაა განპირობებული, რომ ფუტზალს საქართველოში ხეირიანი არც დაფინანსება გააჩნია და არც ინფრასტრუქტურა.

საქართველოს ფუტზალის ასოციაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტია, სხვანაირად ვერ გაიხედავდა ფიფა-უეფას ტურნირებისკენ.

ეროვნული ჩემპიონატი ფუტზალში 1992 წლიდან ტარდება. ამ დროისთვის ეროვნულ ჩემიონატში ოთხი გუნდია: "საბურთალო-ტაო ბანკი", თსუ, "ყაზბეგი" და "იბერია 2003". ჩემპიონატი თვრამეტ ტურად ტარდება.

მოქმედი ჩემპიონი "იბერიაა", რომელსაც კომპანია "სამგორი 95" პატრონობს. იბერიელებს სამი ბრაზილიელი ლეგიონერი ჰყავთ და, რა თქმა უნდა, ისინი საქართველოში უკეთესი ჯამაგირის გამო ჩამოვიდნენ.

შარშან "იბერიამ" უეფას ფუტზალის თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშა ხორვატიაში. იქაურ და სლოვენიურ გუნდებთან ფრეს გამორჩა, რუმინულთან კი — დამარცხდა და მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდა.

მსოფლიოს ჩემპიონატის დამდეგი შესარჩევი გაისად იანვარ-თებერვალში გაიმართება და წილისყრა ჯერ არ შემდგარა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ფუტზალი ყველაზე უფრო ვიწძლო საქართველოშია ჩამორჩენილი. მაგალითად, მოლდოვაში ფუტზალში რეგისტრირებული შვიდიათასამდე ფეხბურთელია, საქართველოში კი — ოცდათხუთმეტი. ფიფას რეიტინგში საქართველო 50-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი კი — 28-ეზე. ყაზახეთი კი ევროპაში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა.

ამხანაგური თამაშების და შეკრებების მოწყობა — ფეხბურთის ფედერაცია ფუტზალს ამით ეხმარება, უეფა კი წელიწადში 12 ათას ფრანკს აგზავნის ქართული ფუტზალისთვის, რაც, ალბათ, ერთ ტურნირზე გასამგზავრებლად თუ ეყოფა საქართველოს ნაკრებს.

აპრილში ფუტზალში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი განახლდება, თამაშები სადაგ დღეებშია, თანაც ნაშუადღევს და ასეთ დროს ძალიან ძნელია გულშემატკივრის მიზიდვა. საქმეს ისიც ართულებს, რომ უქმეებზე ეროვნული ჩემპიონატის პირველი და უმაღლესი ლიგის მატჩებია და მსაჯებს ფუტზალისთვის არ სცალიათ. ფუტზალური თამაშები სპორტკომპლექს "ქარიშხალაში" იმართება.

აპრილშივე საქართველოს ფუტზალის ახალგაზრდული ნაკრები სლოვენიაში გაემგზავრება ევროშესარჩევის მატჩებისთვის სლოვენიასთან, ბელგიასთან და ბულგარეთთან. ფუტზალის ასოციაციაში გვითხრეს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მეტწილად 16-17 წლის ფეხბურთელებით კომპლექტდებაო.

ფუტზალში საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებს ერთი მწვრთნელი, **პეტრე თაბუკაშვილი** თავკაცობს. ეროვნულ გუნდს ლეგიონერებიც მოეპოვება — **გიორგი თორთლაძე** და **ალიკ სარქისიანი** კვიპროსულ "ომონიაში" თამაშობენ.

ალბათ, იმის დროც მოვა, ფუტზალის ეროვნულ ნაკრებზე რომ ვინერვიულებთ.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო

# კაპელო დაკითხეს



**ფაბიო კაპელომ** რომის სასამართლოს განუცხადა, რომ იტალიაში მოღვაწეობისას ფეხბურთელების კონტრაქტებთან საქმე არასოდეს ჰქონია. დონ ფაბიომ ისიც თქვა, რომ მისთვის უცნობია მოთამაშეებზე ზეწოლის ფაქტები, რათა ამ უკანასკნელთ სპეციფიკურ ხელშეკრულებებზე მოეწერათ ხელი.

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სააგენტო "გეა უორლდის" საქმეზე მოწმის სტატუსით დაკითხეს. სასამართლო ამ ორგანიზაციის ექვსი ყოფილი მაღალჩინოსნის მოღვაწეობას სწავლობს. "გეა უორლდი" სულ ახლო წარსულში ყველაზე გავლენიანი იტალიური სააგენტო იყო და წამყვანი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების საქმეებს უძღვებოდა.

განსასჯელთა შორის არიან "იუვენტუსის" ყოფილი გენერალური მენეჯერის, **ლუჩანო მოჯის** ვაჟი, **ალესანდრო** და ყოფილი მთავარი მწვრთნელის, **მარჩელო ლიპის** ვაჟი, **დავიდე**. კაპელოც ყოფილი იუვენტუსელია. ის "ბებერ ქალბატონში" 2004-06 წლებში მოღვაწეობდა, მაგრამ მწვრთნელს ყველაზე მეტი კითხვა 1999-2004 წლებში გაფორმებულ კონტრაქტებზე დაუსვეს. ამ პერიოდში კაპელო რომში მუშაობდა. მისი რამდენიმე ფეხბურთელი "გეა უორლდის" კლიენტი იყო.

ერთსაათიანი დაკითხვისას დონ ფაბიომ განაცხადა, რომ ორივე სამსახურში - "რომასა" და "იუვენტუსში" - მხოლოდ სამწვრთნელო საქმეებით იყო დაკავებული და ტრანსფერები და კონტრაქტები მას არ ეხებოდა. მწვრთნელს "კორიერე დელო სპორტში" გამოქვეყნებული მისი ადრინდელი ინტერვიუ შეახსენეს. იმ ინტერვიუში კაპელო "გეა უორლდსა" და მის შესაძლო მონოპოლისტურ მდგომარეობაზე საუბრობდა. კითხვაზე, რას გულისხმობდა მონოპოლიაში, დონ ფაბიომ მიუგო: *"გეას" შესახებ გამუდმებით მესმოდა. მესმოდა ისიც, რომ ბევრ ფეხბურთელს ამ კომპანიასთან კონტრაქტის გაფორმება სურდა. ის მოთამაშეებს მაგნიტივით იზიდავდა."*

რამდენიმე კვირის წინ სასამართლოზე ჩვენება მისცა კაპელოს მარჯვენა ხელმა **ფრანკო ბალდინიმ**. ის რომაელთა გენერალური მენეჯერი იყო იმ დროს, როდესაც კაპელოს მთავარი მწვრთნელის პოსტი ეკავა. ბალდინის ჩვენებისას მოჯიმ მისკენ ხელი გაიშვირა და ობსტრუქციის მოწყობას შეეცადა, რის გამოც მოსამართლისგან შენიშვნა მიიღო. დღეს მარჩელო ლიპი უნდა დაკითხონ. ერთი თვის წინ სასამართლოს წინაშე "გეა უორლდის" ყოფილი კლიენტი **დავიდ ტრეზეგე** წარდგა.

რეალი

# შუსტერის სამი სია

## სპეკულაციები: ვის იყიდიან, ვის გაყიდიან და ვის გაანათხოვრებენ

"რეალის" თავკაცმა **ბერნდ შუსტერმა** სასურველი ფეხბურთელების სია მოხაზა. ამ ინფორმაციას გაზეთი "მარკა" გვაუწყებს. ტაბლოიდის მტკიცებით, სიაში ექვსი გვარია. მას სათავეში უდგას ლიონელი თავდამსხმელი **ქარიმ ბენზემა**. გერმანელ მწვრთნელს პორტუელი ნახევარმცველის, **რიკარდო კვარეშმას**, სევილიელი მცველების, **დანიელ ალვეშისა** და **კრისტიან პოულსენის**, აგრეთვე აიაქსელი და შტუტგარტელი თავდამსხმელების, **კლაას იან ჰუნტელაარისა** და **მარიო გომესის** შეძენა სურს. თავდამსხმელებთან დაკავშირებით მწვრთნელისა და კლუბის ხელმძღვანელთა აზრები ერთმანეთისგან განსხვავდება. "რეალის" სპორტული დირექტორი **პრედრაგ მიატოვიჩი** სევილიელ **ლუიშ ფაბიანოს** ანიჭებს უპირატესობას. სამეფო კლუბს ახალი თავდამსხმელი დაშავებული **რუუდ ვან ნისტელროის** შემცვლელად სჭირდება.

"დიარიო სპორტი" არანაკლებ საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს. მისი ვარაუდით, სამეფო კლუბი რვა ფეხბურთელს გამოეთხოვება. ზედმეტი მოთამაშეების სიაც საკმაოდ შთამბეჭდავია. პოპულარული ტაბლოიდის მტკიცებით, "რეალის" დატოვება მოუწევთ: **იერჯი დუდეკს, მიჩელ სალგადოს, კრისტოფ მეტცელდერს, ფაბიო კანავაროს, მამადუ დიარას, ჟულიო ბაპტიშტას, რობერტო სოლდადოსა** და **ხავიერ საველას**. სავიოლას იტალიაში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. არგენტინელ თავდამსხმელს "ლაციო" ეპატიჟება. "დიარიოს სპორტის" ცნობით, რომაელებთან გარიგების შემთხვევაში, "რეალს" მაკედონიელი **გორან პანდევს** დაუთმობენ.



ბერნდ შუსტერი

"რეალს" ისეთი ფეხბურთელებიც მოეძევება, რომლებიც არ სჭირდება და ვერც გასაყიდად იმეტებს. საუბარია ხუთ ახალგაზრდა ვარსკვლავზე, რომლებსაც "დიარიო სპორტის" ინფორმაციით, იჯარით გაშვება ელოდებათ. ესენი არიან **მარსელო, როისტონ დრენტე, ფერნანდო გაგო, ხავიერ ბალბოა** და **გონსალო იგუაინი**. ჯერჯერობით, უცნობია იმ კლუბების ვინაობა, რომლებიც ამ ბიჭებს კონტრაქტებს გაუფორმებენ.

ლივერპული

# მასკერანო ბოდიშს იხდის

"ლივერპულის" ნახევარმცველმა **ხავიერ მასკერანომ** მსაჯ **სტივ ბენეტს** ბოდიში მოუხადა. ბენეტი ბოლოსწინა ტურში, "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ლივერპულის" შეხვედრას უძღვებოდა. მან არგენტინელი ვარსკვლავი მინდვრიდან დაითხოვა. მასკერანო გასახდელში ძლივს გაიყვანეს. მისი საქმე სადისციპლინო კომისიას გადაეცა. ხავიერი ორი ყვითელი ბარათის გამო გააძევეს. ეს ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას ნიშნავს. ფეხბურთელს რომ პირდაპირ წითელი ბარათი მიეღო, სამი მატჩით დასჯიდნენ. მაგრამ ის მსაჯს შეეწინააღმდეგა და მდგომარეობა გაირთულა. ამიტომ მაინც სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის.



ხავიერ მასკერანო

"ლივერპულის" გამოსავალს ეძებს. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ფეხბურთელმა ბოდიში კლუბის დაჟინებული მოთხოვნით მოიხადა. მანჩესტერთან ნამატჩევს ხავიერი არგენტინის ნაკრებში სათამაშოდ, ეგვიპტეში გაემგზავრა. მან არგენტინელ ჟურნალისტებს განუცხადა, წარმოდგენა არ მაქვს, რატომ გამაძევესო. ის საკუთარ თავს დამნაშავედ არ მიიჩნევდა. დისკვალიფიკაციის გარდა, მასკერანოს ორი კვირის ხელფასის დაქვითვაც ემუქრება. ფეხბურთელს 120 ათას გირვანქაზე მოუწევს უარის თქმა. ეს ფულიც საფეხბურთო ასოციაციის ანგარიშზე გადაირიცხება.

სამწვრთნელო სვლები. ემპოლი და კატანია

# მალეზანის მერე ისევ კანი



ლუიჯი კანი

ბოლო ორი წელია, იტალიაში საინტერესო ტრადიცია დამკვიდრდა: გაგდებულ მწვრთნელებს უკან უხმობენ. მიმდინარე სეზონში ეს უკვე მოხდა "პალერმოს" მაგალითზე, ახლა სიცილიელებს "ემპოლიმაც" მიბაძა და 26 ნოემბერს მოხსნილი **ლუიჯი კანი**, ვის სახელსაც გასული სეზონის წარმატება უკავშირდება, პოსტზე დააბრუნა.

კლუბის ოფიციალური ვებგვერდი სტანდარტული განცხადებით შემოიფარგლა: *"უნდა გაცნობოთ, რომ მწვრთნელი ალბერტო მალეზანი და მისი ასისტენტი ეძიო სელა თანამდებობებიდან გათავისუფლდნენ. პრეზიდენტს სურს, მადლობა გადაუხადოს მალეზანის და მომავალში წარმატებები უსურვოს. დღეიდან "ემპოლიში" კვლავ ლუიჯი კანი იმუშავებს. მას ფაბრიციო ლორიერი დაეხმარება. კანი საქმიანობას დაუყოვნებლივ შეუდგება".*

ცნობისთვის, "ემპოლიში" მომხდარი ცვლილება მიმდინარე სეზონში მეთერთმეტე სამწვრთნელო გადაადგილებაა.

როგორც ვივარაუდეთ, "ემპოლის" მწვრთნელი **ალბერტო მალეზანი** "სამპდორიასთან" საშინაო მარცხს (0:2) შეეწირა. ამ წაგების შემდეგ, ტოსკანური კლუბის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. "ემპოლი", რომელსაც შარშან წარმატებული სეზონი ჰქონდა (გუნდი უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვდა), დღეს ცხრილის ფსკერზეა გართხმული და სულს ღაფავს. იმის გარანტია, რომ მალეზანის გაშვება სიტუაციას გამოასწორებს, ცხადია, არ არსებობს. ჩემპიონატის დასრულებამდე 7 ტური დარჩა. გადარჩენისთვის მინიმუმ 40 ქულის დაგროვებაა საჭირო. ტოსკანელებს ახლა 26 ქულა აქვთ...

## ბალდინის ძენგა შეცვლის?

გუშინ, სამწვრთნელო ცვლილება მოხდა "კატანიაშიც". ოთხმატჩიანმა მოუგებელმა სერიამ, სიცილიური კლუბის პრეზიდენტი **ანტონიო პულვირენტი** აიძულა, რადიკალურ ზომებზე წასულიყო. **სილვიო ბალდინი** გათავისუფლებულია. ვაკანტური პოსტის დაკავებას ლეგენდარულ მეკარე **ვალტერ ძენგას** უწინასწარმეტყველებენ.

ატლეტიკო

# რეიესს ნიუკასლში ელოდებიან

## მადრიდელებმა თავდამსხმელი რომაელებს შესთავაზეს

"ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, მადრიდის "ატლეტიკომ" რომაელ ცენტრალურ ნახევარმცველ **ალბერტო აკვილანის** დაადგა თვალი. ამ ბიჭს "ინტერი" და "იუვენტუსიც" აკვირდებიან. აკვილანი 23 წლისაა. "ატლეტიკოს" მისი შეძენა ისე ძალიან უნდა, რომ თანახმაა, თანხის გარდა, **ხოსე ანტონიო რეიესიც** "ჯალოროსის" დაუთმოს. რეიესი 24 წლისაა და "ატლეტიკოს" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ის კლუბის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა. რა გასაკვირია, რომ "როხიბლანკომ" მის გაყიდვაზე დაიწყო ფიქრი. გუნდიდან აბარგების შემთხვევაში, ხოსე ანტონიოს უმუშევრად დარჩენა არ ემუქრება. სპეკულაციების თანახმად, მას "ნიუკასლი" ეპატიჟება.

რეიესმა ინგლისში თამაშისას გაითქვა სახელი. მოგეხსენებათ, ის არსენალში ასპარეზობდა. 2006 წლის ზაფხულში ფორვარდმა მადრიდის "რეალს" მიაშურა, გასულ ზაფხულს ის "ატლეტიკოს" გადაულოცეს. გაისად, შეიძლება, ისევ ინგლისში ვიხილოთ. "ელ მუნდო დეპორტივო" იუწყება, რომ ფეხბურთელი თანახმაა, ალბიონზე დაბრუნდეს, ოღონდ ერთი პირობით, "ნიუკასლმა" პრემიერლიგაში ადგილი უნდა შეინარჩუნოს.



ხოსე ანტონიო რეიესი

13-მატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ "ნიუკასლმა" ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გამოისწორა. თუ სასწაული არ მოხდება, ჯორდები უმაღლეს ლიგაში დარჩებიან. ესე იგი, რეიესს პრემიერლიგაში დასაბრუნებლად გზა ხსნილი ექნება. მკითხველს შევახსენებთ, რომ თავის დროზე, "არსენალიდან" წასვლის ერთ-ერთ მიზეზად ფორვარდი ესპანეთის მონატრებას ასახელებდა. მაგრამ მისი კარიერის საუკეთესო წლები სწორედ ინგლისსა და პრემიერლიგას უკავშირდება.

ლოს ანჯელეს გალაქსი

# ბექჰემმა წაგებით დაიწყო

**დევიდ ბექჰემმა** და "ლოს ანჯელეს გალაქსიმ" ამერიკის პირველობა წაგებით დაიწყეს. ისინი "კოლორადო რეპიდსს" ესტუმრნენ და ოთხი უპასუხო გოლი გაუშვეს. საბრალო "გალაქსი" დენვერში ზედიზედ მეშვიდე წელია, მარცხდება. ესე იგი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი წაგება კანონზომიერი იყო. მაშასადამე, ბექჰემსა და ლოსანჯელესელთა ახალ თავკაც **რუუდ გულიტს** განსაკუთრებული ბრალი არ მიუძღვით. ნამატჩევს ბექჰემმა განაცხადა: *"დღეს ჩვენი საღამო არ იყო. პირველ ტაიმში რამდენიმე კარგი მომენტი შევქმენით, მაგრამ ვერ გავიტანეთ. საერთო ჯამში, ცუდად ვითამაშეთ. როცა ცუდად თამაშობ, გამარჯვება ძალიან ძნელია."*



დევიდ ბექჰემი

დევიდმა შარშანდელ სადებიუტო სეზონში მხოლოდ ხუთჯერ ითამაშა. დანარჩენი დრო მან ტრავმების მოშუშებას მოანდომა. ეს სეზონი მისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ბექჰემმა მთელ ამერიკას უნდა დაუმტკიცოს, რომ ასტრონომიულ ხელფასს ტყუილად არ უხდიან. ბექზმა პირველ ნახევარში, რომელიც თვითონაც ახსენა, რამდენიმე საუცხოო პასი გააკეთა, მაგრამ საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთებს არავინ გამოეხმაურა. ხუთშაბათს, "გალაქსი" სეზონის პირველ საშინაო მატჩს ჩაატარებს. მისი მეტოქე "სან ხოსე" იქნება. ყველა ბილეთი გაყიდულია. ლოსანჯელესელი გულშემატკივარი გამარჯვების მოლოდინშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტი

# გერმანული აზროვნება, ესპანური ტემპერამენტი

## მარიო გომესი, ფეხბურთელი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე უნდა გაიბრწყინოს

დღესდღეობით, არცერთ გერმანელ თავდამსხმელს არ გააქვს იმდენი გოლი, რამდენიც "შტუტგარტის" 22 წლის ფორვარდ **მარიო გომესს**. მარჯვენით, მარცხენით, თავით, მკერდით – მნიშვნელობა არა აქვს, როგორ ურტყამს გომესი, გოლი თითქმის ყოველთვის გააქვს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სუპერმარიო დღეისათვის გერმანიის ყველაზე პოპულარული გოლეადორია, თვით **მიროსლავ კლოზეზე** უფრო წარმატებული და პოპულარული.

თავად განსაჯეთ: მიმდინარე სეზონში გომესმა ბუნდესლიგაში, გერმანიის თასზე და ჩემპიონთა ლიგაში სულ 26 თამაში ჩაატარა და 24 (!) გოლი გაიტანა. გომესს გერმანიის ნაკრებშიც არანაკლებად კარგი შედეგი აქვს: 6 გოლი 9 თამაშში...

წარმოშობით ესპანელს, შვაბურ კლუბში ტორეროს ეძახიან. 1.89 მეტრი სიმაღლისა 84 კილოგრამი წონის პატრონს, შტუტგარტელი გოგონები სულ უკან დასდევენ.

„შტუტგარტთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ მარიო შვაბურ კლუბში 2012 წლამდე დარჩეს. გომესმა პირველად შარშან გაიბრწყინა და გერმანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, რის შემდეგაც მისით ევროპული გრანდები დაინტერესდნენ, მაგრამ დღემდე ყველა მთხოვნელს უარს ეუბნებოდა. ისე კი, გომესი „ბარსელონაში" თამაშზე ოცნებობს და ამას არც მალავს. მამამისი ანდალუსიელი გახლავთ და სწორედ მისგან გამოჰყვა მარიოს ესპანური ტემპერამენტი, რის გამოც გერმანელ ფანებს ის ძალიან უყვართ.

ჯერ მხოლოდ 22 წლისაა, მაგრამ უკვე გაზრდილი და ყოველმხრივ ჩამოყალიბებულია. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ მეგობარი გოგონა **სილვია**, რომელთან ერთადაც ცხოვრობს, სკოლაში გაიცნო. მაშინ მარიო 16 წლის გახლდათ და უკვე 6 წელია, რაც ერთად არიან.

2006 წლის მუნდიალის დროს გომესს მხოლოდ შტუტგარტში იცნობდნენ. მსოფლიოს ჩემპიონატს მარიო მიუნხენში, ჩვეულებრივ გულშემატკივრებთან ერთად, ქალაქის მთავარ მოედანზე უყურებდა. დღეს კი ბუნდესგუნდის ერთ-ერთი საუკეთესო გოლეადორია. წინა ოთხშაბათს გომესმა შვეიცარიის ნაკრებს დუბლი შეუსრულა (1 საგოლე პასი).

მისთვის გარდამტეხი 2007 წელი აღმოჩნდა, როცა მარიო გერმანიის ჩემპიონი და წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. უსმენს ჯასტინ ტიმბერლეიკსა და ნელი ფურტადოს, უდიდესი სიამოვნებით მიირთმევს პიცას.

გომესი აქ, გომესი იქ, გომესი ყველგან... სუპერმარიო ევროპის ჩემპიონატისთვის გერმანელთა ერთ-ერთი უმთავრესი იმედია. „ბილდ ამ ზონთაგთან" ინტერვიუში გომესმა წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე ისაუბრა.



გერმანელთა იმედი ევროპის ჩემპიონატისთვის. მარიო გომესს ბუნდესგუნდში 9 თამაშში 6 გოლი აქვს გატანილი

### გომესისთვის რეალი და მილანი იბრძვიან

*„ანდრეი შევჩენკო? უმჯობესია, მარიო გომესი გადავიბიროთ!"* – ეს „მილანის" მთავარი მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის სიტყვებია, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ სუპერმარიო „როსონერისთვის" სასურველი ფეხბურთელია.

გომესს უკვე მთელი მსოფლიო იცნობს და აფასებს. შესაბამისად, ცხადია, რომ მისით გრანდები დაინტერესდნენ. თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ "შტუტგარტს" ევროპაში მძიმე წონა არა აქვს, იოლი წარმოსადგენია, რომ თუ ევროპის ჩემპიონატზე გაიბრწყინებს, მომავალი სეზონიდან უკვე რომელიმე გრანდის თავდამსხმელი იქნება.

ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, რომ "მილანზე" მეტად მადრიდის "რეალი" აქტიურობს. "ბილდის" ცნობით, სამეფო გუნდს "შტუტგარტისა" და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელის გადაბირება ზაფხულშივე სურს. "რეალის" მთავარი მწვრთნელის, ბერნდ შუსტერის გეგმებში სუპერმარიოს ერთ-ერთი მთავარი როლი აქვს. ცოტა ხნის წინათ შუსტერმა „მარკას" უთხრა, ასეთი ახალგაზრდა და უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელი, რომელიც მოედანს უგოლოდ, ფაქტობრივად, არასდროს ტოვებს, ძალიან გვჭირდებაო. თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ გომესის ოცნების გუნდი "ბარსელონა" გახლავთ...

*"ჯერჯერობით, მხოლოდ ბუნდესლიგასა და ევროპის ჩემპიონატზე ვფიქრობ. არავინ იცის, რა მოხდება ევრო 2008-ის შემდეგ. გამორიცხული არაფერია,"* – ეს თვითონ გომესის სიტყვებია.

### პირველი ნაბიჯები

*"როგორც კი ფეხი ავიდგი, ჩემი საყვარელი სათამაშო მაშინვე ბურთი გახდა. უმეტესად მამაჩემი პეპე მეთამაშებოდა ხოლმე. სახლში, მისაღებ ოთახში ვთამაშობდით. დედაჩემი კრისტელი კი ყოველთვის ბრაზობდა, რადგან ან რაღაცას ვაფუჭებდი, ანაც, თუ გარეთ გავიდოდი, შინ ძალიან დასვრილი ვბრუნდებოდი. ხუთი წლის ვიყავი, როცა მამამ ფეხბურთზე შემიყვანა. ჩემი პირველი გუნდი "უნლინგენი" იყო."*

### ბავშვობა

*"მძიმე ბავშვობა ნამდვილად არ მქონია. მშობლებმა უდიდესი სიყვარულით გამზარდეს, არაფერს მაკლებდნენ. მე და ჩემი უფროსი და, ჯასმინი ერთ დღეს ვართ დაბადებულები და როგორც და-ძმას, უამრავი საერთო გვაქვს, მაგრამ ერთმანეთს ვერასდროს ვუგებდით. თავის წვეულებებზე არ დავყავდი, სამაგიეროდ, მე ჩემს მოპედზე ან ველოსიპედზე არ ვაკატავებდი ხოლმე."*

### დებიუტი პროფესიულ ფეხბურთში

*"დებიუტი ისეთ თამაშში მქონდა, რომელიც არასდროს დამავიწყდება. ასეთ დებიუტზე ყველა ფეხბურთელი ოცნებობს. ეს იყო 2004 წელს. მაშინ "შტუტგარტს" ფელიქს მაგათი წვრთნიდა და ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში გამოვდიოდით. მაგათმა ლონდონის "ჩელსისთან" გასვლით მატჩში, მოედანზე მე-80 წუთზე შემიყვანა. ეს წარმოუდგენელი რამ იყო – 18 წლის ბიჭი მოედანზე შევედი და იცით, ვისთან მომიხდა ჭიდილი? მარსელ დესაისთან..."*

### მეგობარი

*"ჩემი საუკეთესო მეგობარი კევინ კურანია. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია, რაც "შტუტგარტიდან" წავიდა, ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ვეკონტაქტებით, გერმანიის ნაკრებში ხომ ისედაც სულ ერთად ვართ. როდესაც „შტუტგარტის" პირველ გუნდში გადამიყვანეს, პირველი ფეხბურთელი, რომელიც ჩემთან მოვიდა, იქაურობა გამაცნო და მხარში ამომიდგა, სწორედ კურანი იყო."*

### დებიუტი ნაკრებში

*"ეს 2007 წელს, შვეიცარიასთან ტესტ-მატჩში მოხდა, რომელიც 3:1 მოვიგეთ. იოახიმ ლიოვმა ძირითად შემადგენლობაში გამამწესა. ეს გახლდათ ორმაგად სასიამოვნო დებიუტი, რადგან მეორე გოლი სწორედ მე გავიტანე. მართალია, სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის კანდიდატი ვიყავი, მაგრამ ეს ჩემთვის მაინც მოულოდნელი იყო."*

### ოცნების გუნდი

*"უნდა ვაღიარო, რომ ბავშვობაში ფრანკფურტის „აინტრახტის" ფანი ვიყავი. ოკოჩა, იებოა, გაუდინო – ეს მართლაც ძალიან მაგარი გუნდი იყო. „ბაიერნი" არასდროს მომწონდა, მიუნხენელები ხომ ისედაც ყოველთვის იგებდნენ..."*

### სიყვარული

*"სილვია ჩემთვის ნომერ პირველი და ერთადერთი ქალია. როგორც მე, ისიც უნლინგენიდანაა. ერთმანეთი ექვსი წლის წინათ, სკოლაში გავიცანით და მას მერე ერთად ვართ. თუმცა ჯერჯერობით, ქორწილზე ნამდვილად არ ვფიქრობ – ჯერ ხომ მხოლოდ 22 წლის ვარ. შეხედეთ, გერმანიის ნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკი 30 წლისაა და ჯერაც არ დაქორწინებულა."*

### მოტივაცია

*"ყველაზე ცუდი დღე 2007 წლის 10 მარტს მქონდა. ჩემპიონობისთვის ვიბრძოდით და „ვოლფსბურგთან" მატჩში უმძიმესი ტრავმა მივიღე. როცა ექიმმა დიაგნოზი მითხრა, ისე გავბრაზდი, რომ კედელს მუშტი დავარტყი და ორი თითი მოვიტეხე..."*

### ვერცხლის სინი

*"2007 წლის 19 მაისი – ამ დღეს ჩვენ გერმანიის ჩემპიონები გავხდით. ეს მართლაც გიჟური, არანორმალური სეზონი იყო. თავიდან სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი და არც კი მქონდა იმის იმედი, რომ ძირითადში ადგილს დავიმკვიდრებდი. ბოლოს კი გერმანიის ჩემპიონი და წლის საუკეთესო ფეხბურთელი გავხდი. ეს არის სეზონი, რომელიც მუდამ საუკეთესო იქნება ჩემს კარიერაში."*

### ზეიმი

*"შვეიცარიის ნაკრებთან შესრულებული დუბლის შემდეგ მეკითხებოდნენ, გოლის გატანას ყოველთვის ასე ოსტატურად რატომ აღნიშნავ და ამას როგორ ახერხებო. აბსოლუტურად გულახდილად გეუბნებით: ამაზე არასდროს მიფიქრია. ყოველი გოლი წარმოუდგენლად მახარებს. განსაკუთრებით ბედნიერი მაშინ ვარ, როცა 90-ე წუთზე გამარჯვების გოლი გამაქვს. აი, მაშინ კი იფეთქებს ხოლმე ჩემში ესპანური ტემპერამენტი."*

**გოტფრიდ ლენცი**

---

ვერდერი

# შააფს ვადა გაუვიდა?

ბრემენში მძიმე სურათია. „დუისბურგთან" ნაგების შემდეგ „ვერდერის" ხელმძღვანელებმა, მწვრთნელმა, ფეხბურთელებმა და ქომაგებმა განგაშის ზარებს შემოჰკრეს. ეს რომ ერთი ჩვეულებრივი ნაგება ყოფილიყო, ისეთი, ათასში ერთი რომ გამოერევა ხოლმე, სასონარკვეთილებაში არავინ ჩავარდებოდა. ამ შემთხვევაში კი სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე „ვერდერს" ბოლო დროს უაზრო ნაგებები დასჩემდა. **თომას შააფის** გუნდს რამსები აქვს არეული და მწვრთნელსაც, სადავეები ხელიდან გაექცა.

*„სალაპარაკო გვაქვს!"* - უთხრა შააფმა კვირას ჟურნალისტებს და ფეხბურთელებთან ერთად შეიკეტა. სალაპარაკო ბრემენელებს მართლაც ბევრი აქვთ - ბრემენული კლუბი საკუთარ თავს ალარ ჰგავს და სერიოზული საფრთხის წინაშე დგას: დიდი შანსია, რომ „მუსიკოსები" ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩნენ, რაც ამ გუნდისთვის სერიოზული პრობლემა იქნება.

26-ე ტურის შემდეგ ბრემენელები მე-5 ადგილზე არიან და 44 ქულა აქვთ. „ვერდერი" უახლოეს მდევარ „შტუტგარტს" სულ რაღაც 2 ქულით უსწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ასე გააგრძელებენ, ბრემენელები შესაძლოა, მეხუთე ადგილზეც კი ვერ გავიდნენ, რაც იმის მაუწყებელი იქნება, რომ ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო გერმანული კლუბი სულაც უეფას თასის მიღმა დარჩება – ჩემპიონთა ლიგის საგზურზე ხომ საუბარიც ზედმეტია. რატომ დაემართა „ვერდერს" ის, რაც დაემართა? მოდით, ვნახოთ, რას ამბობენ ბრემენში...

ვარჯიშზე ყველა ფეხბურთელი დროულად მოვიდა. გარდა ერთისა! **მესუთ იოზილს** თურმე საათის გადაწევა დაავიწყდა და ამის გამო 15 წუთით დაიგვიანა. სანამ **ტორსტენ ფრინგსი** ბაზაზე შევიდოდა, ჟურნალისტებს უთხრა, შაბათს გუნდი გუნდს არ ჰგავდა, ქომაგებს იმედები გავუცრუეთო. უშუალოდ ვარჯიშის დროს, ბრაზილიელი **დიეგო** ძალიან ანერვიულებული ჩანდა.

"დუისბურგთან" მატჩი (1:2): ეს ისეთი იყო იმედგაცრუება იყო, როგორიც „ვერდერს" თავისი ფანებისთვის ძალიან დიდი ხანია, ალარ შეუთავაზებია. გუნდმა, როგორც კოლექტიურად, ასევე ინდივიდუალურად, საშინელი ფეხბურთი ითამაშა. ვარჯიშის შემდეგ შააფი და მისი შეგირდები დაშვებულ შეცდომებს არჩევდნენ. ფირი იმდენად უსიამოვნო საყურებელი იყო, რომ ბრემენული კლუბის ბოსმა **კლაუს ალოფსმა** ველარ გაუძლო და დარბაზი ნაადრევად დატოვა. ფეხბურთელები ორთაბრძოლებში არ შედიოდნენ, ერთმანეთს არ ეხმარებოდნენ, არ დარბოდნენ და შეცდომებსაც უხვად უშვებდნენ. ნახევარმცველ **დანიელ იენსენის** დასკვნა ასეთია: *„კრიზისში ვართ!"* მაგრამ რატომ, რა არის ამის მიზეზი? იქნებ გადაჭარბებული თავდაჯერება? იქნებ „ვერდერს" ქებამ აწყინა?

*„იქნებ ზოგ-ზოგიერთები ფიქრობენ, რომ გამარჯვება თავისით მოვა? კრიზისი ვის არ ჰქონია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ასეთი წარუმატებლობა აბსოლუტურად გაუგებარია,"* - ეს კაპიტან **ფრანკ ბაუმანის** სიტყვები გახლავთ.



თომას შააფი დუისბურგთან მატჩის დროს. ბრემენელები ისე ცუდად თამაშობდნენ, რომ მწვრთნელს მოედნისკენ გახედვაც კი არ უნდოდა...

რა მოუტანა „ვერდერს" შააფის ორსაათიანმა ლექციამ? ფაქტია, რომ მწვრთნელი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ეს ცრუ ოპტიმიზმი იყოს. *„დღევანდელი გადასახედიდან, ჩვენი მხრიდან ევროტურნირებზე ფიქრი სამარცხვინოა. ჩემპიონთა ლიგაში რომ ვერ გავიდეთ, ეს ნამდვილი კატასტროფა იქნება. უეფას თასის საგზურით ნამდვილად ვერ დავკმაყოფილდებით,"* – აცხადებს დაცვის ბურჯი **პერ მერტეზაკერი**.

სეზონის უმთავრესი მიზანი (მინიმუმ სამეულში მოხვედრა) საფრთხეშია. მართალია, ფრინგსი გუნდის მებრძოლ სულზე საუბრობს და სჯერა, რომ ამ სეზონს „ვერდერი" სამეულში დაასრულებს, მაგრამ ტორსტენი მაინც ამბობს: *„ფრთხილად უნდა ვიყოთ, თუმცა ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, რომ ჩავისვარეთ. თუკი დასახული მიზნის მიღწევა გვსურს, ყველაფერი პირადული უკანა პლანზე უნდა გადავწიოთ და მხოლოდ ერთზე, „ვერდერზე" ვიფიქროთ."*

და მაინც: რა მოხდება, „მუსიკოსები" ჩემპიონთა ლიგის მიღმა რომ აღმოჩნდნენ? გამორიცხული არ არის, რომ შააფს, რომელიც ბრემენული კლუბისთვის თითქმის სავიზიტო ბარათად იქცა, კარისკენ მიუთითონ. იქნებ მასაც გაუვიდა ვადა? „ვერდერი" ერთ მუშტად შეკრული გუნდის შთაბეჭდილებას დიდი ხანია, ალარ ტოვებს – დაცვასა და შეტევას შორის ბალანსი ალარაა დაცული. კრიზისი კი უფრო და უფრო მძაფრდება. ვნახოთ, როგორი ზაფხული ექნებათ „მუსიკოსებს"...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩების წინ

# სპალეტი: რევანშის დროა

## ...მაგრამ ტოტის გარეშე. ვან დერ სარი საეჭვოა. შალკე შეტევაზე იფიქრებს. სად არის კობიაშვილის ადგილი?

ჩემპიონთა ლიგა გადამწყვეტ სტადიაში შედის. დღეს და ხვალ პირველი მეოთხედფინალებია. ყურადღების ცენტრშია "ოლიმპიკოს" მატჩი, რომელშიც "რომა" "მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობს. ცხადია, როცა ამ წყვილზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, გვახსენდება შარშანდელი მატჩი "ოლდ ტრეფორდზე", რომელიც "მანჩესტერის" ბრწყინვალე გამარჯვებით 7:1 დასრულდა (1:2 რომში). ისინი ერთმანეთს მიმდინარე გათამაშების ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ. ამჯერად, "იუნაიტედმა" შინ მოკრძალებული ანგარიშით (1:0) გაიმარჯვა, "ოლიმპიკოზე" კი ფრედ (1:1) ითამაშა...



რომა რევანშისთვის ემზადება

**რომა-მანჩესტერი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რომა:** დონი, კასეტი, პანუჩი, მექსე, ტონეტო, აკვილანი, დე როსი, ტადეი, მანსინი, ჟიული, ვუჩინიჩი.

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, სქოულზი, ჰარგრივსი, ანდერსონი, გიგზი, კრისტიანო რონალდო, რუნი.

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

"წითელი ეშმაკები" მნიშვნელოვან თამაშს საოცარ ფორმაში ხვდებიან. სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდი დამაჯერებლად ლიდერობს პრემიერლიგას და თუ სასწაული არ მოხდა, ჩემპიონის ტიტულს ზედიზედ მეორედ მოიგებს. საყურადღებოა ისიც, რომ "მენიუ" გოლებსაც, ფაქტობრივად, არ უშვებს. პრემიერლიგის ბოლო ხუთი მატჩი მათ "მშრალად" მოიგეს. საოცარი ფორმა რომ ვახსენეთ, ეს ინდივიდუალურად ფეხბურთელებსაც ეხებათ, მაგალითად, **კრისტიანო რონალდოსა** და **უეინ რუნის**. პირველმა, "ასტონ ვილასთან" ბოლო შეხვედრაში, 3 საგოლე პასი მიითვალა, მეორემ კი დუბლი გააფორმა. "რომას" მთავარი პრობლემაც ამ დუეტის განეიტრალება იქნება. ასე რომ, **ლუჩანო სპალეტის** ბევრი თავსატეხი აქვს...

აქ, პირველ რიგში, საუბარია არა იმდენად მეტოქე მოთამაშეთა მოთოკვაზე, არამედ საკუთარი თამაშის ორგანიზებაზე. ბოლო ხანებში "ჯალოროსის" ჩავარდნა ეტყობა. მართალია, სპალეტის გუნდმა "ინტერთან" სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირა, მაგრამ დიდწილად, ეს ლიდერის "დამსახურებაცაა". მაგალითად, შაბათს "რომამ" ვერ ისარგებლა "ინტერის" რომაული ფრით (1:1 "ლაციოსთან") და თავადაც ქულას დასჯერდა ერთ-ერთ აუტსაიდერ "კალიარისთან" გასვლით მატჩში, თან ეს ყველაფერი, კაპიტან **ფრანჩესკო ტოტის** ტრავმის ფასად. თუ რას ნიშნავს "რომასთვის" ტოტი, ვგონებთ, ეს დამატებით ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. უბედურება ისაა, რომ "პუპონემ", შეიძლება, ვერც საპასუხო შეხვედრაში ითამაშოს.

სხვა სირთულეებიდან აღსანიშნავია ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერის **სიმონე პეროტას** დისკვალიფიკაციაც. ეჭვქვეშაა, ითამაშებს თუ არა ბრაზილიელი ცენტრალური მცველი **ჟუანი**, რომელსაც ასევე ტრავმა აქვს. ამ შემთხვევაში, სპალეტის ისღა დარჩენია, დაცვის ცენტრში **ფილიპ მექსესა** და **კრისტიან პანუჩის** ტანდემი დააყენოს. წესით, აგრესიული უნდა იყოს წინა ხაზი, სადაც მწვრთნელი **მირკო ვუჩინიჩსა** და **ლუდოვიკ ჟიულის**, ხოლო გარემარბებად **ამანტინო მანსინისა** და **როდრიგო ტადეის** მოიაზრებს. ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ სპალეტიმ ვერ გარისკოს და ჟიულიზე უარი თქვას. ამ შემთხვევაში, ნახევარდაცვა **დავიდ პისაროთი** გაძლიერდება. აი, რას ამბობს სპალეტი მატჩის წინ:

*"როცა წილისყრამ გვამცნო, რომ "მანჩესტერს" ვხვდებოდით, ხელები მაღლა ავწიე და შევძახე: როგორც იქნა! ჩვენ გვაქვს შანსი, რომ რევანში ავიღოთ. იმის დროცაა, რომ საფეხბურთო საზოგადოებამ უფრო მეტად დაგვაფასოს და საბოლოოდ წარსულს ჩავაბაროთ ის, რაც შარშან, "ოლდ ტრეფორდზე" მოხდა. "მანჩესტერზე" რევანში ჩვენთვის ღირსების საქმეა. ანუ, ეს არის შანსი, რომ ძველი შეცდომები გამოასწორო. მაშინ, ინგლისელებმა 10-ჯერ დაარტყეს კარში და 7 გოლი გაგვიტანეს. ეს ანომალური მოვლენაა. ახლა, მთავარი ამოცანაა, საშინაო მატჩში გოლი არ გავუშვათ. ვიცი, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ საამისოდ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. ტოტი? რა თქმა უნდა, ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია, მაგრამ ახლა ამაზე წუწუნი უაზრობაა. უნდა ვითამაშოთ იმ რესურსით, რაც გვაქვს".*

რა ხდება "მანჩესტერის" ბანაკში. "ასტონ ვილასთან" მატჩში **მაიკლ ქერიკმა, პატრის ევრამ** და **რაიან გიგზმა** ტრავმები მიიღეს. **ედვინ ვან დერ სარმა** კი საერთოდ გამოტოვა ეს თამაში. შეიძლება, მწყობრში დაბრუნდეს **ლუის საა, დარენ ფლეტჩერს, მიკაელ სილვესტრსა** და **გარი ნევილს** კი კარგა ხანია ტრავმები აქვთ და ჯერ მზად არ არიან. თუმცა ფერგი მაინც იმედიანადაა: *"ყველა უკეთაა, გარდა ვან დერ სარისა. შეიძლება ითქვას, "რომასთან" მისი თამაში ეჭვქვეშაა. ბოლო ხანებში საზარდულის მან რამდენჯერმე დაიზიანა. ვნახოთ, როგორ იქნება სამშაბათისთვის. იმედი მაქვს, პრობლემას დავძლევთ".*

**მანჩესტერი VS იტალია**
12 მოგება, 4 ფრე, 12 წაგება.
ბურთები: 37-37.
**რომა VS ინგლისი**
8 მოგება, 9 ფრე, 10 წაგება.
ბურთები: 22-35.

**შალკე-ბარსელონა**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ასამოა, ჯოუნსი, ერნსტი, პანდერი, კურანი, ჰალილ ალთინთოფი.

**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, მილიტო, სილვინიო, ტურე, ჩავი, ინიესტა, კრკიჩი, ეტო'ო, ანრი (ან გუდიონსენი).

**არბიტრი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

"ფელტინს-არენა" დიდი გუნდის მოლოდინშია. ვთქვათ ასე, თუ რაღაც შეგვეშალა? რამდენადაა დღევანდელი "ბარსელონა" "დიდი გუნდი", გამომდინარე იქიდან, რაც ბოლო ხანს **ფრანკ რაიკაარდისა** და მისი სამწყოსოს თავს ხდება? უბრალოდ, დღევანდელი "ბარსა" მხოლოდ სახელი, წარსულის აჩრდილია. "ბეტისთან" შაბათის მატჩში, ასე ვიტყოდით, სკანდალურმა მარცხმა ("ბარსა" 2:0-ს იგებდა, მაგრამ ბოლოს 3:2 წააგო, თან 3 გოლი 15 წუთში გაუშვა), კატალონიური გრანდის პრობლემები საბოლოოდ გააშიშვლა. თუკი კლუბის უფროსობა ადრე გაურბოდა ამ თემაზე საუბარს და სირაქლემას პოზას იღებდა, გუშინ უკვე ოფიციალურ დონეზეც აღიარეს, რომ "ბარსა" მძიმე კრიზისშია. რაიკაარდს მოვუსმინოთ: *"ძნელია, ახსნა ის, რაც სევილიაში მოხდა. ერთადერთი, რაც შემიძლია, ფანებს ბოდიში მოვუხდი. როგორც მწვრთნელს, ამ შედეგის გამო მრცხვენია".*

ჩავარდნას ობიექტური მიზეზებიც აქვს. კუნთი აქვს დაჭიმული და ვერ თამაშობს **რონალდინიო**, ტრავმები აწუხებთ ასევე **დეკუს, რაფაელ მარკესსა** და **ლიონელ მესის**. შესაძლოა, "შალკესთან" მატჩში რაიკაარდმა მარცხენა ფლანგზე **სილვინიო** დააყენოს. "ბეტისთან" გამოტოვებული მატჩის შემდეგ მწყობრში ბრუნდება არგენტინელი ცენტრალური მცველი **გაბრიელ მილიტო**, რომელსაც საზარდულის ტრავმა აწუხებდა. საეჭვოა, ითამაშებს თუ არა **ტიერი ანრიც**. სევილიურ შეხვედრაში ისიც დაშავდა. თუ ფრანგმა მოედანზე გასვლა ვერ შეძლო, მის ადგილს ისლანდიელი **ეიდურ გუდიონსენი** დაიკავებს.

"შალკეს" ბანაკში გამოცოცხლება იგრძნობა. ბოლო უიქენდის შემდეგ, **მირკო სლომკას** გუნდი მესამე ადგილზე გადავიდა, თუმც ეს გამარჯვების გარეშე და სხვა ლიდერების "დახმარებით" მოახერხა. ვერ ვიტყვით, რომ "ბარსას" პრობლემების გამო, "მაღაროელები" ფავორიტები არიან თუნდაც საშინაო შეხვედრაში. მსოფლიო პრაქტიკა არა ერთ შემთხვევას იცნობს, როცა შინაურ ფრონტზე უსახურად მოთამაშე გუნდი ევროსარბიელზე წარმატებებს აღწევს. ამიტომ, რბილად რომ ვთქვათ, "შალკეს" უდიდესი სიფრთხილე მართებს. აქ, უპრიანია, გავიხსენოთ გელზენკირხენული მატჩი "ვალენსიასთან", როცა სლომკას გუნდმა ტიპური დაცვითი ფეხბურთი ითამაშა და 0:1 დამარცხდა. ასე რომ, საკუთარ საჯარიმოში ჩაკეტვა პანაცეა არ არის. ეტყობა, იმ გაკვეთილის გათვალისწინებით ამბობს "ხუმარათა" ლიდერი **კევინ კურანი**, მეტი სითამამით უნდა ვითამაშოთო: *"წინ სწრაფად უნდა წავიდეთ, რათა რაც შეიძლება მეტი საგოლე შანსი შევქმნათ, მერე კი ამ შანსების გამოყენებაზე ვიზრუნოთ".*

"კარლსრუესთან" მატჩში სლომკამ ექსპერიმენტი ჩაატარა. მარცხენა მცველი **კრისტიან პანდერი** ნახევარმცველად წასწია, ხოლო უკან, კარგ ფორმაში მყოფი **ჰაიკო ვესტერმანი** დაუყენა. მწვრთნელი მიიჩნევს, რომ ექსპერიმენტი წარმატებული იყო: *"მათ კარგად იმუშავეს. ერთმანეთს მშვენივრად უგებდნენ".*

თუმცა სლომკა არ არის დარწმუნებული, რომ "ბარსას" წინააღმდეგაც მსგავსი სქემით ითამაშებს. ფაქტი ერთია, რომ ამ განლაგებით **ლევან კობიაშვილისთვის** ძირითადში ადგილი კვლავ არ იქნება.

**შალკე VS ესპანეთი**
5 მოგება, 4 ფრე, 5 წაგება.
ბურთები: 15-10.
**ბარსელონა VS გერმანია**
19 მოგება, 8 ფრე, 11 წაგება.
ბურთები: 61-43.



[illegible]ი და ბორდონი. შალკე განწყობას არ უჩივის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

# პანიკა მილანელოში

## გაცხარებული მალდინი, ანერვიულებული პირლო და ბერლუსკონის ფილოსოფია. ანჩელოტი: ეს აღარ უნდა განმეორდეს

“მილანის” კაპიტანმა პაოლო მალდინიმ “ატალანტასთან” ნაგებით უკმაყოფილო გულშემატკივრებს ემოციურად უპასუხა. პირველი ტაიმის (2:0 ბერგამოელთა სასარგებლოდ) დასრულების შემდეგ, “სან სირომ” ფეხბურთელებს ცინიკური აპლოდისმენტები მოუწყო. ამას მოჰყვა შელაპარაკება მალდინისა და რამდენიმე ტიფოზს შორის. იქვე, საქმეში კარლო ანჩელოტი ჩაერია და ანერვიულებული კაპიტანი დააშოშმინა...

სახასიათო ამბავია. მარტო **პაოლო მალდინი** კი არა, საერთოდ “მილანი” მოიცვა პანიკურმა ნერვიულობამ, რაც თამაშის ხარისხზეც აისახება. ისეთ აღიარებულ “სტანდარტისტსაც” კი, როგორიც **ანდრეა პირლოა**, 11-მეტრიანიც ველარ გააქვს. ამ სეზონში გუნდს საოცრად უჭირს საკუთარ მოედანზე თამაში. 15 საშინაო შეხვედრაში “როსონერის” მხოლოდ 4 გამარჯვება აქვს. არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ საგაისოდ “მილანი” ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩეს. ეს კი სრული კატასტროფის ტოლფასი იქნება. **კარლო ანჩელოტი** ვითარებას ასე აფასებს:

*“ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. “ატალანტასთან” ჩვეულებრივი, ბავშვური შეცდომების გამო წავაგეთ. მე ვიცნობ ჩემს მოთამაშეებს და ვიცი, რა შეუძლიათ გააკეთონ დღეიდან სეზონის ბოლომდე. ჩვენ კვლავ გვაქვს პოტენციალი, მაგრამ ამ პოტენციალს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვიყენებთ, თუ შეცდომებს სწორად გავაანალიზებთ. ჩვენ არ უნდა ვეძებოთ ალიბი. თამაში ძალიან ცუდად დავიწყეთ და საერთოდაც, პირველი ნახევარი საშინელება იყო. ამის საფასური კი მატჩის ბოლოს გავიღეთ. ჩემპიონთა ლიგაში ვერმოხვედრა ძალიან მძიმე დარტყმა იქნება”.*

თავს ნურავინ მოიტყუებს და, თუ “მილანი” კვარტეტში ვერ მოხვდა, ეს ანჩელოტის ეპოქის დასასრული იქნება. სხვათა შორის, ამაზე “ატალანტასთან” ნაგებამდეც ლაპარაკობდნენ. უკმაყოფილების ტონი გამოსჭვივის **სილვიო ბერლუსკონის** სიტყვებშიც. ბოსი ბოლოდროინდელი წარუმატებლობით აღშფოთებულია, თუმც სიტუაციას ფილოსოფიურად აფასებს:

*“ისევე, როგორც “მილანის” ყველა გულშემატკივარი, გუნდის დღევანდელობა მეც მაფიქრებს. მაგრამ ყველას უნდა ახსოვდეს ის წარმატებები, რასაც ბოლო პერიოდში მივაღწიეთ. ბუნებრივია, ამას ყოველთვის მოსდევს დალმასვლა და “მილანი” ახლა სწორედ ამ სირთულეებს განიცდის”.*

ადრე, ბერლუსკონის ყოველ ასეთ კომენტარს თან სდევდა აუცილებელი განმარტება, რომ ანჩელოტი ხელშეუხებელი იყო. ამჯერად, პრეზიდენტმა მწვრთნელის საკითხს გვერდი აუარა, რაც მრავლისმეტყველია. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** კი მსაჯობაზე აპელირებს. მისი აზრით, არბიტრმა **კრისტიან ბრიგიმ** “მილანს” ორი ნაღდი გოლი არ ჩაუთვალა: ერთი **კლარენს ზეედორფის** შემთხვევაში, მეორე კი **მასიმო ამბროზინის** თავური იყო, რომლის დროსაც მეკარის წინააღმდეგ უხეშობა დაფიქსირდა. ამას გარდა, ის ეჭვობს ბერგამოელთა მეორე გოლის სამართლიანობაზეც. გალიანი აცხადებს, რომ თამაშის ბედი ცუდმა მსაჯობამ გადაწყვიტა. მოდით, მის არგუმენტებს მოვუსმინოთ:

*“ვაღიარებ, პირველ ტაიმში ბევრი შეცდომა დავუშვით და დავისაჯეთ კიდეც. მაგრამ მერე არბიტრი, ზედიზედ სამჯერ, უხეშად შეცდა, რამაც ფატალური შედეგი მოგვცა. მაგალითად, ბერგამოელმა ფლოკარიმ, ვიდრე კარში დაარტყამდა, ოდოს წინააღმდეგ უხეშად ითამაშა. ეს იყო აშკარა და დარწმუნებული ვარ, ამაში ყველა დამეთანხმება. უნდა ჩათვლილიყო ზეედორფის გოლი, ასევე ვფიქრობ ამბროზინის შემთხვევაშიც... საბოლოო შედეგი კი ის არის, რომ სახლში დავმარცხდით. თუმც ისიც მართალია, რომ ყველაფრის მსაჯებზე გადაბრალებაც არ შეიძლება. ჩვენი შეცდომებიც უნდა დავინახოთ. იმედია, ამას მწვრთნელიც ხედავს”.*

ერთიცაა, რომ ბოლოხანს, სამსაჯო შეცდომების გარშემო, იტალიაში ნამდვილი ისტერიაა ატეხილი. ყველა კლუბი, დიდი თუ პატარა, მარცხის მიზეზს მათ შეცდომებში ხედავს. “კალჩოპოლის” სკანდალის შემდეგ სერია A-ში ახალგაზრდა არბიტრების ტალღა წამოვიდა, რაც თავისთავად გამოუცდელობას ნიშნავს. ისე კი, ეს კარგი ალიბია. არადა, საბოლოო შედეგს მაინც ტაბლო განსაზღვრავს.

**გიორგი გელაშვილი**



მილანი-ატალანტა. ბოლო წუთზე ანდრეა პირლომ პენალტი ვერ გაიტანა

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ეტოო ჟილას ნაცვლად

## ალბერტოს არა ერთ ფეხბურთელში ცვლიან, როსონერი ვან ნისტელროიზეც ფიქრობსო...



ალბერტო ჟილარდინო

“მილანი” ისევ თავდამსხმელს ეძებს. “გაძეტა დელო სპორტის” ცნობით, “როსონერიმ” **სამუელ ეტოოს** ტრანსფერზე განაახლა მუშაობა. კამერუნელს ალბერტო ჟილარდინოს შემცვლელად განიხილავენ. იტალიელი თავდამსხმელი ახალ სამსახურში გადასვლას გეგმავს.

“გაძეტა დელო სპორტი” ვარაუდობს, რომ სეზონის ბოლოს ეტოოსაც კლუბის შეცვლა მოუწევს. მიმომხილველთა ნაწილი “ბარსელონაში” **ჟოზე მოურინიოს** დანიშვნას ელოდება. მოურინიო ახალ კლუბში **დიდიე დროგბას** მიიყვანს. ეტოოს პოზიციები კი შეირყევა. სამუელის სანაცვლოდ “როსონერის” დაახლოებით 40 მილიონი ევროს გადახდა მოუხდება.

სად გააგრძელებს კარიერას ჟილარდინო? ეს კითხვა აგვისტოს ტრანსფერებისას ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური იქნება. “გაძეტა დელო სპორტის” თანახმად, ჟილარდინოს “რომას” შესთავაზებენ. “მილანი” სანაცვლოდ ფრანგ ცენტრალურ მცველ **ფილიპ მექსესს** მოითხოვს. მოსალოდნელ გარიგებაში ალესანდრო დონისა და ამანტინო მანსინის გვარებიც ფიგურირებს. ჟილარდინოს “ინტერისა” და “ფიორენტინის” ვარიანტებიც აქვს. “მილანში” გადასვლის შემთხვევაში, “მილანმა” შეიძლება **ადრიანო** მოითხოვოს, ხოლო ფლორენციელებისგან - **სებასტიან ფრეი** ან **რიკარდო მონტოლივო**.

უახლესი სპეკულაციების თანახმად, “როსონერი” **რუუდ ვან ნისტელროის** კანდიდატურასაც განიხილავს. ჰოლანდიელის დაშავების შემდეგ “რეალმა” ინტენსიურად დაიწყო მის შემცვლელზე ფიქრი. ძლიერი ფეხბურთელის შეძენის შემთხვევაში, ვან ნისტელროიმ, შეიძლება, უკანა პლანზე გადაინაცვლოს. ასეთ შემთხვევაში, მისთვისაც უმჯობესი იქნება, თუ ახალ სამსახურს მონახავს. “მილანი” ამ მხრივ იდეალური ვარიანტი იქნებოდა. “ტუტოსპორტის” ცნობით, “როსონერი” მზადაა, ვან ნისტელროის სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზოს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, 31 წლის თავდამსხმელი საკმაოდ იაფი, 7 მილიონი ევრო ღირს.

გაზეთ “ტუტოსპორტის” ცნობით, “მილანი” “ინტერის” ბრაზილიელი ნახევარმცველით, **აპარესიდო სეზარითაც** დაინტერესდა. სეზონის ბოლოს 33 წლის ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი ხდება. “როსონერის” გადაწყვეტილი აქვს, ახალი კონტრაქტები შესთავაზოს 36 წლის ვეტერანებს - **ჯუზეპე ფავალისა** და **სერჟინიოს**.

მოსალოდნელი დანიშვნა

# ჟოზე, თქვენ ერთი კვირა გაქვთ

## მორატიმ მოურინიოს დრო დაუთქვა

“განსაკუთრებული პერსონა”, როგორც **ჟოზე მოურინიო** საკუთარ თავს უწოდებს, განსაკუთრებული ყურადღების ობიექტია. მის თითოეულ ნაბიჯს პრესა გამოხმაურების გარეშე არ ტოვებს. გასულ კვირას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა ინფორმაციას, მოურინიოს პარიზული ვოიაჟის თაობაზე. როგორც “კორიერე დელო სპორტი” წერდა, პორტუგალიელი სპეციალისტი საფრანგეთის დედაქალაქში “ინტერის” პრეზიდენტ **მასიმო მორატის** შეხვედრია. ცხადია, საუბარი სამომავლო თანამშრომლობას შეეხებოდა. რაც ყველაზე საინტერესოა, “კორიერე დელო სპორტს” ინფორმაცია მოურინიოს აგენტმა **ჟორჟე პინდეშმა** მიაწოდა.

ძნელი დასაჯერებელია, ბატონი მენდეში ცრუობდეს. თუმც თავად მოურინიომ. როგორც გუშინ ვწერდით, მორატისთან შეხვედრის ამბავი კატეგორიულად უარყო. ერთი დღით ადრე, ინგლისური “სანი” ამტკიცებდა, რომ მილანში მორატის ჯერ აგენტი ეახლა. სწორედ მაშინ დაითქვა პარიზი ვითომდაც კონსპირაციული შეხვედრის ადგილად. როგორც ამბობენ, “ინტერის” პრეზიდენტმა მწვრთნელობის პოტენციურ კანდიდატს ოთხწლიანი კონტრაქტი და სეზონურად 5.6 მილიონი გირვანქა შესთავაზა. მორატის ისიც უთქვამს, მოსაფიქრებლად ერთი კვირა გაქვთო...

ამავე დროს, ჟოზეს “ინტერის” ბოსისთვის თავადაც წაუყენებია პირობები. საკუთარი შტაბის დასაკომპლექტებლად ის სრულ თავისუფლებას ითხოვს, რაც ბუნებრივია. ამ შტაბში კი მოიაზრებიან ფიზმომზადების სპეციალისტი **რუი ფარიაში**, მეკარეების მწვრთნელი **სილვინო** და სელექციონერი **ვილაშ ბოაში**, და რაც მთავარია, როგორც მინიმუმ, **დიდიე დროგბას** ტრანსფერი.

ისე, მორატის ჟოზესთვის დიდი ბრძოლა მოუწევს, რაკი “განსაკუთრებულ პერსონას” სხვა შეთავაზებებიც აქვს. მოურინიოს სამსახურით თვით “მილანი” და “ბარსელონაც” არიან დაინტერესებულნი.

**გიორგი გელაშვილი**



მოურინიოს ინტერში ელიან

თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი. 1-2 აპრილი. ტამპერე

# ნილი ნაყარია



ნაკრების ორი ლიდერი გიორგი გოგშელიძე და რევაზ მინდორაშვილი ექიმ ზურაბ კახაბრიშვილთან ერთად

ავტორის ფოტო

გუშინ ტამპერეში წილისყრა გაიმართა და გაირკვა ჩვენი ფალავნების მეტოქეები. არ გაუმართლა **ბესარიონ გოჩაშვილს**, რომელიც პირველ წრეში ბულგარელ მსოფლიო ჩემპიონ **რადოსლავ ველიკოვს** ხვდება. ბადის ამავე ნახევარშია რუსი მსოფლიოს პრიზიორი **ჯამალ ოთარსულთანოვიც**.

**კობა კაკალაძე** თავდაპირველად მასპინძელ **იუნი როსენლოფს** ხვდება. ვფიქრობთ, წილისყრამ გაუმართლა **რევაზ მინდორაშვილს**, რომელსაც ფინალში გასვლა არ უნდა გაუჭირდეს. იგი თავიდან უკრაინიდან გერმანიაში გადაბარგებულ ჩვენს თანამემამულე **დავით ბიჩინაშვილს** ხვდება, რომელთანაც ერთხელ კი წააგო, მაგრამ დადებითი ბალანსი აქვს და მისი დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს. ამ წყვილში გამარჯვებულს ესპანელი **ხავიერ რამოსი** ელის, მეოთხედფინალში კი მისი სავარაუდო მეტოქე ნაკლებადცნობილ მაკედონიელი **დეიან ბოგდანოვს**, ბერძენ **თეოდოსიოს პავლიდისს**, ბელარუს **ივან იანკოვსკისა** და შვეიცარიელ **თომას ბიუხელს** შორის ერთ-ერთი იქნება. ამავე ეტაპზე მეორე ოთხეულს მოლდოველი **პიოტრ იანულოვი**, ბულგარელი **მიჰაილ განევი**, რუმინელი **ადრიან რეკორიანუ** და ებრაელი **სერგეი კოლესნიკოვი** შეადგენენ. ჩამოთვლილთა შორის ყველაზე ძლიერი ისევ ბიჩინაშვილია, მაგრამ თუ თავად ფორმაშია, ამათგან არც ერთის დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს. რაც მთავარია, ჩვენივე თანამემამულე და რუსეთის ნაკრების ლიდერი, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **გიორგი კეტოევი** აცდა - მას ფინალამდე არ შეხვდება.

**დავით მოძმანაშვილი** პირველად ბერძენ **ნესტორას ბაცელასს** ხვდება. ამათში გამარჯვებულს ესპანელ **ხოსე კუბასა** და რუმინელ **რარეს კინტოანუს** შორის მოგებული ელის.

დაბოლოს, რუსეთის "ანტიკოსთა" ნაკრებზეც ვთქვათ, რომელიც მისმა თავკაცმა **გოგი კოღუაშვილმა** ოფიციალურად დაასახელა და რომელიც ძალზე გადახალისებულია: **ნაზიმ მანკიევი (55), ასლან აბდულინი (60), რუსლან ბელხაროევი (66), ევგენი პოპოვი (74), ოლეგ შოკალოვი (84), ასლანბეკ ხუშტოვი (96), ხასან ბაროევი (120).**

**ირაკლი თავაძე**

# დღეს პირველი ოთხეული იწყებს




1-6 აპრილს ფინურ ტამპერეში მოჭიდავეთა დიდი თავყრილობაა - ერთმანეთის მიყოლებით იმართება ევროპის ჩემპიონატები თავისუფალ და ანტიკურ ჭიდაობებში, როგორც ვაჟთა ისე ქალტა შორის. გასაგებ მიზეზთა გამო, ტურნირში ჩვენგან მხოლოდ კაცები ჭიდაობენ, რადგან ქალთა ჭიდაობამ, მენტალიტეტიდან თუ სხვა მიზეზებიდან გამომდინარე, ფეხი ჯერაც ვერ მოიკიდა. მართალია, იყო პრეცედენტი - 2005 წელს, ბუდაპეშტში, მსოფლიო პირველობაზე **ელა გილიგაშვილმა** (59) იჭიდავა, მაგრამ პირველივე წრიდან გამოვარდა და საბოლოოდ მე-20 ადგილზე დარჩა.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ჩვენი გუნდების შემადგენლობებს. "თავისუფალთა" ღირსებას ძირითადად "ძველი გვარდია" დაიცავს: **ბესარიონ გოჩაშვილი (55), მალხაზ ქურდიანი (60), კობა კაკალაძე (66), გელა სალირაშვილი (74), რევაზ მინდორაშვილი (84), გიორგი გოგშელიძე (96), დავით მოძმანაშვილი (120).** "ანტიკოსთა" გუნდში: **ირაკლი ჭოჭუა (55), რევაზ ლაშხი (60), მუხრან მაჭუტაძე (66), შმაგი სალთხუციშვილი (74), ბადრი ხასაია (84), რამაზ ნოზაძე (96)** და **გურამ ფერსელიძე (120)** იჭიდავებენ. ჩემპიონატს "თავისუფლები" გახსნიან - 1-2 აპრილს ხალიჩა სწორედ მათ დაეთმობათ. პირველ დღეს საჭიდაოდ გოჩაშვილი, კაკალაძე, მინდორაშვილი და მოძმანაშვილი გავლენ.

"თავისუფალთა" ნაკრები წლეულს რთული ამოცანის წინაშეა - მხოლოდ ორი ოლიმპიური ლიცენზიის მფლობელია, დანარჩენი ხუთისთვის კი წლეულს უნდა იბრძოლოს. მაგრამ ბრძოლა ჯანდაბას, ამას არ გაექცევიან, მაგრამ საბრძოლველიც ბევრი არაფერია, ვინაიდან ევროპის პიველობის შემდეგ მხოლოდ ორი სალიცენზიო ტურნირი ჩატარდება. წონაში თითო საგზური ევროპაზეც გაიცემა და არაა გამორიცხული, ლიდერთაგან რომელიმემ ტამპერეშივე მოიპოვოს. შეგახსენებთ, რომ ლიცენზიები შარშან **ოთარ თუშიშვილმა** (66) და **გელა სალირაშვილმა** (74) გაინაღდეს.

## ბესარიონ გოჩაშვილი

25 წლის გორელ ფალავანს ნაკრებში მოხვედრა მუდამ დიდი ოფლისღვრის ფასად უჯდება. სამწუხაროდ, მისგან ცოტა მეტს ელოდნენ, ვიდრე მიაღწია. იგი 2001-ში ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, მომდევნო სეზონში იგივე ნაკრებში ვერცხლი უკვე ევროპაზე მოიპოვა და ეროვნულში ტიტულოვან და, რაც მთავარია, ძალზე პერსპექტიულ კაცად შეაბიჯა, თუმცა იქ ერთადერთხელ შედგა კვარცხლბეკზე - 2005-ის ევროპაზე ბრინჯაო მოიპოვა. სამწუხაროდ, წონის პრობლემა მასაც აწუხებს და შეფერხების უმთავრეს მიზეზადაც ეს მიგვაჩნია.

## მალხაზ ქურდიანი

სამწუხაროდ, 60-ის დარად, აქაც სერიოზული საკადრო პრობლემებია. ევროპის ორგზის ჩემპიონსა და მსოფლიოს პრიზიორ **დავით პოლოსიანს** ღირსეული შემცვლელი ვერა და ვერ გამოუჩნდა. არადა, თითქოს ნიჭიერი ბიჭები მოდიან, მაგრამ შედეგი არ ჩანს. აქ ბოლო ხანებში სამი ლიდერია - ქურდიანი, **გიორგი ბალიაშვილი** და **ლევან ჩაბრაძე**, თუმცა ჩაბრაძე უკვე თითქმის ჩამოშორდა ამ დუეტს. საქართველოს პირველობაზე პოზიციები დათმო **გიორგი მაყიშვილმაც** - ჩემპიონობა ბრინჯაოზე გაცვალა.

ქურდიანის სანაკრებო დებიუტი 2006 წელს შედგა, როცა ევროპაზე იჭიდავა. შარშან ის მსოფლიოზეც გამოვიდა, მაგრამ ჯერჯერობით, ხელშესახებ წარმატებებს ვერ მიაღწია. იგი ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონია და ნამდვილად საცოდაობა იქნება, მისი მონაცემების კაცმა უფროსებში ვერაფერს მიაღწიოს. სწრაფი, ტექნიკური და ხალიჩაზე ძალზე მოძრავია, მაგრამ დიდ შედეგებს მხოლოდ ეს არ ჰყოფნის. შეიძლება ყველაფერი მის ახალგაზრდულ ასაკსა და გამოუცდელობასაც დავაბრალოთ - ზაფხულში ხდება 22 წლისა, მაგრამ სტაბილურობაც აკლია.

## კობა კაკალაძე

რომ არა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონისა და ბრინჯაოს პრიზიორ **ოთარ თუშიშვილის** ტრავმა, არავინ იცის, მოხვდებოდა თუ არა ბათუმელი ფალავანი ნაკრებში. მაგრამ ლიდერის არყოფნით კაკალაძემ მშვენივრად ისარგებლა და საკუთარი შანსი ბოლომდე გამოიყენა. ვნახოთ, რამდენად წარმატებით გამოიყენებს ამ შანსს ევროპაზე. კაკალაძემ აქამდე ორჯერ იჭიდავა ნაკრებში და ორივეჯერ ევროპის პირველობაზე - 2005 და 2007 წლებში, თუმცა ხელშესახები წარმატებების გარეშე.

## გელა სალირაშვილი

ამ წონაში ჩვენი ნაკრების ლიდერად ხომ იქცა, ნელ-ნელა საერთაშორისო არენაზეც ანგარიშგასაწევ მოჭიდავედ ჩამოყალიბდა. ჯერჯერობით, მის კოლექციაში ეროვნულში მოპოვებული ერთადერთი მედალია - შარშან ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, მაგრამ შარშანვე მსოფლიოზეც მეხუთეზე გავიდა. სადღეისოდ მისთვის ყველაზე წარმატებული სწორედ შარშანდელი სეზონია. იგი წონის გამოკვეთილი აუტსაიდერი არც მანამდე ყოფილა, მაგრამ შარშან გარკვეულ სტაბილურობას მიაღწია და საშუალო დონის მოჭიდავიდან მედლის ზონაში მოტრიალე ფალავნამდე ამაღლდა. თუ პროგრესი გააგრძელა, მედლებსაც გაუშინაურდება. მან ლიცენზია შარშან, მსოფლიო პირველობაზე მოიპოვა და წლეულს ოლიმპიადისთვის მშვიდად მომზადების საშუალება მიეცა, მაგრამ ევროპა მისთვის მაინც სერიოზული გამოწვევაა.

საქართველოს პირველობაზე სალირაშვილმა წონა არ დაიკლო და 84-ში იჭიდავა, თუმცა მეორეზე მაინც გავიდა. მაინცდამაინც დიდ კონკურენციას ვერც 74-ში გრძნობს, სადაც მეტოქეებად ახალგაზრდები შემორჩნენ.

## რევაზ მინდორაშვილი

ლუკა კურტანიძის ნაკრებიდან ამოვარდნის შემდეგ, გუნდის ყველაზე ტიტულოვან წევრად გურჯაანელი ფალავანი იქცა - მის კოლექციაში ევროპისა და მსოფლიო პირველობების სამივე სინჯის თითო მედალია. მას შრომა არასოდეს ეზარებოდა და მით უფრო ახლა, როცა ასაკში შევიდა, კიდევ უფრო დაღვინდა და კარიერის დასასრულსაც მიუახლოვდა. მის კარიერას მხოლოდ ოლიმპიური მედალი აკლია, საამისოდ კი პეკინის ოლიმპიადა ბოლო შანსია. სამწუხაროდ, თავისი შანსი ათენში ვერ გამოიყენა - ის ოლიმპიადა მისთვის, როგორც მთელი გუნდისთვის, კოშმარული აღმოჩნდა.

მინდორაშვილი ათენის ოლიმპიადამდე უფრო ევროპის პირველობებზე ყოჩაღობდა - სამივე ევროპული მედალი იმ ციკლში მოიპოვა, რასაც მსოფლიოდან ერთადერთი ბრინჯაო დაუმატა. აი, ნაოლიმპიადევს 2005-ში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, 2006-ში - ვერცხლი მოიპოვა. იგი ამ ტურნირზე შარშანაც ფავორიტად ჩავიდა ბაქოში, მაგრამ უმედლოდ დარჩა. მედალი კი არა, ლიცენზიაც ვერ მოიპოვა. ძნელია ამის მიზეზების ერთნიშნად ახსნა. ცხადია, უთუოდ გასათვალისწინებელი და სათქმელია, რომ იგი მასპინძელთან დამარცხდა, რომელსაც მსაჯთა დახმარება უეჭველად ექნებოდა. ჩვენდა სამწუხაროდ, მერე ისიც მალევე გავარდა და მინდორაშვილს არც სანუგეშოში ჩართვის საშუალება მისცემია. მაგრამ ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ მუდმივად მაღალი მიზნებისთვის ბრძოლამ - ზედიზედ ორჯერ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ჭიდაობა ხუმრობა საქმე ნამდვილად არაა - ფსიქოლოგიურად გადაღალა. თან, მისი ასაკიც გავითვალისწინოთ - მინდორაშვილი მალე 32 წლისა გახდება! ამ ასაკში კონცენტრაცია და მობილიზაცია ძნელია, მაგრამ ამის კომპენსაცია გამოცდილების ხარჯზე შეუძლია.

## გიორგი გოგშელიძე

2001 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ოღონდ რუსეთის სახელით, რომელიც ჩრდილოეთში საქართველოს დროშით ჭიდაობაზე ოცნებობდა. მინდორაშვილთან ერთად, მისი ულიცენზიოდ დარჩენაც ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო. გოგშელიძე საქართველოს სახელით გამოსვლაზე კი ოცნებობდა, მაგრამ აქ ჩამოსულს სამშობლო დედინაცვალივით დახვდა. საქმეს ვერც ქვეყნის პრეზიდენტის სიტყვიერმა განკარგულებამ უშველა და საბოლოოდ მსოფლიო ჩემპიონი კაცი მშობლიურ გორში საკუთარი ჭერის გარეშე, ნაქირავებ ბინაში აღმოჩნდა, რაკილა თავისი ბინა რუსეთში წასვლისას დას აჩუქა. მისი საბინაო პრობლემა ვერა და ვერ გადაიჭრა... ცნობილი სპორტსმენისადმი ასეთ გაუმართლებელ დამოკიდებულებას რომ თავი დავანებოთ, გორში მას სავარჯიშო პირობებიც არ ჰქონდა - არ ჰყავდა სპარინგ-პარტნიორები, რაზეც თავადაც დაუჩივლია. ვფიქრობთ, მისი წარუმატებლობების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მართლაც ეს იყო, თუმცა წარმატებებიც ჰქონდა - 2006-07 წლებში ევროპაზე ბრინჯაო მოიპოვა, შარშან კი მსოფლიოზე მეორე იყო. მაგრამ მიგვაჩნია, მას რომ ნორმალური სპარინგები ჰქონოდა, მეტსაც მიაღწევდა.

კიდევ კარგი, ახლა ვითარება შეიცვალა, რაშიც წვლილი ნაკრების თავკაც **ზაზა თურმანიძის** ახლებურმა მიდგომამაც შეიტანა. ბაქოში წარუმატებლობამ მწვრთნელს რადიკალური ზომებისაკენ უბიძგა და მანაც ნაკრები უწყვეტ საშეკრებო რეჟიმში გადაიყვანა. გუნდი ძირითადად გლდანში, ყოფილი ოლიმპიური რეზერვების ბაზაზე დაბინავდა და მსოფლიოს მერე ლამის მთელი ეს ხანგრძლივი პერიოდი შეკრებებში გაატარა. ამან გოგშელიძესაც არგო - სპარინგების პრობლემა მოეხსნა და ახლა გარეშე თვალიც კი იოლად ამჩნევს, რამდენად უკეთეს ფორმაშია. იმედია, ეს ჩემპიონატი მისთვისაც ახალი გამოწვევა იქნება და მედალსა და ოლიმპიურ ლიცენზიას ერთად მოიპოვებს.

## დავით მოძმანაშვილი

22 წლის სპორტსმენმა აქამდე ეროვნულში ორჯერ მსოფლიო თასებზე იჭიდავა, შარშან კი ძალა მსოფლიო ჩემპიონატზეც მოსინჯა, მაგრამ წარუმატებლად გამოვიდა. ტამპერეში მას ევროპული დებიუტი ექნება. ის ადრე 96-ში ჭიდაობდა და საკმაოდ კარგი მიღწევებითაც გამოირჩეოდა, სამომავლოდ კარგ პერსპექტივებსაც უსახავდნენ, მაგრამ მძიმეში გადაიყვანეს, იქ კი როგორღაც ჩაიკარგა. იოლი ნამდვილად არაა არც წონის ასე შეცვლა და არც - ახალგაზრდულიდან უფროსებში წარმატებით გადანაცვლება. ამ ყველაფერს შეჩვევა და ადაპტაცია სჭირდება, მაგრამ გავბედავთ და ვიტყვით, რომ მოძმანაშვილს მძიმე წონისთვის შესაფერისი ფიზიკური მონაცემებიც არ გააჩნია, თან ცოტა დაბალიცაა. ვნახოთ, რამდენად შეეგუება ახალ ამპლუას და როგორ იჭიდავებს ფინეთში...

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი

# რუსული შვიდეული ცნობილია




რუსეთის ძიუდოისტთა ნაკრების თავკაცმა **სერგეი ტაბაკოვმა** 11-13 აპრილს ლისაბონში გასამართი ევროპირველობის მონაწილეები ვაკანტურად დარჩენილ ორ წონაშიც - 81-სა და 100-შიც დაასახელა. თანაც, ძალზე საინტერესო გადაწყვეტილებები მიიღო - 81-ში **ალიბეკ ბაშკაევი** დააყენა, 100-ში - **ასლან უნაშხოტლოვი**. 28 წლის ნალჩიკელი ფალავანი სალიცენზიო რეიტინგში მეორეა და ბევრად უსწრებს თანაგუნდელებს. ამდენად, სრულიად გასაგებია, ტაბაკოვმა რატომ თქვა უარი წონის აქამდელ ლიდერზე, ევროპის ჩემპიონ **რუსლან გასიმოვზე**, რომელსაც, სხვათა შორის, რეიტინგში მეორე თანაგუნდელი - **აშხაბ კოსტოევიც** უსწრებს. უნაშხოტლოვი ევროპის ბრინჯაოს პრიზიორია გუნდურ ჩათვლაში, შარშან კი როტერდამის სუპერთასი მოიგო და უკვე გაინაღდა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია.

ტაბაკოვის გადაწყვეტილება თითქოს უფრო მოულოდნელია 81-ში, სადაც სალიცენზიო რეიტინგში ბაშკაევს თბილისის წლევანდელი ტურნირის ჩემპიონი **სირაზუდინ მაგომედოვი** 6 ქულით უსწრებს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით - ბაშკაევმა თავისი 116 ქულა მხოლოდ სამ ტურნირში მოინაგრა, მაგომედოვის 122-იანი მონაგარი კი, შარშანდელიდან მოყოლებული, 7 შეჯიბრებიდან აღებული 4 საუკეთესოს ჯამია. 18 წლის ჩერკესკელი ბაშკაევი ნაკრებში წლეულს გამოჩნდა და წარმატებითაც - თბილისში მესამე იყო, პარიზის სუპერთასის ფინალში **გიორგი ბაინდურაშვილი** დაგვიმარცხა და ჩემპიონი გახდა, პრაღაში კი შედარებით უფერულად გამოვიდა, მაგრამ მას მაინც რუსული ძიუდოს ერთ-ერთ იმედად მიიჩნევენ.

**ირაკლი თავაძე**

კალათბურთი. საქართველოს ნაკრები

# არის მწვრთნელი!

## ვინ არის? მაჰორიჩი არ არის. ვინაობას რამდენიმე დღეში შევიტყობთ


ბესიკ ლიპარტელიანი ახალი მწვრთნელის ვინაობას ჯერ არ ამხელს

საქართველოს ნაკრები 2007 წლის სექტემბრის შემდეგ უმწვრთნელოდაა. **კენ შილდსის** წასვლის შემდეგ საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ახალი სპეციალისტის ძიებაშია და...

...გუშინ, ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა გვითხრა, რომ ახალ მწვრთნელთან შეთანხმება უკვე მიღწეულია, დარჩენილია მხოლოდ რამდენიმე მცირე დეტალის დაზუსტება. ვინაიდან ახალ უცხოელთან არსებობს შეთანხმება, რომლის მიხედვით საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე მხარეებს ერთმანეთის გათქმის უფლება არ აქვთ, დღეს ახალი მწვრთნელის გვარს ვერ დაგვისახელებენ.

*"საქართველოს ნაკრების მომავალ მწვრთნელთან შეთანხმება მიღწეულია, არის რამდენიმე საკონტრაქტო ნიუანსი, რომელთა შეთანხმება აუცილებელია და მათ საბოლოო გარკვევამდე მწვრთნელის ვინაობის გაჟღერება სწორი არ იქნება. შემაფერხებელი ფაქტორი აღარ არსებობს და 3-4 დღეში საზოგადოება მის სახელსა და გვარსაც გაიგებს,"* - როგორც მიხვდით ეს სიტყვები ფედერაციის პრეზიდენტს ეკუთვნის.

ჩვენს გაზეთში ერთი-ორჯერ ვახსენეთ სლოვენიელი **ტომო მაჰორიჩის** გვარი. იგი ამჟამად **მანუჩარ მარკოიშვილს** წვრთნის "კიევში". სლოვენიაში სხვადასხვა დროს სტეფანიასთან, ცქიტიშვილთან, ბოისასთან, უგრეხელიძესთან და ტულუშთან უმუშავია. ტომოს ნაკრების მწვრთნელად ჩამოყვანის საკითხი დღის წესრიგში აქამდე ორჯერ დადგა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მივიდა. კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა ამჯერადაც პირველი მოწვევა მაჰორიჩს გაუგზავნეს...

*"ტომოსთან მოლაპარაკებას ვაწარმოებდით, მაგრამ დღეს დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ის ახალი მწვრთნელი მაჰორიჩი არ არის,"* - გვითხრა ბესიკ ლიპარტელიანმა.

რადგან ვინაობის გასარკვევად მცირე მოთმინება დაგვჭირდება, ვერ მოვითმინეთ და ფედერაციის პრეზიდენტს ნაკრების მომავალი მწვრთნელის კომპეტენციაზე ვკითხეთ - ჰერბერტის დონისაა თუ...

*"წინასწარ ბევრი მსჯელობა საჭიროდ არ მიმაჩნია, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ შეიძლება იგი ჰერბერტზე უკეთესიცაა..."*

ასე და ამგვარად, უახლოეს დღეებში ქართველი ქომაგი შეიტყობს ნაკრების მომავალი დამრიგებლის ვინაობას, რომელიც 2004 წლის შემდეგ მეოთხე უცხოელი მწვრთნელი იქნება, **დრაჟენ ბრაიკოვიჩის** (2004 წელს), **გორდონ ჰერბერტის** (2005-2006 წლები) და **კენ შილდსის** (2007 წელი) შემდეგ..

**ვაჟა სიმონიშვილი**

# მერვედან ფონს არ იცვლიან

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტას" რეგულარული სეზონის ფინიშის მოახლოებისას მეორე სუნთქვა გაეხსნა და ზედიზედ იგებს მნიშვნელოვან მატჩებს. ჯორჯიელებმა ზედიზედ მეორე საშინაო მატჩში იმარჯვეს. მაიკ ვუდსონის შეგირდებმა ამდენად თანაკონფერენციელ აუტსაიდერს "ნიუ იორკს" მოუგეს - 114:109 და აღმოსავლეთ კონფერენციის პლეი ოფში გამსვლელი მერვე ადგილი უფრო განიმყარეს. ისინი 33 მოგებითა და 40 წაგებით ინონებენ თავს, ხოლო მეცხრეადგილოსან "ნიუ ჯერსს" 31 მოგების წილ, 43 მარცხი მოუგროვდა.

რაც შეეხება ფაჩულიას მონაგარს, იგი 12:25 წუთში 4 ქულას (1-დან 1 ორქულიანი, 4-დან 2 ჯარიმა) დასჯერდა, რასაც 2 მოხსნა მიამატა, ამდენივეჯერ კი დაჯარიმდა.

მორიგი ორმაგი დუბლი მიითვალა სასტარტო ხუთეულიდან ზაზას ამომგდებმა **ელ ჰორფორდმა**, რომელმაც 38 წუთში 18 ქულა, 13 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა.

**კობა ხატისაშვილი**

ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი. ვაჟები

# მოგება შეკვეთით


კონსტანტინე შანავა

მესამე ადგილისათვის: **კონსტანტინე შანავა (2521) - მიხეილ მჭედლიშვილი (2635) - 1:0. საერთო ანგარიში - 2:2.**

საქართველოს ჩემპიონი კვირას გამოვლინდა, გუშინ კი დიდი შანსი იყო, მესამეადგილოსანიც გარკვეულიყო: **კონსტანტინე შანავასა** და **მიხეილ მჭედლიშვილის** სამდღიანი ბრძოლის შემდეგ მჭედლიშვილი 1,5:0,5 იგებდა; მეოთხე ტურში ყაიმიც ჰყოფნიდა, რაც მისი კლასის დიდოსტატისთვის იოლი არა, მაგრამ ნამდვილად შესაძლებელი იყო.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიხეილის სათამაშო სტილი ისეთია, ზედმეტ რისკს ერიდება და თავდაცვაც კარგად გამოსდის. გუშინ თეთრებით შანავა იყო, რაც მის საწყის უპირატესობას განაპირობებდა, მაგრამ მოსაგებად ისეთი გზები უნდა მოეძია, ლამის გარანტირებულად მიელო სასურველი შედეგი. ასეთ დროს ზედმიწევნით აქტიური თამაშია საჭირო. შანავა შემტევ მოჭადრაკედ ითვლება და არსენალში რამდენიმე იარალი ნამდვილად ექნებოდა გადანახული, საკითხავი ის იყო, რომელ ვარინატს გამოიყენებდა ამჯერად.

დაიწყო პარტია და დარბაზში მყოფი ცოტაოდენი მაყურებელი გაკვირვებული დააცქერდა დაფას: რუსულ პარტიაში კონსტანტინემ უკვე მესამე სვლაზე შეწირა მხედარი, კომპენსაციის სახით კი მხოლოდ ორი პაიკი მიიღო; მცირე ხანში ერთი პაიკიც დათმო. აშკარა იყო, რომ შანავას ამ ვარიანტზე ღრმად უფიქრია, რასაც ვერ ვიტყოდით მჭედლიშვილზე - როგორც ჩანს, მისთვისაც მოულოდნელი იყო გათამაშებული ვარინატი და თავდაცვის გზებს ეძებდა. შუა თამაშში თეთრების შეტევა გამოიკვეთა: კომპენსაცია სოლიდური მიიღეს - ცენტრი დაიპყრეს და მძიმე ფიგურებიც მეფის ფრთაზე გადავიდნენ. პარტიის შემდეგი ანალიზით გამოჩნდა, რომ მოსაგებად რამდენიმე გზა არსებობდა, თანაც ძალიან ლამაზი ვარიანტებით სავსე, რაც რამდენიმეგზის შეწირვებს გულისხმობდა. კონსტანტინემ უშეცდომოდ მიიყვანა შეტევა ბოლომდე და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა.

სამწუხაროა, რომ ტურნირზე არ კეთდება პარტიათა სრული ანალიზი. არ ვლინდება საუკეთესო პარტიები, სხვადასხვაგვარი კუთხით არ გამოარჩევენ ამა თუ იმ შეხვედრას, რაც აუცილებელია და უფრო მიმზიდველს გახდიდა ჩემპიონატს. ვერ მოგახსენებთ აღნიშნული პარტია რა ადგილს დაიკავებდა ამ კრიტერიუმებით, მაგრამ ჩემი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესო ნამდვილად იქნებოდა. აქ ყველაფერს იხილავდით: შეწირვას, შეტევას, კომბინაციას და ლამაზ დაბოლოებასაც...

მოგებით შანავამ საერთო ანგარიში გაათანაბრა - 2:2. დებულების თანახმად, გამარჯვებულის გამოსავლენად ორი 25-წუთიანი პარტია დაინიშნა, რომელიც დღეს გაიმართება. მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში ორ ხუთწუთიან პარტიაში გამოვლინდება გამარჯვებული. თუკი აქაც ვერ ვიხილეთ უძლიერესი, მაშინ დაინიშნება "არმაგედონი", სადაც თეთრებს 6 წუთი მიეცემათ, შავებს - 5; ყაიმის შემთხვევაში გამარჯვებულად შავებით მოთამაშე გამოცხადდება. 25-წუთიანსა და 5-წუთიანში ყოველ სვლაზე 10 წამი ემატებათ მოჭადრაკეებს, "არმაგედონში" კი სუფთა დრო ა გათვალისწინებული. მატჩი დღის 12 საათიდან დაიწყება.

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილმა ფინალი წააგო

საქართველოს პირველმა ჩოგანმა **მაკა ჩახნაშვილმა** კარგად იასპარეზა ამერიკის ქალაქ ჰემონდში, სადაც ქალ ჩოგბურთელთა ტურნირი დასრულდა. ტურნირის საპრიზო ფონდი 25 ათასი ამერიკული დოლარი იყო, მაკა კი ორგანიზატორებმა მე-5 ნომრად განთესეს. უკვე გაუწყეთ, რომ ქართველმა აგვისტოს მერე ზედიზედ ორი მატჩი პირველად მოიგო, რასაც კიდევ ორი მიაყოლა და ფინალში გავიდა. ფინალში მაკას ისეთი მეტოქე ჰყავდა, რომ ტიტულისთვის ბრძოლაში ფავორიტი იყო – 21 წლის ამერიკელი **კარლი გალიქსონი**. კარლი მსოფლიოს 542-ე ჩოგანია, ის გაცილებით წარმატებით 2005 წლის სეზონში გამოდიოდა, როცა მსოფლიოს 174-ე ჩოგნობამდე ამაღლდა (მისი კარიერის პიკი). ჰემონდის ტურნირის ფინალამდე მან საკვალიფიკაციო ბადიდან გააღწია.

კარლი გალიკსონი მაკასთან ფინალურ მატჩში მოტივირებული გამოვიდა, ქართველმა ხომ ნახევარფინალში ოთხი წლით უმცროსი და **ჩელსი გალიქსონი** დაუმარცხა. სამსეტიან ორთაბრძოლაში გამარჯვებული ამერიკელი დარჩა – 4:6, 6:4, 4:6. მაკა რამდენიმე ევროპაში დაბრუნდება, სადაც რამდენიმე დღის დასვენების მერე მონსონის (ესპანეთი) 75-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ითამაშებს ან ბიარიცის ტურნირის (საფრანგეთი, 25 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გამოვა.

ამასობაში ამერიკულ პელჰემში ანალოგიური ტურნირი (25 ათასი დოლარი) იწყება, იქ საკვალიფიკაციო ბადის მატჩები სრულდება. ვერაფრით გაგახარებთ, ჩვენი მეორე ჩოგანი, 17 წლის **ანა ტატიშვილი** ცუდ ფორმაშია – ანა მეორე ნომრად იყო განთესილი პელჰემის ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში და პირველ წრეში ისვენებდა, პირველ წრეში **სალომე დევიძემ** მე-14 ნომრად განთესილი იაპონელი **ტომოკო სუგანო** დაამარცხა – 6:1, 6:4. სალომემ მეორე წრეშიც მოიგო, მან ინდოელი **შიხა უბეროი** დაამარცხა – 6:4, 3:6, 6:4. ანამ კი, მოულოდნელად, ხორვატ **მირიანა ლუჩიჩთან** წააგო – 2:6, 6:4, 3:6. ძირითად ბადეში გასასვლელად დევიძე ბელარუს **ანა ორლიკს** შეხვდება. სხვათა შორის, სალომემ ბოლოს ზედიზედ ორი მატჩი სექტემბერში მოიგო.


მაკა ჩახნაშვილი

თურქულ კურორტ ბელეკში 10-ათასიანი ტურნირის მეორე საკვალიფიკაციო წრე ქართველთაგან მხოლოდ **თეონა ცერცვაძემ** გადალახა, რომელმაც 6:1, 6:0 მოუგო რუმინელ **ირინა ტაჩეს**. თეონამ მესამე წრეც წარმატებით დასძლია, სადაც მან უნგრელი **შილა არგიელანი** დაამარცხა – 6:4, 4:6, 6:3. თეონამ ბელეკის ერთობ გაწელილი საკვალიფიკაციო ბადე წარმატებით დაასრულა, ბოლო წრეში მან სლოვაკ **კატარინა მარაჩკოვას** აჯობა – 6:3, 6:4. ძირითად ბადეში თეონა მე-7 ნომრად განთესილ რუს **ელიზავეტა ტოჩილოვასკაიას** შევხდება. **სოფიო ქვაცაბაია** კი სლოვაკ **პატრისია ვერესოვას** დაუპირისპირდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ქართული სპორტის ქრონიკები

თენგიზ თომაშვილის პროექტი

იუბილარი

## ლეგენდა 75 წლისაა

ამერიკელთა ჰეგემონია სიმაღლეზე ხტომაში იმდენად მყარი იყო, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, ისე მოულოდნელად დაესმებოდა წერტილი მათ უძლეველობას, როგორც ეს მოხდა რომში, 1960 წლის ოლიმპიადაზე. უფრო სენსაციური კი ის იყო, რომ, რაც ვერ შეძლო ვერც აზიის, ვერც ევროპისა და სხვა კონტინენტის ვერც ერთი ქვეყნის წარმომადგენელმა, შეძლო პატარა საქართველოს შვილმა **რობერტ შავლაყაძემ.** გარდა ამერიკელი ლეგენდარული ჯონ თომასისა, ოლიმპიური ოქროს მედლისთვის იბრძოდნენ საბჭოთა სპორტსმენები ვალერი ბრუმელი და ვალერი ბოლოშოვი. ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი გახდა. ამერიკელთა ჰეგემონია დაემხო. რობერტმა ოლიმპიური ოქროს მედალი პირადი საუკეთესო შედეგით მოიპოვა, არადა, ოლიმპიადების ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა სიმაღლეზე მხტომელმა თავის თავს სწორედ ოლიმპიურ ტურნირში აჯობა.



რობერტ შავლაყაძის ღვაწლი სრულიად გამორჩეულია ქართული სპორტის ისტორიაში. მისი სპორტული გმირობა და ისტორიული გამარჯვება საქართველოს სპორტსმენთა თაობების პატრიოტული სულისკვეთებითა და დასახული მიზნის მიღწევის რწმენით აღზრდის სტიმულად იქცა.

ბატონი რობერტი მოაზროვნე პიროვნება ბრძანდება და ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ გულთან ახლოს მიაქვს ყველაფერი, ვერც უსამართლობას ურიგდება, სათქმელსაც პირდაპირ ამბობს. ქართული სპორტის სამსახურში გაატარა მთელი ცხოვრება და რა გასაკვირია: "მისი წყლული, აჩნდეს წყლულად".

დღეს ლეგენდარული რობერტ შავლაყაძე 75 წლისა გახდა.

ვულოცავთ!

*"ლელოს" რედაქცია*

მილოცვა

**საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 75 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს სიმაღლეზე ხტომაში რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და სოკის ორდენების კავალერს რობერტ შავლაყაძეს.**

იუბილარი

## სახელოვანი სპორტსმენი და მეცნიერი

არაერთ დიდ სპორტსმენს საზოგადოებრივი ცხოვრების დიდ სარბიელზეც გზა წარმატებით გაუგრძელებია. ასეთი პიროვნებები არღვევენ სტერეოტიპულ წარმოდგენას სპორტსმენებზე და საყოველთაო ყურადღების ცენტრში ხვდებიან უკვე სხვა სფეროში მიღწეული წარმატებებით.



ლერი გოგოლაძემ დინამოელ თანაგუნდელებთან ერთად წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც ქართული, ისე საბჭოთა და, საერთოდ, საწყალბურთო სამყაროში. სრული 16 წელიწადი იცავდა მშობლიური "დინამოს" კარს, აქედან 7 წელიწადი სსრკ ნაკრებში ითამაშა, რომის ოლიმპიურ თამაშებზე დაეუფლა ვერცხლის მედალს. გახდა ევროპის ჩემპიონატისა და მსოფლიო უნივერსიადის მეორე პრიზიორი, სამჯერ საბჭოთა კავშირის ვიცე-ჩემპიონი, ხუთჯერ ბრინჯაოს მედალოსანი, მიენიჭა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება.

შემდეგ ლერი გოგოლაძის სახელი უკვე ზუსტ მეცნიერებასთან ასოცირდება. სპორტულს მიემატა ახალი სამეცნიერო ტიტულები: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 1986 წლიდან სათავეში ჩაუდგა თსუ-ს ზოგადი მათემატიკის კათედრას, იყო ამ უმაღლესი სასწავლებლის პრორექტორი, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

სახელოვან სპორტსმენსა და მეცნიერს დღეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ!

*"ლელოს" რედაქცია*

ცხენოსნობა

## იპოდრომზე მერნების მატებაა

საქართველოს ცხენოსნობის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა ერთი კლუბი ერთბაშად სხვადასხვა ჯიშის 8 სპორტულ მერანს იძენს. თბილისის იპოდრომის კლუბმა ეს ცხენები რუსეთში, კერძოდ, როსტოვის კიროვის ცნობილ ცხენსაშენში შეიძინა საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მხედრის, გუდაუთელ **ხარლამ სიმონიას** დახმარებით, რომელიც დიდი ხანია მოსკოვში ცხოვრობს და რუსეთის მოქალაქეა.



იმის გამო, რომ რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობები შეზღუდულია, დახმარება ქართველებს აზერბაიჯანელმა მეგობრებმა გაუწიეს. ის 8 ცხენი მათ შეიძინეს, ჩაიყვანეს ბაქოში და შემდეგ გადაფორმდა თბილისის კლუბზე.

მერნების ასაკი 4-11 წელია. ყველა მათგანი დაბრკოლებათა გადალახვაში ასპარეზობისთვის მომზადდება. მხედრები შერჩეულია.

ისტორია

## ახლანდელ რუსთაველზე დოღები იმართებოდა

### გრიგოლ ორბელიანის ცხენს ბადალი არ ჰყავდა

58 წლის წინათ, "ლელოს" 1950 წლის 28 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა, ა. ხუნდაძის წერილი "ჯირითი და მარულა". გთავაზობთ საინტერესო ამონარიდს ამ წერილიდან: "თბილისში ჯირითი ჩაღდებოდა თელეთობისას, ქალაქის კარების გარეთ - ორთაჭალისკენ და მთაწმინდობას - ეხლანდელ რუსთაველის პროსპექტზე. 1878 წელს თბილისში გამართულ მარულაში თავი ისახელა პოეტ გრიგოლ ორბელიანის "მერცხალმა". ამ ცხენმა 1879 წლის ოქტომბერში გამართულ დოღშიც გაითქვა სახელი. ამის შესახებ "დროება" წერდა: "ბოლოს ორჯერ გადადების შემდეგ, ამ თვის 29 და 30-ს, როგორც იყო, გაიმართა ჩვენს ქალაქში დოღი... ამ დღეს მეორე ჯილდოც გ. ორბელიანის ცხენმა მოიგო"...

55 წლის წინათ...

## ფილმი საქართველოს სპორტსმენებზე

55 წლის წინათ, 1953 წლის მარტში თბილისის კინოსტუდიამ ეკრანზე გამოუშვა ორნაწილიანი ფერადი დოკუმენტური ფილმი "საქართველოს სპორტსმენები". წინა წელს პირველად გავიდნენ ოლიმპიურ სარბიელზე ჩვენი ათლეტები და ფილმში მათი სახეები დომინირებდნენ ქართული სპორტის ვეტერანებთან ერთად. იმ პერიოდში, საერთოდ, ახალფეხადგმული იყო სპორტული კინო და არც ეს ფილმი ყოფილა დაზღვეული ნაკლოვანებებისგან. 1953 წლის 22 მარტს "ლელო" №24 წერდა: "თბილისის კინოსტუდიამ აღნიშნული ფილმის გამოშვებით უთუოდ კარგი საქმე გააკეთა, მაგრამ სასურველია შემდგომში თავი დააღწიოს ნაკლოვანებებს და მაყურებლებს მიაწოდოს საინტერესო, მიმზიდველი კინონარკვევები საქართველოს სპორტსმენთა სისხლსავსე ცხოვრების შესახებ."

სპორტული განათლება

## ჯერ იყო ტექნიკუმის განყოფილება

1930 წელს თბილისის პედაგოგიურ ტექნიკუმთან გაიხსნა ფიზკულტურული განყოფილება, 1935 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა ფიზკულტურის ფაკულტეტი, რომელიც 1938 წელს გადაკეთდა ფიზკულტურის დამოუკიდებელ ინსტიტუტად.

აქვე ვიტყვით, რომ 1931 წელს შეიქმნა ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა სპორტული მეცნიერების წინსვლაში მსოფლიო მასშტაბით, ფიზკულტურის ინსტიტუტთან ერთად.

1933 წელს თბილისში გაიხსნა ფიზკულტურის ტექნიკუმი.

როგორც იცით, დღეს უკვე გაუქმებულია ფიზკულტურის ინსტიტუტის სამართალმემკვიდრე სპორტის აკადემია, რომელსაც მიმდინარე წელს დაარსებიდან 70 წელი უსრულდება. ფიზკულტურის ტექნიკუმის სამართალმემკვიდრე სპორტის კოლეჯი კი, ახლა, თავისი არსებობის 75-ე წლისთავზე უქმდება.

## რას წერდნენ ჩვენზე

პროკოფი კესარიელი კოლხეთის განთქმულ ქალაქ აფსარუს შესახებ წერს: "ეს ქალაქი ძველად მრავალმოსახლიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და იგი შემკული იყო თეატრითა და ჰიპოდრომით. მას მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივი ქალაქის სიდიდის მომასწავებელია. ამჟამად აქედან სხვა არაფერი დარჩენილა, გარდა ნაგებობათა საძირკველისა."

ქართული ფეხბურთის ისტორიიდან

## აფხაზეთის ფეხბურთი 100 წლისაა

"ლელომ" სხვადასხვა დროს, შარშან და ადრეც, არაერთგზის შეახსენა ყველას, რომ დასადგენი იყო ქართული ფეხბურთის ასაკი. სხვა თუ არაფერი, არანაირ ეჭვს არ იწვევდა, რომ თბილისის ფეხბურთს, მაგალითად, 100 წელი შეუსრულდა შარშაწწინ. გაიხსენეთ, აგერ, არც ისე შორეულ წარსულში დედაქალაქში თამაშობდა გუნდი "შევარდენი-1906". ამ უტყუარმა საბუთმაც ვერ მისცა სტიმული მავანთ, საზეიმოდ აღენიშნათ თბილისის ფეხბურთის საიუბილეო თარიღი. უფრო აქტიურები აღმოჩნდნენ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები. ისინი, უკვე კარგა ხანია, მთელი ძალისხმევით ემზადებიან აფხაზეთის ფეხბურთის 100 წლისთავის აღსანიშნავად.

"ლელოსთან" სატელეფონო საუბარში აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **მურად ანჯაფარიძემ** აღნიშნა, რომ შექმნილია საიუბილეო სამუშაო ჯგუფი და აფხაზეთის ფეხბურთის საუკუნოვანი იუბილე სულ მალე, სავარაუდოდ, მაისის მეორე ნახევრაში აღინიშნება საზეიმოდ. მზადდება სპეციალური წიგნი, ალბომი, საიუბილეო საგაზეთო ჩანართი, სატელევიზიო ფილმი.

როგორც ბატონმა მურადმა გვითხრა, ეს იდეა თურმე აფხაზეთშიც აიტაცეს და მზად არიან, გარკვეულწილად მიიღონ მონაწილეობა საიუბილეო ღონისძიებებში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება საქართველოს ახალგაზრდული და აფხაზეთის ნაკრებების საფეხბურთო მატჩი.

ლელოს ფოტომატიანე

აფხაზეთში აღზრდილი მოთამაშეებით ქართული ფეხბურთი მუდამ ამაყობდა. საქართველოს უპირველეს გუნდში თბილისის "დინამოში" ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში დაოსტატებული მაღალი კლასის არაერთი ფეხბურთელი გამოდიოდა სხვადასხვა დროს. მწვანე მინდორზე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს თბილისელი და სოხუმელი დინამოელი თანაკლუბელები ამხანაგურ მატჩებში.

ეს ფოტოსურათიც, რომელსაც აქვე გთავაზობთ, გადაღებულია ერთ-ერთი ამხანაგური თამაშის შემდეგ.



დგანან: მარცხნიდან - ვ. ბერეჟნოი, გ. ჯორბენაძე, ვ. ვარდიმიადი, ბ. პაიჭაძე, ა. პოლიმატიდი, გ. ჯეჯელავა, ა. მინჯია, თ. გავაშელი, ა. კიკნაძე, ბ. ფროლოვი, მ. ჭელიძე, ს. სიხარულიძე, გ. ლჩიდი; პირველ რიგში - გ. დიხამინჯია, გ. ანთაძე, ა. ორფანიდი, პ. ბუმბურიდი, გ. გაგუა, შ. ლომინაძე, გ. ნაზარიანი...

## პირველი, პირველმა, პირველად...



**პირველი** ქართული მსოფლიო ჩემპიონი ველორბოლაში გახდა **ომარ ფხაკაძე**. ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანში ქართველმა მრბოლმა ეს მაღალი სპორტული ტიტული მოიპოვა 1965 წლის 9 სექტემბერს.



**პირველმა** საქართველოს სპორტსმენებიდან სპორტის სათამაშო სახეობებში ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ფრენბურთელმა **ვაჟა კაჭარავამ.** იგი ოლიმპიმური ჩემპიონი გახდა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში.



**პირველად** საბჭოთა სპორტსმენმა ქალმა მძლეოსნობის ისტორიაში, ნინო დუმბაძემ დაამყარა მსოფლიო რეკორდი. 1939 წლის 18 სექტემბერს, მოსკოვში მან ბადრო 49.11 მეტრზე ტყორცნა, თუმცა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ეს შედეგი მხოლოდ არაოფიციალური რეკორდების სიაში შეიტანა, ვინაიდან იმ დროს სსრკ ამ ორგანიზაციის წევრი არ იყო.

იყო ასეთი შემთხვევა...

## ხალიჩიდან გაათრიეს

ირანში თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობა ტარდება. **გიორგი სხირტლაძის** მეტოქე ფინალში ირანელი ფალავანი იყო. გიორგიმ კრიტიკულ მომენტში გამოიჭირა ირანელი, გამარჯვების მიღწევამდე წამებილა რჩებოდა, როცა რამდენიმე ადგილობრივი გულშემატკივარი ხალიჩაზე შეიჭრა, გიორგის ფეხებში წაავლეს ხელი და ისე გაათრიეს არენიდან.

ეს უპრეცენდენტო შემთხვევა იმით დასრულდა, რომ ქართველმა ფალავანმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაკარგა.

იუმორი

## ძალოსნობა ვიზუალურად

ცნობილი ფალავნის, მსოფლიო ორგზის ჩემპიონის **გურამ სალარაძის** ბიძამ, **იორამ სალარაძემ** ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო მასწავლებლად მშობლიურ ონში.

სკოლის ინსპექტირებისას შემმოწმებლებს სპორტულ დარბაზში შტანგა შეუნიშნავთ.

**- კი მაგრამ, ასეთი სიმძიმის შტანგას ბავშვები როგორ წევენო - უკითხავს ერთ სტუმარს.**

- არა ბატონო, მე ვწევ, ბავშვები მიყურებენო...

## ველოსპორტი. ტრეკის მსოფლიო ჩემპიონატი

# რიდმა ბრიტანელებს მეათე ოქრო წაართვა




ჩემპიონატი ჯენი რიდის გამარჯვებით დასრულდა

ინგლისის ქალაქ მანჩესტერის ველოტრეკზე დასრულდა სატრეკო ველოსპორტში მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელზეც მასპინძლებმა, ბრიტანელმა ველომრბოლელებმა ოქროს ცხრა მედალი მოიპოვეს. ხუთდღიანი ჩემპიონატის პირველმა ოთხმა დღემ ისე ჩაიარა, რომ ბრიტანელები მინიმუმ ორი ოქროს მოპოვებას ახერხებდნენ. მაგრამ ბოლო დღეს მათ ვერცერთი ტიტულის დაუფლება ველარ შეძლეს.

ამაში "დამნაშავე" კი ამერიკელი **ჯენი რიდია**, რომელმაც ქალთა კეირინი (ტურნირის ბოლო რბოლა) მოიგო და რაც მთავარია, უკან მოიტოვა ბრიტანელი **ვიქტორია პენდლტონი**, ვისაც უკვე მოპოვებული ჰქონდა ოქროს ორი მედალი (გუნდურ და ერთეულთა სპრინტში).

სულ მანჩესტერში მედლების 18 კომპლექტი გათამაშდა, რომელთაგან ნახევარში პირველობა არავის დაუთმეს მასპინძლებმა. ბრიტანელებმა ორი ვერცხლის მედალიც მოიპოვეს. ალსანიშნავია, რომ სატრეკო მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, ამდენი ოქრო ადრე არავის მოუპოვებია. რეკორდსმენი კი აქამდეც ბრიტანეთის ნაკრები იყო, რომელმაც შარშანდელ ჩემპიონატზე შვიდი ოქროს მოპოვება შეძლო.

*"რა თქმა უნდა, განბილებული ვარ, რომ მესამე ოქროს ალება ველარ შევძელი. მით უმეტეს, რომ კეირინში გამარჯვებას ყველაზე მეტად ველოდი. სამაგიეროდ, ჩვენმა ნაკრებმა მთელი ჩემპიონატი ბრწყინვალედ ჩაატარა, რაც ოლიმპიურ სეზონში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შინაურ ტრეკზე ასპარეზობაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო და ვიმედოვნებ, რომ ამ გრძნობას ლონდონის ოლიმპიადაზეც განვიცდი"*, - განაცხადა პენდლტონმა.

კეირინის ფინალური წრე მეტად საინტერესო გამოდგა. ამერიკელმა ბოლო ვირაჟზე შეძლო მეტოქის ჩამოტოვება და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი, რითაც თავის კარიერაში, პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

*"ამ გამარჯვებას დიდხანს ველოდი. სტარტამდე ჩემს თავს ვუთხარი, რომ ყველაფერი უნდა მეღონა მიზნის მისაღწევად. მთავარი კი ის იყო, რომ რბოლა ტრეკზე გასვლამდე არ წამეგო. ჩემი გამარჯვება პირველ რიგში, სწორედ ფსიქოლოგიურმა განწყობამ განაპირობა"*, - განაცხადა რიდმა, ვინც ერთეულთა სპრინტში ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

რიდი დასძენს, რომ ახლა მისი მზერა პეკინის ოლიმპიადისკენაა მიპყრობილი. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ოლიმპიურ პროგრამაში კეირინი არ შედის. ამიტომ, ამერიკელი ველომრბოლი მხოლოდ სპრინტებში იასპარეზებს, სადაც მისი მთავარი მეტოქე კვლავ პენდლტონი იქნება.

სხვათა შორის, პეკინში სატრეკო ველოსპორტში მედლების მხოლოდ ათი კომპლექტი გათამაშდება. მანჩესტერული ჩემპიონატის ბოლო დღეს, არცერთ ოლიმპიურ დისციპლინაში არ გამართულა რბოლა. ისიც საინტერესოა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე, ბრიტანელებმა ოქროს მედლები რვა ოლიმპიურ დისციპლინაში (ათიდან) აიღეს.

ჩემპიონატის ბოლო დღეს ყველაზე მეტი, ორი ოქრო ჰოლანდელებმა მოიპოვეს - ერთკილომეტრიან დროზე ინდივიდუალურ რბოლაში ყველაზე სწრაფი **ტეუნ მულდერი** იყო, ქალთა სკრეტჩი კი **ელეონორა ფან დიიკმა** მოიგო.

ნარბოლევს მულდერმა განაცხადა, ჩემპიონატამდე ერთი კვირით ადრე გავიგე, რომ კილომეტრიან დროზე რბოლაში უნდა გამოვსულიყავი და ბუნებრივია, ამ დისციპლინაში საასპარეზოდ მზად არ ვიყავიო. ის კეირინისა და სპრინტისთვის ემზადებოდა. თუმცა, გამარჯვება იმ სახეობაში მოიპოვა, რომლისთვისაც არც მომზადებულა. გარკვეულწილად, მისი გამარჯვება იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ ამ სახეობაში არ უასპარეზია მსოფლიოს ბრიტანელ ჩემპიონ **კრის ჰოის**, ვინც რბოლაში გამოსვლისგან თავი მხოლოდ იმის გამო შეიკავა, რომ კილომეტრიანი დროზე რბოლა ოლიმპიური პროგრამიდან ამოღებულია.

მედლების არაოფიციალურ ჩათვლაში მეორე ადგილი ჰოლანდიის ნაკრებმა დაიკავა, რომელმაც მანჩესტერში სამ-სამი ოქრო-ვერცხლი და ორი ბრინჯაო მოიპოვა. ოქროს ორი და ბრინჯაოს ერთი მედლით, მესამეზე ბელარუსის გუნდი გავიდა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ოლიმპიზმი. პეკინი 2008

# ჩირაღდანი ჩინეთს ეწვია

გუშინ, პეკინის ოლიმპიადის ჩირალდანი საბერძნეთიდან ჩინეთში ჩაიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ ტიბეტის თავისუფლების აქტივისტებმა ჩირალდნის საბერძნეთიდან ჩინეთში გამგზავრებასთან დაკავშირებული ოფიციალური ცერემონიალის ჩაშლა სცადეს, ის მაინც ჩატარდა. ჩინეთში ოლიმპიური ცეცხლი პეკინის ტიანანმენის მოედანზე აენთო.

ჩირალდნის ესტაფეტის დაწყებას ჯერ კიდევ ათენში გამოუჩნდა მოწინააღმდეგეები, როცა აეროპორტის გზაზე მას რამდენიმე ათეული პროტესტანტი დახვდა. პოლიციამ და დაცვის სამსახურმა მათ აეროპორტამდე მიღწევაში ხელის შეშლის საშუალება არ მისცეს. აეროპორტის გზაზე ჩირალდანს ათასობით პოლიციელი, მათი ტექნიკა და საპატრულო ვერტმფრენების კოჰორტა მიაცილებდა.

*"პეკინის ოლიმპიადის დაწყებამდე 130 დღე რჩება. ჩვენ და მთელი მსოფლიოს სპორტული და არამარტო სპორტული სამყარო, ამ მომენტს მოუთმენლად ველით"*, განაცხადა ჩირალდნის მიღების ცერემონიალზე, ათენის აეროპორტში , პეკინის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შეფმა **ლიუ ქიმ**.

შეძახილებით - "ჩინეთი შორს ტიბეტიდან", "თავისუფლება ტიბეტს", პროტესტენტები, რომელთა შორისაც ბერძნებიც იყვნენ, ლონისძიების ჩაშლას ცდილობდნენ, მაგრამ პოლიციის კორდონებმა მათ ამის საშუალება არ მისცა. პოლიციამ რამდენიმე ბერძენი აქტივისტი დროებით დააკავა კიდეც, თუმცა ისინი ცერემონიის დასრულებისთანავე გაათავისუფლეს.

პეკინში კი, ჩირალდანმა ტიანანმენის მოედნიდან აილო სტარტი. სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ესტაფეტის დასაწყისში, მისი ტარების პატივი თანამედროვე ჩინეთის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ სპორტსმენს, 110 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ლიუ სიანს** ხვდა წილად. მას კი ჩირალდანი ჩინეთის პრეზიდენტმა **ჰუ ძინტაომ** გადასცა.

ოლიმპიური ცეცხლი ერთ დღეს პეკინში გაატარებს, შემდეგ კი ყაზახეთის ქალაქ ალმატისკენ აიღებს გეზს და პეკინში დაბრუნებამდე 136 000 კილომეტრს გაივლის (დაგეგმილია მისი ევერესტზე ატანაც). ოლიმპიზმის ისტორიაში, ეს ოლიმპიური ცეცხლი ყველაზე გრანდიოზული და უგრძესი ესტაფეტა იქნება და ამ ესტაფეტაში არნახულად ბევრი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას.



ჰუ ძინტაო ჩირალდანს ლიუ სიანს გადასცემს

სხვათა შორის, ჩირალდანს გზაზე კიდევ არაერთი საპროტესტო გამოსვლა დახვდება. მაგალითად, ტიბეტის თავისუფლებისა და მსოფლიოს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები გამოსვლებს მაშინ გეგმავენ, როცა ჩირალდანი ლონდონში, პარიზში, სან ფრანცისკოსა და მსოფლიოს სხვა მეგაპოლისებში გაივლის.

შეგახსენებთ, რომ პეკინის ოლიმპიადა სტარტს 8 აგვისტოს აიღებს და 24 აგვისტოს დასრულდება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-მაიამი 88:62**

32:13, 18:17, 18:18, 20:14

ბ: როუ (17+13 მოხსნა), გარნეტი (12+8 მოხსნა), ალენი (10), პირსი (10).

მ: დევისი (14+6 მოხსნა), ქუინი (14+8 პასი), აპერნი (12).

**კლივლენდი-ფილადელფია 91:88**

22:27, 21:21, 25:20, 23:20

კ: ჯეიმსი (26+9 მოხსნა+9 პასი), უესტი (18+11 პასი), ილგაუსკასი (14+3 დაფარება), სმიტი (13+8 მოხსნა).

ფ: იგუოდალა (19), უილიამსი (17), მილერი (16+9 პასი+5 ჩაჭრა), დალემბერი (11+9 პასი+5 დაფარება), იანგი (10).

**ტორონტო-ნიუ ორლეანი 111:118**

28:37, 30:32, 21:32, 32:17

ტ: ბოში (21+7 მოხსნა), დელფინო (18), ნესტეროვიჩი (14), მუნი (13), ფორდი (10+6 პასი), კალდერონი (10+11 პასი), ჰემფრიზი (10+7 მოხსნა).

ნ-ო: უესტი (32+7 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (25), პოლი (20+16 პასი), ჩენდლერი (17+10 მოხსნა), უელსი (12).

**სან ანტონიო-ჰიუსტონი 109:88**

35:24, 31:24, 19:17, 24:23

ს-ა: ფინლი (22), პარკერი (22), ჯინობილი (14), დანკანი (13), ტომასი (10+7 მოხსნა).

ჰ: სკოლა (24+7 მოხსნა), მაკგრეიდი (13), ელსტონი (13), ჰედი (10).

**მინესოტა-იუტა 110:103**

20:23, 23:21, 31:30, 36:29

მ: ჯეფერსონი (22+8 მოხსნა+3 დაფარება), გომესი (17), ბრიუერი (16+7 მოხსნა), მაკენტსი (16), იარიჩი (10+3 ჩაჭრა).

ი: ბუზერი (25+10 მოხსნა), ბრიუერი (20+3 ჩაჭრა), დ. უილიამსი (15+13 პასი), მილსეპი (15+7 მოხსნა), ჰარპრინგი (12).

**ატლანტა-ნიუ იორკი 114:119**

26:23, 29:31, 29:26, 30:29

ა: უილიამსი (27+11 მოხსნა), ჯონსონი (25+13 პასი), ჰორფორდი (18+13 მოხსნა), ბიბი (16+9 პასი), ჩილდრესი (16), სმიტი (7+11 მოხსნა).

ნ-ი: კროუფორდი (39+8 პასი), ლი (17+10 მოხსნა), რობინსონი (12).

**გ. სტეიტი-დალასი 114:104**

27:26, 32:25, 25:25, 30:28

გ-ს: ელისი (30), დევისი (21), ბიედრინსი (16+14 მოხსნა), ჯექსონი (16), აზუბუიკე (15+7 მოხსნა), ჰარინგტონი (14+9 მოხსნა).

დ: ჰოვარდი (36+9 მოხსნა), ბასი (21), ტერი (15), კიდი (13+9 მოხსნა+14 პასი), ალენი (12).

**სიეტლი-საკრამენტო 107:120**

39:34, 26:28, 18:32, 24:26

სიეტ: დიურანი (25), გრინი (21), უოტსონი (20+12 პასი), უილკინსი (18), პეტრო (10+7 მოხსნა).

საკ: მარტინი (31), არტესტი (29+12 მოხსნა), გარსია (21), მური (14), მილერი (10+7 მოხსნა), სალმონსი (8+7 მოხსნა+6 პასი).

**ლეიკერს-ვაშინგტონ 126:120 (ო)**

27:25, 31:22, 28:39, 25:25, 15:9

ლ: ბრაიანტი (26+13 პასი), ვუიაჩიჩი (20), უოლტონი (18), ფიშერი (17), ტურიაფი (10+4 დაფარება), ოდომი (10+13 მოხსნა+7 პასი).

ვ: სტივენსონი (27), იანგი (27), ბატლერი (17+12 მოხსნა+12 პასი), ჰეივუდი (10).

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ბოსტონი 2:1 (ო)**

1:1, 0:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 კრეისი-6, 1:1 ლიდმანი-4 (გოსტადი-25, დ. რუა-46), 2:1 სეკერა-2 (ვანეკი-28, მ. ვებერი-3).

**პიტსბურგი-რეინჯერსი 3:1**

2:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 დუბინსკი-14 (იაგრი-44, ბეკმენი-13), 1:1 მარიან ჰოსა-29 (დუპუი-15, კროსბი-46), 2:1 მალკინი-46 (გონჩარი-51, კროსბი-47), 3:1 ტელბოტი-11 (ჯ. სტაალი-16, სკუდერი-5).

**დეტროიტი-ნეშვილი 1:0 (ო)**

0:0, 0:0, 0:0, 1:0

**გოლი:** 1:0 ფრანცენი-26 (ზეტერბერგი-49, რაფალსკი-42).

**მინესოტა-კოლორადო 3:2 (ო)**

2:0, 0:2, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 როლსტონი-30 (კ. იონსონი-22, მ. კოივუ-30), 2:0 გაბორიკი-39 (ბერნსი-28, როლსტონი-28), 2:1 ფინგერი-8 (საკიკი-24, ვოლსკი-29), 2:2 სალეი-6 (ფინგერი-11, ვოლსკი-30), 3:2 გაბორიკი-40 (დემიტრა-35).

**ჩიკაგო-კოლამბუსი 5:4 (ბ)**

1:2, 2:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ტეუვზი-23 (კეინი-48, სიბრუკი-20), 1:1 ე. მიური-6 (ნოვოტნი-14, ბრული-7), 1:2 პეკა-7 (ბრული-8, რასელი-7), 1:3 ფერდიოვი-26 (ე. მიური-4, რასელი-8), 2:3 ჯეისონ უილიამსი-13 (სიბრუკი-21, ტეუვზი-29), 3:3 შარპი-36 (ლანგი-33, ჯეისონ უილიამსი-21), 3:4 მაკენზი-2 (ვიბორნი-19), 4:4 ი. პერო-9 (ბარკერი-11, ბიფიგლენი-17).

**ბულიტები გაიტანეს:** კეინი (ჩიკაგო).

**ანაჰაიმი-დალასი 3:2 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 შნაიდერი-11 (გეტცლაფი-55, ს. ნიდერმაიერი-16), 1:1 მოდანო-20 (მოროუ-39, ი. ლეპტინენი-22), 2:1 შნაიდერი-12 (გეტცლაფი-56, სელიანე-10), 2:2 ჰაგმანი-27 (პეტერსენი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** ბ. რიჩარდსი (დალასი), სელიანე (ანაჰაიმი), კუნიტცი (ანაჰაიმი).

**სან ხოსე-ფინიქსი 3:1**

2:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჯ. ტორნტონი-27 (მ. მიხალეკი-29, ქლოუ-4), 1:1 დოუნი-28 (მორისი-16), 2:1 ჯ. ტორნტონი-28 (მ. მიხალეკი-30), 3:1 კ. ბრაუნი-4 (ბ. კემპბელი-52, რიონიკი-17).

**ვანკუვერი-კალგარი 6:2**

2:2, 3:0, 1:0

**გოლები:** 0:1 მოსი-3 (უ. პრიმო-5, სერიჩი-5), 1:1 სალო-8 (ჰ. სედინი-59, ბიეკსა-7), 1:2 ლომბარდი-14 (იგინლა-45, ფანოფი-41), 2:2 ნესლუნდი-25 (დ. სედინი-44, ბიეკსა-8), 3:2 ლინდენი-6 (რიტჩი-8), 4:2 ლინდენი-7 (ვივერი-1, ჰ. სედინი-60), 5:2 პეტინგერი-6 (მენონი-8, პიატი-21), 6:2 ისბისტერი-6 (კესლერი-15, ბიეკსა-9).

## მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი

**II ეტაპი**

**ესპანეთის გრან-პრი**

**125 CC**

1. **სიმონე კორსი** (იტალია, "აპრილია") - 41.46,100; 2. **ნიკოლას ტეროლი** (ესპანეთი, "აპრილია") - 3,206; 3. **ბრედლი სმიტი** (ბრიტანეთი, "აპრილია") - +4,986; 4. **შტეფან ბრადლი** (გერმანია, "აპრილია") - +5,022; 5. **პაბლო ნიეტო** (ესპანეთი, KTM) - +6,254; 6. **სტივ ბონსი** (აშშ, "აპრილია") - +20,563.

**საერთო ჩათვლა:** 1. **სიმონე კორსი** - 34 ქულა; 2. **შტეფან ბრადლი** - 29; 3. **ნიკოლას ტეროლი** - 26; 4. **სერხიო გადეა** (ესპანეთი, "აპრილია") - 25; 5-7. **ხოან ოლივე** (ესპანეთი, "დერბი"), **მაიკ დი მელიო** (საფრანგეთი, "აპრილია), **სკოტ რედინგი** (ბრიტანეთი, "აპრილია") - 20.

**250 CC**

1. **მიკა კალიო** (ფინეთი, KTM) - 45.27,908; 2. **მატია პაზინი** (იტალია, "აპრილია") - +4,277; 3. **იუკი ტაკაჰაში** (იაპონია, "ჰონდა") - +4,287; 4. **ჰიროში აოიამა** (იაპონია, KTM) - +4,876; 5. **ექტორ ბარბერა** (ესპანეთი, "აპრილია") - +5,968; 6. **ალექს დებონი** (ესპანეთი, "აპრილია") - +13,633.

**საერთო ჩათვლა:** 1. **მატია პაზინი** - 45 ქულა; 2. **მიკა კალიო** - 41; 3. **ექტორ ბარბერა** - 31; 4. **იუკი ტაკაჰაში** - 27; 5. **ალექს დებონი** - 16; 6. **რობერტო ლოკატელი** (იტალია, "ხილერა") - 16.

**მოტოგრანპრი**

1. **დანიელ პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - 45.35,121; 2. **ვალენტინო როსი** (იტალია, "იამაჰა") - +2,883; 3. **ხორხე ლორენსო** (ესპანეთი, "იამაჰა") - +4,339; 4. **ნიკი ჰაიდენი** (აშშ, "ჰონდა") - +10,142; 5. **ლორის კაპიროსი** (ესპანეთი, "სუძუკი") - +27,524; 6. **ჯეიმს ტოუსლენდი** (ბრიტანეთი, "იამაჰა") - +27,808.

**საერთო ჩათვლა:** 1. **დანიელ პედროსა** - 41 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** - 36; 3. **ვალენტინო როსი** - 31; 4. **კეისი სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - 30; 5. **ანდრეა დოვიციოზი** (იტალია, "ჰონდა") - 21; 6. **ჯეიმს ტოუსლენდი** - 20.

## რალი. მსოფლიო ჩემპიონატი

**IV ეტაპი**

**არგენტინის რალი**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, "სიტროენი") - 5:05.48,6; 2. **კრის ატკინსონი** (ავსტრალია, "სუბარუ") - 2.33,2; 3. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, "სიტროენი") - +4.04,7; 4. **კონრად რაუტენბახი** (ზიმბაბვე, "სიტროენი") - +20.03,5; 5. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, "ფორდი") - +25.15,3; 6. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, "ფორდი") - +27.42,0; 7. **ჯიჯი გალი** (იტალია, "სტობარტ-ფორდი") - +27.51,8; 8. **ანდრეას აიგნერი** (ავსტრია, "მიცუბიში") - +28.59.3.

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ლოები** - 30 ქულა; 2. **მიკო ჰირვონენი** - 25; 3. **ატკინსონი** - 22; 4. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, "ფორდი") - 16; 5. **ჯიჯი გალი** - 11; 6-7. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, "სუბარუ"), **დანიელ სორდო** - 9; 8-10. **ფრანსუა დიუვალი** (ბელგია, "ფორდი"), **ვილაგრა**, **რაუტენბახი** - 5.

**კალათბურთი**

### კალდერონი ტორონტოში დარჩება

"ტორონტო რეპტორზის" გენერალურმა მენეჯერმა **ბრაიან კოლანჯელომ** ესპანელ ლეგიონერ **ხოსე კალდერონთან** მიმართებაში კლუბის გეგმები გაახმოვანა. როგორც ირკვევა, კანადური გუნდი ევროპელ პლეიმეიკერს ახალ კონტრაქტს შესთავაზებს.

ივლისში კალდერონი თავისუფალი აგენტი ხდება, მაგრამ სავარაუდოდ, მას "ტორონტოში" მოუწევს კარიერის გაგრძელება, ვინაიდან "რეპტორზი" არ აპირებს ესპანელ კალათბურთელთან განშორებას.

**ჩოგბურთი**

### სამპრასი რიოსს ჩილეში ეწვევა

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ამერიკელი **პიტ სამპრასი** აგრძელებს საჩვენებელი მატჩების სერიას. შვეიცარიელ **როჯერ ფედერერთან** წაგების შემდეგ, ლეგენდარული ჩოგბურთელი ჩილელ **მარსელო რიოსს** შეხვდება. მატჩი 18 მაისს ჩილეში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ რიოსი 1998 წელს, მაიამის ტურნირის მოგების შემდეგ ჩაუდგა სათავეში კლასიფიკაციას. მაშინ მან ფინალში **ანდრე აგასი** დაამარცხა. სხვათა შორის, ანდრემ და მარსელომ შარშან საჩვენებელი შეხვედრა გამართეს და უფრო ძლიერი რიოსი აღმოჩნდა - 6:3, 3:6, 6:4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. სკანდალი

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# მოსლი და ხუთი მეძავი







ინგლისურმა ტაბლოიდებმა ახალი სკანდალი ააგორეს. ამჯერად, News Of The World-ის რეპორტიორებმა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტი **მაქს მოსლი** გამოიჭირეს. მათ ვიდეოზე გადაიღეს სადომაზოხისტური ორგია ნაცისტურ სტილში, რომელშიც მოსლის გარდა, ხუთი მეძავი იღებდა მონაწილეობას. ქალები საკონცენტრაციო ბანაკის ტუსაღებს ასახიერებდნენ, მოსლი კი, ზედამხედველის როლს თამაშობდა და მეძავებს ანამებდა.

ამ ამბავს მაშინვე გამოეხმაურნენ ებრაული ორგანიზაციები და მკაცრი ტონით დაგმეს მოსლის საქციელი. სხვათა შორის, მაქსის მამა, **ოსვალდ მოსლი** ფაშისტთა ბრიტანული კავშირის ლიდერი და ადოლფ ჰიტლერის ახლო მეგობარი იყო. FIA-ს პრეზიდენტს ისიც გაუხსენეს, რომ თავის დროზე, მან ფედერაციასთან არსებული რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა გააუქმა.

ფედერაცია ჯერჯერობით არანაირ კომენტარს არ აკეთებს სექსუალურ სკანდალზე. *"ეს საკითხი ბატონ მოსლისა და გაზეთს შორის უნდა გაირკვეს. პრეზიდენტის ადვოკატებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკებები გამოცემასთან. მანამდე კი, კომენტარისგან თავს ვიკავებთ"*, - აცხადებს FIA-ს წარმომადგენელი.

News Of The World-ის ინფორმაცია სხვა ბრიტანულმა გაზეთებმაც აიტაცეს და Times-ის ჟურნალისტებმა კომენტარისთვის ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერს, **ბერნი ექსლტოუნს** მიმართეს.

*"მე მაქსს დიდი ხანია ვიცნობ. ვინმეს ჩემთვის ეს ამბავი რომ მოეყოლა და დამამტკიცებელი საბუთები არ წარმოედგინა, არავითარ შემთხვევაში არ დავიჯერებდი. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ყველაფერი სიმართლეა, ეს მაინც ადამიანის პირადი ცხოვრებაა. გულწრფელად მიმაჩნია, რომ ეს არ იმოქმედებს ავტოსპორტის განვითარებაზე. მოსლის კარგად ვიცნობ და შემიძლია ვივარაუდო, რომ ხუმრობასთან გვაქვს საქმე"*, - აცხადებს ბერნი ექსლტოუნი.

**გია თვალაბეიშვილი**





ოსვალდ და მაქს მოსლები

ჩოგბურთი. ეს საინტერესოა

# კვერცხი, ღირსება თუ სიყვარული?

**მნიშვნელობა არ აქვს, თავად უქნევთ ჩოგანს ბურთს თუ მხოლოდ თვალს ადევნებთ პროფესიონალი ჩოგბურთელების თამაშს. დარწმუნებული ვართ, ერთხელ მაინც ჩაფიქრდებოდით თუ საიდან მომდინარეობს ამ პოპულარული თამაშის წესები და მთავარი ტერმინები. დღეს თქვენი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას შევეცდებით.**

ითვლება, რომ ჩოგბურთი (ერთ-ერთი ვერსიით, tennis წარმოდგება ფრანგული tenez-დან, რაც "დაიჭირეს" და "ითამაშეს" ნიშნავს) საფრანგეთში XII საუკუნეში გაჩნდა. თავიდან, სპორტსმენები რაიმე დამატებით მოწყობილობებს არ იყენებდნენ და მხოლოდ ზოგიერთი მათგანი იცვამდა ხელთათმანს ხელის დაცვის მიზნით. XVI საუკუნეში გამოიგონეს რაღაც ჩოგნის მსგავსი, რომელიც თანამედროვეს ჰგავდა, თუმცა უფრო გრძელი ტარი და სქელი სიმები ჰქონდა. პირველი საჩოგბურთო ბურთები ტყავისგან მზადდებოდა. მის შიგნით შალის ქსოვილი იყო მოთავსებული. თუ ასეთი ბურთი ჩოგბურთელს მოხვდებოდა, ამას შეიძლება სერიოზული ჭრილობა ან სულაც სიკვდილი გამოეწვია.

არსებობს ამ თამაშის უფრო ადრეული წარმოშობის ვერსიები. ბევრი სპეციალისტი ამტკიცებს, რომ ჩოგბურთის საწყისები რომის, საბერძნეთის და ეგვიპტის ცივილიზაციებში უნდა ვეძიოთ. ზოგიერთი იმასაც კი ამბობს, რომ თანამედროვე ჩოგბურთის მსგავს თამაშს ქვის ხანაშიც (!) კი მისდევდნენ. ასეა თუ ისე, ის ჩოგბურთი, რომლის ცქერასაც ჩვენ ვართ შეჩვეულნი, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ინგლისში ჩამოყალიბდა, სადაც 1877 წელს უიმბლდონის ტურნირის ჩატარება დაიწყეს.

საჩოგბურთო გეიმში ანგარიშს საკმაოდ უცნაურად ითვლიან: "ნული" (love), "თხუთმეტი", "ოცდაათი" და "ორმოცი". ამ სისტემის წარმოშობის შესახებაც რამდენიმე ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთი ამ ციფრების გამოყენებას იმით ხსნის, რომ ტაბლოს როლს საათი ასრულებდა და გეიმში ყოველი მოგებული ქულის შემდეგ, დიდი ისარი მეოთხედ ბრუნს აკეთებდა, ანუ "15", "30" და "45". თუმცა მოგვიანებით, მოხერხებულობისთვის "45" "ორმოცად" გადააკეთეს.

სხვა ვარიანტიც არსებობს. მის მიხედვით, შუა საუკუნეებში საფრანგეთსა და გერმანიაში უკვე არსებობდა სანაძლეოები და ფულზე თამაში, მათ შორის, ჩოგბურთშიც. კანონი კი, მაგალითად გერმანიაში, კრძალავდა 60 დინარზე მაღალი ფსონის ჩასვლას, ხოლო იმის გამო, რომ იმ დროს 15-დინარიანი მონეტები არსებობდა, ყოველი ქულისთვის სწორედ 15 გამოდიოდა. კიდევ ერთი ლეგენდა მოგვითხრობს, რომ XIX საუკუნეში ინგლისური ხომალდები სალუტს ძირითადი გემბანის 15-ფუნტიანი ქვემეხით იწყებდნენ, საშუალო გემბანიდან 30-ფუნტიანი ქვემეხით აგრძელებდნენ და ამის შემდეგ, გაისმოდა გასროლა ქვედა გემბანიდან ყველაზე მძიმე, 40-ფუნტიანი ქვემეხით.

არანაკლებ საინტერესოა, თუ საიდან წარმოიშვა ინგლისური ტერმინები - deuce და love, რაც საჩოგბურთო ანგარიშისას ნიშნავს "თანაბარს" და "ნულს". ბევრ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ deuce წარმოიქმნა ფრანგული a deux du jeu-სგან, რომელიც ასე ითარგმნება: "ორი ქულა გეიმის მოგებამდე". ინგლისელებმა კი, ეს სახელწოდება ჯერ a deus-მდე, შემდეგ კი, დღეისთვის ნაცნობ deuce-მდე დაამოკლეს. რაც შეეხება ცნება love-ს, ზოგი თვლის, რომ ის ფრანგული l'oeuf-დან ("კვერცხი") წარმოიქმნა და იხმარებოდა გამოთქმაში - out for a duck's egg, რომელიც კრიკეტშია მიღებული და ნიშნავს - "ნული ან არაფერი".

მაგრამ უფრო რეალური ჩანს მეორე ვერსია. love წარმოიშვა სიტყვა lof-სგან, რაც ჰოლანდიურ და ფლამანდრიულ ენებზე "ღირსებას" ნიშნავს. თუ მოთამაშე ვერცერთ ქულას ვერ აგროვებდა, მასზე ასე ამბობდნენ - "ის თავისი ღირსებისთვის თამაშობდა".

ახლა რაც შეეხება შედარებით ახალ ცნებას - ტაი-ბრეიკს. ის ვინმე **ჯეიმს ვან ალენმა** 1965 წელს მოიგონა, ოფიციალურად კი, 1970 წელს, აშშ-ის ღია პირველობაზე გამოიყენეს. მანამდე, ტაი-ბრეიკის სისტემა წარმატებით გამოსცადეს ნიუპორტის და როდ-აილენდის ტურნირებზე. თავიდან, ტაი-ბრეიკი ხუთი ქულის მოგებამდე თამაშდებოდა.

ტაი-ბრეიკის შემოღება 1969 წელს, უიმბლდონზე **პანჩო გონსალესისა** და **ჩარლი პასარელას** ისტორიული ბრძოლის შემდეგ გახდა საჭირო. ხუთსეტიანი მატჩი 5 საათსა და 12 წუთს გაგრძელდა და გამარჯვებულის გამოვლენას ორი დღე დასჭირდა. მეხუთე სეტში, 41 წლის გონსალესმა 7 მატჩ-პოინტი მოიგერია და ორჯერ გადაარჩინა გეიმი 0:40-ზე. საბოლოო ანგარიში თავად მეტყველებდა ტაი-ბრეიკის შემოღების აუცილებლობაზე - 22:24, 1:6, 16:14, 6:3, 11:9.

1971 წელს, ტაი-ბრეიკი პირველად ითამაშეს უიმბლდონზე, თანაც ე. წ. შემოკლებული გეიმი მაშინ ინიშნებოდა, როცა სეტში ანგარიში იყო 8:8 (ბოლო სეტში ტაი-ბრეიკი დღესაც არ თამაშდება). რვა წლის შემდეგ, ტაი-ბრეიკი უკვე ჩვეულებრივად, 6:6-ის შემდეგ დანიშნეს.

**გია თვალაბეიშვილი**




# იქნება მეცხრე ოლიმპიადა?



იან მილარი

კანადის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი პეკინში გასამგზავრებელ შემადგენლობას 30 ივნისს დაასახელებს. არაოფიციალური ინფორმაციით ირკვევა, რომ ჩინეთში გამოსვლის რეალური შანსი აქვს 61 წლის (!) ვეტერან ცხენოსან **იან მილარს**. უფრო მეტიც, ლეგენდარული სპორტსმენი შესაძლოა კანადის ოლიმპიური ნაკრების კაპიტანი გახდეს.

მილარის პირველი ოლიმპიადა 1972 წლით თარიღდება, სულ კი, კანადელს უმაღლეს სპორტულ ფორუმში რვაჯერ აქვს მიღებული მონაწილეობა. მილარი ცხრაჯერ იყო პანამერიკული თამაშების პრიზიორი და ექვსჯერ დაუცვია თავისი ქვეყნის ღირსება მსოფლიო ჩემპიონატებზე. სპორტში მიღწეული წარმატებებისთვის, "კანადის კაპიტანმა" (მილარის მეტსახელი) 1986 წელს ქვეყნის უმაღლესი ჯილდო - კანადის ორდენი მიიღო. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მილარის კოლექციაში არცერთი ოლიმპიური მედალი არ მოიძიება.

თუ კანადელ ცხენოსანს პეკინში გამოსვლა მოუწევს, მაშინ ის გაიმეორებს ავსტრალიელი იახტსმენის **ჰუბერტ რაუდაშლის** დღემდე ურყევ რეკორდს. ავსტრალიელმა ოლიმპიელმა 1964-1996 წლებში ცხრა ოლიმპიადაზე მოსინჯა ძალები.

რაც შეეხება ყველაზე ასაკოვანი ოლიმპიელის სტატუსს, მილარს მისი მიღების შანსი არ აქვს. ეს რეკორდი შვედ **ოსკარ შვანს** ეკუთვნის, რომელმაც თავისი მეექვსე ოლიმპიური მედალი 1920 წელს, ანტვერპენში 72 წლისა და 280 დღის ასაკში მოიპოვა.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ჩემპიონები მაიამიში ეცემიან



ლინდსი დავენპორტი ბექჰენდს ასრულებს

რამდენიმე დღის წინათ, ინდიან ველსის ჩემპიონის ტიტულები სერბმა ჩოგბურთელებმა - **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და **ანა ივანოვიჩმა** მოიპოვეს, მაგრამ მაიამის მასტერსის ტურნირს ორივე ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა. ივანოვიჩს მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა **ლინდსი დავენპორტმა** მოუგო, ავსტრალიის ღიას ჩემპიონ ჯოკოვიჩს კი ტურნირი სამხრეთაფრიკელმა **კევინ ანდერსონმა** დაატოვებინა. თანაც, ინდიელთა ჭების (ინდიან ველსის) ორივე ჩემპიონმა ტურნირი მეორე წრეშივე დატოვა.

ჯოკოვიჩის მსგავსად, ვინც მაიამიში სათამაშოდ დაღლილი ჩავიდა, დასვენების საშუალება არც ივანოვიჩს ჰქონია. თანაც, დავენპორტმა ისე ითამაშა, როგორც თავისი კარიერის საუკეთესო წლებში ირჯებოდა. სერბი კი უნიათოდ მოქმედებდა და მაშინღა გამოფხიზლდა, როცა ერთი სეტი წააგო და მეორის დასაწყისშიც მეტოქეს ზედიზედ სამი გეიმი დაუთმო. თუმცა უკვე გვიანი იყო, რადგან დავენპორტი აზარტში შევიდა და მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების შანსი აღარ დაუტოვა.

აღსანიშნავია, რომ დავენპორტმა სულ ოცი უნებლიე შეცდომა დაუშვა და ამდენივე ქულა აქტიურობით მოიპოვა. სამაგიეროდ, ბადესთან მისი გასვლა თითქმის ყოველთვის (14-დან 13 შემთხვევაში) ქულის მოპოვებით მთავრდებოდა. ისიც საინტერესოა, რომ ივანოვიჩი რეიტინგის მოწინავე ათეულში მყოფი მეორე ჩოგბურთელია, ვისი დამარცხებაც მშობიარობის შემდეგ დიდ ჩოგბურთში დაბრუნებულმა დავენპორტმა შეძლო.

*"როცა ჩოგბურთელს პირველად ხვდები, მნიშვნელოვანია, რომ მისი თამაში კარგად შეისწავლო და თავიდანვე ცადო რიტმში შესვლა, მაგრამ ლინდსიმ ამის საშუალება არ მომცა. ჯერ ერთი, მისი თამაში მრავალფეროვნებით გამოირჩევა და იოლად შესასწავლი არაა. მეორეც, შესანიშნავად ითამაშა, განძრევის საშუალებას არ მაძლევდა"*, - განაცხადა სერბმა.

სხვათა შორის, დავენპორტი ყოველთვის მიიჩნევდა, რომ ზედიზედ ორი მასტერსის თამაში ძალიან ძნელია და ცდილობდა, მათზე მორიგეობით გამოსულიყო. მატჩის შემდეგ მან სწორედ ამ გარემოებას გაუსვა ხაზი: *"რა თქმა უნდა, ანა შესანიშნავ სეზონს ატარებს, მაგრამ როცა ზედიზედ ასეთ პრესტიჟულ ტურნირებზე გამოსვლა გიწევს, ნებისმიერი სიურპრიზი მოსალოდნელია. აქ ხომ ფიზიკურადაც ილღები და ფსიქოლოგიურადაც. ამიტომ, კონცენტრაციის შენარჩუნება ძალიან ძნელია. მან ინდიან ველსი მოიგო, მაგრამ მაიამიში თავიდანვე გავარდა. ასეთი რამ ბევრ ძლიერ ჩოგბურთელს ადრეც მოსვლია"*.

ცნობისათვის, დავენპორტს ინდიან ველსის ტურნირი ორჯერ - 1997 და 2000 წლებში აქვს მოგებული, მაიამიში კი მისი მაქსიმუმი ფინალში გასვლაა, რაც მან 2000 წელს მოახერხა.

მარცხის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა რუსი **სვეტლანა კუზნეცოვაც**, ვინც ბელარუს **ვიქტორია აზარენკასთან** შეხვედრის მეორე სეტის მინურულს მატჩ პოინტს გადაურჩა. ეს მაშინ მოხდა, როცა ბელარუსი მეჩოგნე 6:1, 5:3-ს იგებდა და მატჩზე აწოდებდა. მაგრამ ანერვიულდა და ბურთი პერიმეტრს გადააცილა. რუსმა კი მიღებული შანსი კარგად გამოიყენა და მეორე სეტში განსაცდელს რომ გადაურჩა, გადამწყვეტ სეტში ერთი გეიმიც აღარ დაუთმო "გათავხედებულ" მეტოქეს.

*"ვიქტორიას მატჩ პოინტი რომ ჰქონდა, ჩემთვის გავიფიქრე, ღმერთო, ახლა გადამარჩინე და მერე მე ვიცი-თქო. მართლაც, გადავრჩი და მერე თამაში თვითონვე გადავარჩინე"*, - განაცხადა კუზნეცოვამ, ვისაც მაიამის ტურნირი ორი წლის წინ აქვს მოგებული.

მომდევნო წრეში პრობლემების გარეშე გავიდნენ **ჟუსტინ ანენი** და **ვენუს უილიამსი**, რომლებსაც საათზე ოდნავ მეტი დასჭირდათ მეტოქეების დასამარცხებლად. პირველმა იტალიელ **სარა ერანის** სულ სამი გეიმი დაუთმო და ხუთი ბრეიკი აართვა, მეორემ კი ასევე მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო ახალზელანდიელ **მარინა ერაკოვიჩს**, რომელიც ტურნირზე უაილდ ქარდით მიიწვიეს.

საინტერესოა, რომ დაღლამ მარტო სერბი ჩოგბურთელების თამაშის ხარისხს როდი დაატყო კვალი. მათი ბედი ინდიან ველსის ამერიკელმა ფინალისტმა **მარდი ფიშმაც** გაიზიარა, ვინც პირველივე წრეში ფრანგ **არნო კლემანთან** ორ სეტში დამარცხდა.

ამ ტურნირებს ერთმანეთის მიყოლებით ჩატარების არამართებულობაზე ჯოკოვიჩმაც ილაპარაკა, თუმცა აღნიშნა, უახლოეს პერიოდში ამ განრიგის შეცვლა მოსალოდნელი არაა და ამაზე წუწუნი უაზრობად მიმაჩნიაო.

ამ ორი ტურნირის მიყოლებით მოგება ძალიან ძნელი საქმეა, თუმცა არა შეუსრულებელი. 1989 წლის შემდეგ (სწორედ 1989 წლიდან ტარდება ინდიან ველსი და მაიამის ტურნირი ერთმანეთის მიყოლებით) ეს ორი ტურნირი ერთ სეზონში ექვსმა მამაკაცმა ჩოგბურთელმა მოიგო. პირველმა ეს 1991 წელს ამერიკელმა **ჯიმ კურიემ** შეძლო, ვისი ეს მიღწევაც მომდევნო სეზონში მისმა თანამემამულე **მაიკლ ჩანგმა** გაიმეორა. 1994 და 1998 წლებში დუბლი შესაბამისად, **პიტ სამპრასმა** და ჩილელმა **მარსელო რიოსმა** შეასრულეს, 2001 წელს იგივე **ანდრე აგასიმაც** შეძლო, 2005 და 2006 წლებში თავი **როჯერ ფედერერმა** გამოიჩინა.

ქალთა შორის მსგავსი მიღწევა მხოლოდ ორი ჩოგბურთელის ანგარიშზეა. ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** ზედიზედ ორი სამასტერსო (ქალებისთვის ორივე ტურნირი, პირველი კატეგორიისაა) ტურნირის ჩემპიონი 2005 წელს გახდა, 1994 და 1996 წლებში კი ზედიზედ ორი ტიტული ლეგენდარული გერმანელის **შტეფი გრაფის** ანგარიშზეა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ATP
### Pacific Life Open
ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 3 770 000 დოლარი

#### 1/16 ფინალი

**რაფაელ ნადალი** (ესპ, 2)-ნიკოლას კიფერი (გერ) 6:2, 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ, 9)-ფაბრის სანტორო (საფ) 6:3, 6:7 (4), 6:4; **ტომას ბერდიხი** (ჩეხ, 10)-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 22) 6:1, 6:3; **გილერმო კანიასი** (არგ, 15)-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 17) 7:6 (6), 7:5; **პოლ ანრი მატიო** (საფ, 16)-კარლოს მოია (ესპ, 20) 7:6 (1), 7:5; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხ, 27)-ქსავიე მალისე (ბელ) 6:3, 7:6 (4); **იგორ ანდრეევი** (რუს, 31)-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 6:4, 6:7 (4), 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი** (რუს)-ფელისიანო ლოპესი (ესპ, 32) 4:6, 6:3, 6:4.

## WTA
### Sony Ericsson Open
მაიამი (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 3 770 000 დოლარი

#### 1/16 ფინალი

**ჟუსტინ ანენი** (ბელ, 1)-სარა ერანი (იტა) 6:2, 6:1; **ლინდსი დავენპორტი** (აშშ, 32)-ანა ივანოვიჩი (სერ, 2) 6:4, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუს, 3)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 25) 1:6, 7:5, 6:0; **ელენა იანკოვიჩი** (სერ, 4)-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:2, 6:1; **საბინ ლისიცკი** (გერ)-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 5) 7:5, 6:1; **ვენუს უილიამსი** (აშშ, 6)-მარინა ერაკოვიჩი (ახ. ზელ) 6:2, 6:1; **აი სუგიამა** (იაპ)-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 7) 6:4, 6:7 (8), 7:5; **სერენა უილიამსი** (აშშ, 8)-ფლავია პენეტა (იტა, 27) 6:7 (6), 6:3, 6:2; **ელენა დემენტიევა** (რუს, 10)-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:0, 6:7 (1), 6:4; **კაია კანეპი** (ესტ)-პატი შნიდერი (შვეიც, 11) 6:0, 6:1; **დინარა საფინა** (რუს, 13)-სიბილ ბამერი (ავსტრია, 18) 4:6, 6:1, 6:0; **შაარ პეერი** (ისრ, 16)-მიშელ ლარჩერდ ბრიტო (პორ) 6:0, 6:2; **ვერა ზვონარევა** (რუს, 19)-ალისა კლეიბანოვა (რუს) 6:1, 6:4; **კაროლინ ვოზნიაჩკი** (დან)-კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 22) 2:6, 6:3, 6:1; **ჟიე ჟენგი** (ჩინ)-ამელი მორესმო (საფ, 24) 5:7, 6:4, 6:4; **ელენა ვესნინა** (რუს)-ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:4, 5:7, 6:4.

#### 1/8 ფინალში ხვდებიან

ანენი (1)-ვესნინა; ს. უილიამსი (8)-კანეპი; კუზნეცოვა (3)-პეერი (16); ვ. უილიამსი (6)-ვოზნიაჩკი; დემენტიევა (10)-ლისიცკი; იანკოვიჩი (4)-ჟენგი; ზვონარევა (19)-სუგიამა; საფინა (13)-დავენპორტი (32).

## TV სპორტი

### 1 აპრილი. სამშაბათი

#### I არხი

11:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-არსენალი.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 საფეხბურთო პროგრამა.
17:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
17:55 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
19:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:45 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
20:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:15 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. შალკე-ბარსელონა (LIVE).
00:40 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. რომა-მანჩესტერ იუნაიტედი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

06:55 ჩემი სპორტი.
07:20 სპორტდოსიე.
07:45 სპორტკლუბი.
08:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:00 სპორტკლუბი.
10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მიდლსბრო.
12:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ინტერი.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. III წრე. მაიამი. აშშ.
18:30 სპორტის სამყარო.
19:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
19:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
19:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. რომა-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
01:05 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. მაკაბი-ბარსელონა.
02:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:50 სპორტდოსიე.
04:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
04:45 მინი-მოედანი.
06:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-კოლორადო (LIVE).

#### EUROSPORT

10:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
11:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
11:45 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი.
12:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-არსენალი.
14:45 მულტისპორტი.
15:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-შალკე.
16:00 მულტისპორტი.
16:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. რეალი-რომა.
17:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
18:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. მაიამი. აშშ.
19:30 მულტისპორტი.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. მაიამი. აშშ.
21:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
23:00 პროფესიული კრივი. ნიუ იორკი. აშშ.
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. არგენტინა.
02:00 რალი. IRC-ის სერია.
02:30 ექსტრემალური სპორტი.

#### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული სეზონი. ფილადელფია-ტამპა ბეი.
13:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. როჩესტერი-ფილადელფია.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ოთხთა ფინალი.
17:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული სეზონი. ფილადელფია-ტამპა ბეი.
18:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
19:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. როჩესტერი-ფილადელფია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. კანადა.
21:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
21:30 ახალი ამბები.
22:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთის გრან პრი.
00:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული სეზონი. ფილადელფია-ტამპა ბეი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 რესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **კონფერენცი** | |
| ფორესტ გრინი-ბარტონი | 3:5 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| პესკარა-კროტონე | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ოსნაბრიუკი-კაიზერი | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| მონაკო-რენი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ტრუა-ნანტი | 0:2 |
| **პორტუგალია** | |
| სეტუბალი-ბოავიშტა | 3:1 |
| **დანია** | |
| ვიბორგი-კოპენჰაგენი | 2:3 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ეთნიკოსი (ა)-პანთრაკიკოსი | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| ლიუნგსკილე-ჰამარბიუ | 0:1 |
| ერებრუ-ტრელებორგი | 1:0 |
| სუნდსვალი-ჰელსინგბორგი | 0:3 |
| მალმიო-გიოტებორგი | 1:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| შაფჰაუზენი-გოსაუ | 1:3 |
| **ნორვეგია** | |
| რუსენბორგი-ლინი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-სპარტა | 1:1 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ალთაი-ანთალია | 0:0 |
| **უნგრეთი** | |
| ვაშაში-უიპეშტი | 0:1 |
| **უკრაინა** | |
| დნიპრო-ვორსკლა | 1:0 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვანი-კოშიცე | 4:2 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-იოკერიტი | 5:1 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ლიბერეცი | 2:1 |
| **შვეიცარია** | |
| ციურიხი-ჟენევა | 2:4 |
| **შვედეთი** | |
| ჰვ71-ტიმრა | 3:1 |
| ლინჩოპინგი-ფერიესტადი | 4:0 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. მაიამი** | |
| დავიდენკო-ბოლელი | 6:7, 7:5, 6:1 |
| ცონგა-ბენეტო | 3:6, 3:6 |
| აკასუსო-სელა | 6:4, 6:4 |
| ფედერერი-სიოდერლინგი | 6:4, 6:0 |
| იოჰანსონი-ტიპსარევიჩი | 4:6, 4:6 |
| **WTA. მაიამი** | |
| ვ. უილიამსი-ვოზნიაჩკი | 6:3, 6:3 |
| კუზნეცოვა-პეერი | 7:6, 6:3 |
| დავენპორტი-საფინა | 3:6, 4:6 |
| ანენი-ვესნინა | 6:2, 6:2 |
| იანკოვიჩი-ჟენგი | 6:4, 7:5 |
| დემენტიევა-ლისიცკი | 6:3, 6:2 |
| ს. უილიამსი-კანეპი | 6:3, 6:3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი საქმის პატარა კაცი

## ეკლსტოუნი და მისი მეუღლე სლავიკა



ბერნი და სლავიკა



ბერნისა და სლავიკას ქალიშვილი თამარა

ბერნი ეკლსტოუნი, ფორმულა 1-ის მფლობელი და დიდ ბრიტანეთში მეათე უმდიდრესი ადამიანი, ახლახან შვეიცარიის სამთო-სათხილამურო კურორტ გშტაადტში, სადაც იგი თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს, ადგილობრივი მოსახლეობის კრიტიკის ობიექტად იქცა. არგუმენტი - მის მფლობელობაში მყოფ სასტუმრო Olden Hotel -ში ლუდის ფასები გაიზარდა. ადგილობრივმა გაზეთმა ის 2004 წელს, ახალ ზელანდიაში, ანთროპოლოგების მიერ აღმოჩენილ 18 000 წლის ადამიანს, სახელად ჰობიტს შეადარა.

ეკლსტოუნი სიმაღლეში მართლაც პატარაა, გარდა ამისა, მას ჰობიტის სხვა დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიც აქვს - მრგვალი სახე, გამოშვერილი ყურები და უხეში თმები.

*"სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი, რა იყო ჰობიტი"*, - დასძენს 77 წლის ეკლსტოუნი. - *"მე იგნორანტი ვარ, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ მე მართლაც ჰობიტი ვარ, რადგანაც ისინი კუნთიანები არიან და ჯიგრები, ასეთი ვარ მეც."*

გშტაადტის მაცხოვრებლების კრიტიკას კი ასე პასუხობს: *"არ ვიცი, რა ღირს სასმელი ჩემს სასტუმროში, რადგანაც არასოდეს ვყიდულობ მას. მე მაქვს ასეთი პოლიტიკა, არასოდეს არაფერს ვთმობ."*

იგი მართლაც არასოდეს არაფერს თმობს. ბერნი 1997 წელს **ტონი ბლერის** ფინანსური სკანდალის ერთ-ერთი მონაწილე იყო. მან 1 მილიონი ფუნტით დააფინანსა "ლეიბორისტული პარტია", ფული უკან დაუბრუნდა მას შემდეგ, რაც ფორმულა 1-ში მთავრობამ თამბაქოს რეკლამის გამოტანა აკრძალა.

იგი უკვე 25 წელიწადია, დაქორწინებულია ყოფილ ხორვატ მოდელ **სლავიკა რადიჩზე** რომელიც მასზე ბევრად მაღალია. *"სლავიკას უყვარს წვეულებები და უფრო მეტ დროს ატარებს ქალაქში ვიდრე მე. მე არ მიყვარს ასე დროის გატარება. ყველაზე ცუდი, რაც კი შეიძლება გამიკეთოს ვინმემ, არის ჩემი შვებულებაში გაშვება. არაფრის კეთება მე, უბრალოდ, მომკლავს"*

### დიქტატორი და ბოროტი გენია

მიუხედავად მისი ასაკისა და ექვსი წლის წინათ გადატანილი გულის ოპერაციისა, იგი არც კი ფიქრობს პენსიაზე გასვლას. როგორც ფორმულა 1-ის პრეზიდენტი და ადმინისტრატორი, იგი რჩება მთავარ ძალად ავტოსამყაროში.

*"ადრე ადვილი იყო ყოფილიყავი დიქტატორი, მაგრამ დღეს ფორმულა 1-ში უფრო მეტად დემოკრატია ჭარბობს. მძულს დემოკრატია, როგორც სისტემა, იგი ხელს გიშლის საქმის ბოლომდე მიყვანაში. ვფიქრობ, ადამიანებს უნდა მიეწოდოთ მზა გადაწყვეტილებები, რომლებიც მათთვის სხვებმა მიიღეს. კარგი დიქტატორი უკეთესია ქვეყნისათვის, ვიდრე დემოკრატია. დემოკრატიას დიდ ბრიტანეთში მივყავართ გ ზააბნეულობამდე და ცუდ კომპრომისებამდე. დემოკრატიის დროს პრემიერ-მინისტრი ყოველთვის ვილაცის გავლენის ქვეშაა ან რომელილაც დაჯგუფების, ან კიდევ პრესის. მე მაგალითად არასოდეს მიმიღია მონაწილეობა არჩევნებში, რა აზრი აქვს?"*

*"დიახ, პატარა ადამიანები ცდილობენ კომპენსაციის სახით იყვნენ ამტანები, ისინი ბავშვობიდან იცავენ თავს, ეს პროცესი კი მთელი ცხოვრება გრძელდება.*

*აქვს თუ არა მოკლე კაცს დიდი ტვინი? თუკი შენ ხარ საშუალო აღნაგობის ჰობიტი, მაშინ გჭირდება, იყო ცოტათდენ ჭკვიანი, რომ ცოცხალი გადარჩე."*

მან სკოლა 16 წლის ასაკში მიატოვა და მუშაობა დაიწყო ადგილობრივ გაზის კორპორაციაში, მოტორბოლა კი მისი ჰობი იყო.

თავდაპირველად მან სამხრეთ ლონდონში ავტო და მოტორბოლებში მონაწილეობა დაიწყო, შემდეგ კი კარიერა ფორმულა 3-ში გააგრძელა. მრავალი სერიოზული ავარიის შემდეგ, მრბოლის კარიერა შეწყვიტა და ცხოვრების ახალი ეტაპი ფორმულა 1-ის პილოტ **სტიუარტ ლუის-ევანსის** მენეჯერად დაიწყო. ლუის-ევანსი დაიღუპა 1958 წელს მაროკოს დიდ პრიზზე, როდესაც მისი მანქანის ძრავა აფეთქდა.

ეკლსტოუნის მეუღლე ყოველთვის უკმაყოფილო არის ხოლმე მანქანის ტარების მისი მანერის გამო: *"სულ უკან ზის და მეუბნება, რომ ჩქარა ვატარებ. ამბობს, რომ მე არ უნდა მქონდეს მართვის მოწმობა, წარმოგიდგენიათ, მე, ფორმულა 1-ის ხელმძღვანელს!"* მომავალმა მილიარდერმა სლავიკა იტალიაში გაიცნო, როდესაც ის **ჯორჯო არმანის** ჩვენებაში მონაწილეობდა. საინტერესოა, რომ ბერნის სიმაღლე 160 სმ-ია, ხოლო სლავიკასი -188.

*"მე ის იმიტომ მომეწონა, რომ ახალგაზრდა და მშვენიერი იყო. არ მინდოდა ვინმე უფრო ხნიერი. სლავიკა ხორვატია. მისი ხალხი ემოციურობით გამოირჩევა. ის კარგი მეუღლე და დედაა. ცოტა სულელიცაა, თუ შენზე გაბრაზებულია, ამას უხეშად გაგრძნობინებს. მე მას შევთავაზე, ყოფილიყო ჩემი საყვარელი, მაგრამ მან უარი მტკიცა. ხალხს შიში აქვს. შიში, გაყრის შემდეგ ფინანსური კატასტროფისა".*

ბერნისა და სლავიკას ჰყავთ ორი ქალიშვილი: უფროსი თამარა 23 წლისაა და მოდელი და ტელეწამყვანია, უმცროსს კი პეტრა ჰქვია და ჯერ 20 წლისაა. ოჯახის მთავარი რეზიდენცია მდებარეობს ლონდონში, ჩელსიში. აქვს სახლი გშტაადტში, იახტა და ორი პატარა რეაქტიული თვითმფრინავი. მათ ჰქონდათ სახლი აგრეთვე სარდინიაზე, რომელიც გაყიდეს. *"იმიტომ გავყიდე, რომ სარდინიელები მდიდრებს იტაცებენ და მე რომ ვინმეს გავეტაცე, ჩემი ცოლი მათ არაფერს გადაუხდიდა. ამიტომაც გამოვიქეცი."*

მაშ, რა უნდა მას კიდევ ცხოვრებისგან? სიმდიდრე? მას საკმარისად აქვს. სახელი? მას ქუჩაში ყველა ცნობს. პატივისცემა? *"შეხედეთ ამ გაბლენძილ და ცხვირაწეულ ხალხს, მათ მე არ ვუყვარვარ, რაც სულ არ მადარდებს. მე ხომ ბოლოს და ბოლოს 18 000 წლის ჰობიტი ვარ."* მაშ დიდება? რატომ არ არის ის სერ ბერნი?

ცნობილია, რომ ცოტა ხნის წინათ მისმა გავლენიანმა მეგობრებმა მისი ლობირება დაიწყეს ბუკინგემში, რათა რაინდის წოდება მიეღო, მაგრამ მათ სასახლიდან ცივი უარი მიიღეს, იგი ამას ძალიან მშვიდად შეხვდა; *"...იმიტომ, რომ მიკ ჯაგერივით არ ვიღებდი ნარკოტიკებს და შონ კონერისაგან განსხვავებით გადასახადს ვუხდიდი დიდ ბრიტანეთს. სულაც არ ვდარდობ".*

**ნოდარ დუგლაძე**